სპორტი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 16 თებერვალი 2000 №27 (1049) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 ათი წელიც გასრულდა...

როგორ აღნიშნავენ იუბილეს ქართული ფეხბურთის სახელისუფლო დერეფანში

6 გაეროს ელჩმა ვარჯიში დაიწყო

ბრაზილიელი რონალდო აპრილიდან შესაძლოა მოედანზე ვიხილოთ

8 ამერიკამ ფორმულა გაიხსენა

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ყველა ტრასა პლუს ინდიანაპოლისი

ნაკრები ფორმაშია

lotto მილიონი სამოსის ჩაუთვლელად

„ლოტოთი“ მოსილი „დინამო“ თბილისში ბილბაოს „ატლეტიკის“ 2:1 ძლევას გაუხარებია

გადრი ქუთელაძის ფოტო

საქართველოს ნაკრებს იტალიური ფირმა „ლოტო“ შემოსავს. ეს გუშინ დილით გადაწყდა. იტალიაში მყოფმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ და გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ „ლოტოსთან“ გააფორმეს სამწლიანი კონტრაქტი, რომლის ღირებულებაც 1,5 მილიონი დოლარია. ამ თანხის დაახლოებით მესამედი მხოლოდ სამოსზე მოდის, დანარჩენი კი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების უცხოურ შეკრებებს, საჭირო აღჭურვილობასა და კიდევ უამრავ სხვა საქმეს მოხმარდება.

ჩვენებურები, კონტრაქტის თანახმად, ყოველწლიურად „ლოტოს“ ახალ-ახალ ნაწარმს მიიღებენ 80 კაცზე.

— ჩვენ პირდაპირ მწარმოებელ ფირმასთან ვაპირებთ შეთანხმებას. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და „ლოტოს“ შორის შუამავალი არ იქნება. ყველაფერს იტალიიდან მივიღებთ. თუ ქართული კლუბებიც ისურვებენ ამ ფირმასთან დაკავშირებას, ხელსაყრელი კონტრაქტის გაფორმებაში აუცილებლად დავეხმარებით — განაცხადა მერაბ ჟორდანიამ ამასწინანდელ პრესკონფერენციაზე.

ვნახოთ, ეგებ „ლოტოს“ მაისურები მაინც გამოდგეს იღბლიანი ჩვენი ნაკრებისთვის. საქართველოს ეროვნულმა გუნდმა სამი შესარჩევი ციკლი „ადიდასით“ როგორც განვლო, სათქმელადაც არ ღირს. ისე, საქართველოს ნაკრებმა ოთხჯერ „კაპას“ ფორმაც მოირგო. ოთხჯერვე ამხანაგური მატჩებისას — კვიპროსთან, რუმინეთთან, ბერძნებთან და ნორვეგიელებთან. ამათგან ქართველებმა მხოლოდ კვიპროსელებს მოუგეს, დანარჩენებთან წააგეს. „კაპასთან“ ურთიერთობა კი მაშინდელმა ფედერაციამ ლამის სკანდალით დაამთავრა. ნორვეგიელებთან შეხვედრის შემდეგ იტალიაში, 1996 წლის 9 ოქტომბერს ნაკრებმა „ადიდასით“ ითამაშა. პერუჯის მატჩამდე „კაპა“ იმუქრებოდა, ჩვენი ფორმა ჩაიცვით, თორემ... საბოლოოდ მოგებული ფედერაცია დარჩა. სხვათა შორის, „ადიდასიც“, რომლის უფასო რეკლამასაც, ახალი ფედერაციის მმართველობის შემდეგ, გუშინდლამდე, ეწეოდა ეროვნული გუნდი.

დღეიდან კი საქართველოს ნაკრებს ახალი ტექნიკური სპონსორი ჰყავს — იტალიური „ლოტო“.

ძოგბა ინასარიძე

ალექსიძის ჟუსლი

ზურაბ მეძველია ლონდონიდან

გუშინ ჰოლანდიიდან დაბრუნებულმა „ჩელსის“ მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ ამ ლონდონური კლუბის ახალი წევრის, ქართველი რატი ალექსიძის ვარჯიში მოინახულა. ალექსიძე, რომელმაც შაბათს გააფორმა „ჩელსისთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი, ჯერაც ცალკე ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად ვარჯიშობს. გუშინვე გაირკვა, რომ ქართველ თავდამსხმელს ბოლო თვეა, ჟუსლი აწუხებს, მაგრამ „ჩელსის“ ექიმთა თქმით, სერიოზული არაფერია და ამას იოლად ეწამლება. ეგ კი არა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას სატრანსფერო ფურცელი რომ მიეღო, ალექსიძე დღესვე სარეზერვო გუნდშიც ითამაშებდა, მაგრამ ეს საკითხი ჯერ მოუგვარებელია და რატი დროს უმთავრესად ვარჯიშს ანდომებს.

რაკი ტრანსფერი ჯერ სანახევროდაა შემდგარი, მისი დეტალებიც ბუნდოვანია. თუმცა გაირკვა ის, რომ მაშინ, როცა რატი ალექსიძე „ჩელსის“ ძირითადი გუნდის მაისურას მოირგებს, მისი ყოფილი-კლუბი, თბილისის „დინამო“ ფეხბურთელის აღზრდისთვის 300 000 გირვანქას მიიღებს.

დღე-დღეზე რატის ბინის პრობლემას გადაუჭრიან. მანამდე კი, სანამ „ჩელსის“ წარმომადგენლებთან ერთად საცხოვრებელს აარჩევდეს, სასტუმროში დარჩება.

თავში მოგახსენეთ, რომ გუშინ რატის ინდივიდუალურ ვარჯიშს ჰოლანდიიდან დაბრუნებული „ჩელსის“ იტალიელი მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი დაესწრო. როგორც აქაური მედია იტყობინება, ვიალი ეინდჰოვენს პსვ-ს ვარსკვლავ რუუდ ვან ნისტელროის გადმოსაბირებლად იმყოფებოდა, თუმცა რა პასუხი მიიღო ჰოლანდიელთაგან, ჯერჯერობით უცნობია.

ტორპედომ წააგო და მეოთხეა

ბულგარულ ალბენაში დასრულდა საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირი, სადაც სხვებთან ერთად საქართველოს „შემოდგომის ჩემპიონი“ — ქუთაისის „ტორპედოც“ მონაწილეობდა. მოგეხსენებათ, შეჯიბრის განმავლობაში ქუთაისელებმა დაამარცხეს უზბეკური „დუსტლიკი“ (4:3), დაუზავდნენ ყაზახეთის ნაკრებს (2:2) და წააგეს ბულგარულ „ლევსკისთან“ (1:2). ამ შედეგებით „ტორპედო“ ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა და მესამე ადგილისთვის მატჩში ვარნის „სპარტაკთან“ მოუწია თამაში.

როგორც ჩვენი ბულგარელი კოლეგები იუწყებიან, შეხვედრა სტადიონ „ალბენაზე“ გაიმართა და მის მსვლელობას 100 მაყურებელი ადევნებდა თვალს.

თამაში ბულგარელთა კარნახით წარიმართა, 3:1 დასრულდა და მესამე ადგილზეც ვარნელები გავიდნენ, ჩვენებურები კი მეოთხეს დასჯერდნენ.

მე-13 წუთზე ორივე გუნდში უდავოდ საუკეთესო იურუკოვმა პირველი ბურთი გაუტანა ქართველებს, რომელსაც კოვაჩევმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე, 53-ე წუთზე მეორე მიაყოლა. მოვლენათა განვითარებით უკმაყოფილო ტორპედოელებს ერთხანს შტურმიც მოუწყვიათ მეტოქისთვის, მაგრამ ვარნელთა მეკარე მოწოდების სიმაღლეზე მდგარა. საპასუხო ბურთი კი 57-ე წუთზე გაუტანია გია იმედაძე — ეს მას შემდეგ მომხდარა, რაც გია მეგრელაძის დარტყმული „სპარტაკის“ მეკარეს უხერხულად მოუგერიებია და იმედაძესაც ყველასთვის დაუსწრია დამატება.

საბოლოო ანგარიში კი იგივე იურუკოვმა დაფიქსირა მატჩში. მან 63-ე წუთზე კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს ყველაზე უკეთესად შეურჩია ადგილი, დაასწრო ტორპედოელ მცველებს და ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

სხვათა შორის, მატჩმა მესამე ადგილისთვის საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა. ამაზე მსაჯის მიერ ნაჩვენები ექვსი ყვითელი ბარათიც მეტყველებს. გუნდებმა თანაბრად გაინაწილეს ბარათები. ქუთაისელთაგან გოგიაშვილი, კვეტენაძეს და ასათიანი გააფრთხილეს.

„ტორპედო“ ვარნის „სპარტაკს“ ამ შემადგენლობით დაუპირისპირდა: სომხიშვილი, მახვილაძე, კვეტენაძე, გოგიაშვილი (ვიჩიბერაძე 77), ჯანაშია (იმედაძე 28), მეგრელაძე, ჩხეტიანი, ამისულაშვილი, ახვლედიანი (მაღლაკელიძე 67), ასათიანი (ბობოხიძე 77), ხვადგიანი.

მართალია, „ტორპედო“ ფინალში ვერ მოხვდა, მაგრამ მას მაინც არ ჩაუვლია უქართველებოდ. ტურნირი მეორე ადგილზე დაასრულა სამარის „კრილია სოვეტოვმა“, რომლის რიგებშიც ორმა ქართველმა ფეხბურთელმა — მეკარე გვარამაძემ და თავდამსხმელმა წიკლაურმა ითამაშეს. სამარელები 1:3 დამარცხდნენ სოფიის „ლევსკისთან“.

ხვიჩა სანიკიძე

უეფა სტადიონებს შეგვიმოწმებს

დღეს საქართველოს უეფას დელეგაცია ეწვევა და ჩვენი სტადიონების ვარგისიანობას შეამოწმებს. უეფას სტადიონების კომიტეტის წევრი ქის დე ბრუინი და აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს სექციის მენეჯერი რობერტ ბოსარტი სომხეთიდან ჩამოვლენ საქართველოში. ჩვენი ფედერაციის წარმომადგენლები სტუმრებს სომხეთ-საქართველოს საზღვარზე დახვდებიან და თბილისში ჩამოიყვანენ.

დღეგანდელი დღის წესრიგი სტუმრების სასტუმრო „შერატონში“ დაბინავებითა და ვახშმით შემოიფარგლება.

ხვალ უეფას წარმომადგენლები თბილისის სამ სტადიონს შეამოწმებენ. ეროვნული სტადიონი, „მიხეილ მესხი“ და „შევარდენი“ მნახველებს ელის. თუმც სანახავიც ბევრი არაფერია. „მიხეილ მესხი“ ჯერაც მშენებარეა, სამუშაოები მიმდინარეობს „შევარდენზეც“, ხოლო ეროვნული ისეთივეა, როგორიც იყო.

ზეგ ევროპელები ქუთაისურ განახლებულ სარბიელს ესტუმრებიან. მერე ფოთის „ფაზისისა“ და ბათუმის „ცენტრალურის“ ჯერიც მოვა.

19 თებერვალს ქის დე ბრუნი და რობერტ ბოსარტი ტრაბზონს მიაშურებენ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უეფას წარგზავნილები ჩვენს სტადიონებზე არსებულ ვითარებას ფირზე აღბეჭდავენ და ხელმძღვანელებს წარუდგენენ. იქიდან კი რა პასუხი მოვა, მხოლოდ ღმერთმა უწყის.

მამუკა კვანტალიანი

ძოძუაშვილი კმაყოფილია, ძოძუაშვილმა გაიტანა

კვიპროსზე მოსამზადებლად მყოფმა თბილისის „ლოკომოტივმა“ უკვე ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და ორჯერვე მოიგო. ჩვენებურებმა შაბათს ხაბაროვსკის ასკ-ს კვარაცხელიასა და მწვრთნელის მოგვარე ძოძუაშვილის გოლებით 2:1 სძლიეს, ორშაბათს კი — არმაზ ჯელაძის გოლით კვიპროსის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, ლარნაკის აეკ-ს.

რუსებს ძოძუაშვილმა ასეთი შემადგენლობა დაუპირისპირა: ლომაია, ბალაშვილი, ჩიხრაძე, აბრამიძე, გილაური, კვარაცხელია, ჭიჭვეიშვილი, კაციაშვილი, გოლეთიანი, ძოძუაშვილი, ხუროძე. ხაბაროვსკელებს ერთი ბურთის გატანა მსაჯის მიერ დამატებულ დროში მოუხერხებიათ. მასპინძლებთან მწვრთნელმა სხვა ფეხბურთელებიც გამოცადა: ლომაია, ბალაშვილი, აბრამიძე ჩიხრაძე, ხიზანიეიშვილი, გამცემლიძე, ჭიჭვეიშვილი, კვარაცხელია, რუსია, ჯელპძე, ძოძუაშვილი. მეორე ტაიმში ტრავმირებული გამცემლიძე და ძოძუაშვილი ონიანმა და ხუროძემ შეცვალეს.

— კმაყოფილი ვარ, ბიჭების მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს. რა თქმა უნდა, ამ ორი მატჩში ბევრი ნაკლი შეიმჩნეოდა, უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. არა უშავს, ამას გამოვასწორებთ. მთავარია, რომ ყველა ფეხბურთელი მონდომებულია. რამდენიმე დღეა, კვიპროსზე ვართ და ბიჭებმა ფიზიკურად საგრძნობლად მოუმატეს — გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა.

დღეს „ლოკომოტივი“ ერთ-ერთ უნგრულ გუნდს უნდა გაეჯიბროს, ხვალ — მოლდოვის „შერიფს“, სადაც ქართველები: რევაზიშვილი, მუჯირი, თარხნიშვილი და თაყაძე თამაშობენ. სხვათა შორის, დავით მუჯირს კვიპროსზე უკვე მოუსწრია ხუთი გოლის გატანა.

კოგა ინასარიძე

არც ერთი მარცხი

ანთალიაში შეკრებაზე მყოფ „ვიტ ჯორჯიას“ ხუთი საკონტროლო შეხვედრიდან ერთიც არ წაუგია. თბილისელებმა შანსი არ დაუტოვეს მაკედონიის ჩემპიონს და დიდი ანგარიშით — 3:0 გაიმარჯვეს. „სლოგა იუგომაგნატს“ გოლები ლევან მელქაძემ, გიორგი ქორიძემ და ლაშა ნოზაძემ გაიტანეს.

ვიტელთა სათადარიგო შემადგენლობამ ფრედ 0:0 დამთავრდა შეხვედრა ავსტრიულ „ნოიდორფთან“. ჩვენებურთა ბოლო საკონტროლო მატჩი კი გუშინ პოლონურ „პოგონთან“ შედგა. საბოლოოდ ფრე — 1:1 დაფიქსირდა. გოლი თბილისელთაგან მელქაძემ გაიტანა. მოგებაც შესაძლებელი ყოფილა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასული ნოზაძეს ბოლო წუთებზე ვერ უვარგია. „ვიტ ჯორჯია“ ანთალიაში დღესაც ივარჯიშებს და ამით მოსამზადებელი ციკლის მესამე ეტაპიც ამოიწურება, თბილისში 18 თებერვალს დაბრუნდება.

დათო დანელია

„მერანის“ თავკაცობა: ანზორ მამალაძე და დავით ფურცელაძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

არ დაიჩოქებს მერანი

ქართულ ფეხბურთში ახალი კაცი გამოჩნდა. დავით ფურცელაძე რამდენიმე დღის წინ თბილისის „მერანის“ პრეზიდენტი გახდა. თითქმის სამთვიანი ობლობის შემდეგ ავჭალელებმა პატრონი იპოვეს. გუნდის გაჭირვებულ ყოფასაც ბოლო მოელო. მერანელებს ამიერიდან აღარც ხელფასი მოაკლდებათ და აღარც პრემია. ყველაფერი ისე იქნება, როგორც ნუგზარ ნავაძის პრეზიდენტობისას იყო. კლუბში ახალი პრეზიდენტის მისვლას სიახლეები მოჰყვება-ხოლმე. ამ დროს ბევრი ცვლილება ხდება. რა იქნება ახლა? რა შეიცვლება „მერანში“? რა გეგმები აქვს დავით ფურცელაძეს? ამას ქვემოთ, ინტერვიუში წაიკითხავთ, რომელიც ბატონ დავითს გუშინ ჩამოვართვით. მანამდე კი ერთს დავამატებთ — მოკრძალებული, თავაზიანი, ენერგიული — სწორედ ასეთია ახალ პრეზიდენტზე პირველი შთაბეჭდილება. დანარჩენს დრო და საქმე გამოაჩენს.

— ბატონო დავით, ნებისმიერი ადამიანი ამა თუ იმ ნაბიჯს გარკვეული მიზნით დგამს. ქართულ ფეხბურთში მოსვლა თქვენ რამ გადაგაწყვეტინათ?

— უპირველეს ყოვლისა, მისმა სიყვარულმა. საერთოდ ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ვარ. ახალგაზრდობაში თავადაც ვთამაშობდი, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდში ვიყავი, თუმცა მალე დავანებე თავი. ახლა კი მინდა ფეხბურთში დავბრუნდე. მსურს, „მერანს“ გვერდით დავუდგე და დავეხმარო. მით უმეტეს, ამის საშუალება მაქვს.

— ვიცით, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ბევრი იფიქრეთ...

— მართალია. ვიდრე ამ ნაბიჯს გადავდგამდი, ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონე. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში კი ძალიან დიდი როლი შეასრულა ჩემმა ახლობელმა ვლადიერ ჩერქეზოვმა. ეს კაცი საფეხბურთო სამყაროში კარგადაა ცნობილი. ფეხბურთის კარგი სპეციალისტია. ვოვამ ყოველმხრივი დახმარება აღმითქვა. მეც მისმა თანადგომამ გამბედინა, ამ საქმისთვის ხელი მომეკიდა. მჯერა, მისი რჩევებით კარგი გუნდის გაკეთებას შეძლებთ.

— ალბათ იცით, რომ კარგი გუნდის შექმნას ფინანსებიც საკმაო სჭირდება.

— ამის პრობლემა, ვფიქრობ, არ გვექნება. მე და ჩემს მეგობრებს, ჩემს გუნდს საკუთარი ბიზნესი გვაქვს. კერძოდ რა, ჯერჯერობით საიდუმლოა, თუმცა ალბათ მთავარი ეს არ არის. მთავარია, ბიჭებმა ითამაშონ. ჩვენ კი ამაში ყოველმხრივ ხელს შევუწყობთ.

— ერთი პერიოდი საქართველოში ძალიან გავრცელდა ეგრეთ წოდებული ერთწლიანი გუნდები. პრეზიდენტები დიდი ამბიციით მიდიოდნენ კლუბში, თუმცა ერთი წლის შემდეგ უცებვე ტოვებდნენ მას...

— ჩვენს შემთხვევაში ეს გამორიცხულია. ჩვენ ფეხბურთში ერთი ან ორი წლით არ მოვსულვართ. რამდენ ხანს დავრჩებით, ნამდვილად ვერ გეტყვით, თუმცა ის კი ვიცი, რომ ქართულ ფეხბურთთან ჩვენი ურთიერთობა დიდხანს გაგრძელდება. ჯერჯერობით დიდი ამბიციებიც არ გვაწუხებს. წლეულს ჩვენი უმთავრესი მიზანი უძლიერესთა შორის დარჩენაა. მთავარი მწვრთნელს, სერგო გაბელაიას თქმით, ამ გუნდით ლიგაში ადგილის შენარჩუნება სრულიად შესაძლებელია და ეს პრობლემა არ უნდა იყოს. იმედია, ამ ამოცანას წარმატებით გადავჭრით.

— ღმერთმა დაგიფაროთ და თუ „მერანი“ გავარდა, მაშინ რას იზამთ?

— გუნდის პირველ ლიგაში დაბრუნებისთვის ვიბრძოლებთ. გავარდნის არ გვეშინია. ეს ჩვენს ფეხბურთიდან წასვლას არ გამოიწვევს. გუნდს ყველანაირ პირობას შევუქმნით საიმისოდ, რომ საუკეთესოთა შორის აღზევდეს, თუმცა მჯერა, საქმე აქამდე არ მივა.

— ალბათ გეცოდინებათ, რომ „მერანის“ ყოფილმა პრეზიდენტმა ნუგზარ ნავაძემ კლუბიდან წასვლის მიზეზად ქართულ ფეხბურთში არსებული სიბინძურე დაასახელა. თქვენ არ გიფიქრიათ ამაზე?

— ამაზეც ვიფიქრეთ და მაინც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ამ საქმესთან შეჭიდება. შეიძლება, მე ყველაფერი არ ვიცი, რაც ქართულ ფეხბურთში ხდება, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა მინდა ჩემი პატიოსნებით და კაცური მიდგომით კარგი ურთიერთობა დავამყარო როგორც ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან, ისე ჩემს სხვა კლუბელ კოლეგებთან.

— ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას ხომ არ შეხვედრიხართ?

— ჯერ არა. იმედია, უახლოეს მომავალში შევხვდები და საერთო ენის გამონახვასაც შევძლებთ.

— გაზაფხულზე საკმაოდ ძნელი ამოცანის გადასაჭრელად უნდა იბრძოლოთ. მიზნის მისაღწევად ახალი ფეხბურთელების დამატებას ხომ არ აპირებთ?

— არა, რადგან გაბელაიას თქმით, ამის საჭიროება არ არის. ლიგაში ადგილის შენარჩუნება ამ კონტინგენტითაც არ უნდა გაგვიჭირდეს.

— ალბათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზეც იზრუნებთ?

— ცხადია. სხვანაირად არ გამოვა. პირველ რიგში გვსურს, საწვრთნელი ბაზა გავაკეთოთ. ადგილზე ჯერჯერობით ვფიქრობთ. შესაძლოა ქალაქის მახლობლად სადმე მიწის ნაკვეთი ავიღოთ და ჩვენვე ავაშენოთ. ამას ყველაფერს კარგად მოვიფიქრებთ და ისე გადავწყვეტთ. სტადიონის კეთილმოწყობასაც ვაპირებთ. ავტობუსსაც შევიძენთ, მაგრამ მანამდე მთავარი პრობლემა — ლიგაში დარჩენა — უნდა გადავჭრათ.

— როგორც ვიცით, გუნდის უკეთ მომზადების მიზნით შეკრების მოწყობასაც აპირებთ?

— ამ დღეებში ლანჩხუთში ვიყავი ამ საკითხის მოსაგვარებლად. გადაწყვეტილია, რომ ყვავილნარს 23 თებერვალს ვეწვევით. იქ ერთკვირიან შეკრებას გავივლით. 29-ში ფოთში „კოლხეთთან“ თასის მატჩი გველის. იქ პირდაპირ ყვავილნარიდან ჩავალთ.

— თქვენი ლანჩხუთში ვიზიტი ბევრმა სხვა ამბავს მიაწერა. ბოლო დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „მერანი“ ლანჩხუთის „გურიასთან“ აპირებს გაერთიანებას?

— ეს წარმოუდგენელია. „მერანი“ „მერანი“ იქნება და „გურია“ „გურია“. გაერთიანება გამორიცხულია.

— დაბოლოს, პრეზიდენტთა უმრავლესობა კლუბში მისვლის შემდეგ გუნდს სახელს უცვლის. თქვენც ხომ არ აპირებთ იგივეს?

— „მერანი“ მშვენიერი სახელია, ძალიან მომწონს, ამიტომ შეცვლასაც არ ვაპირებ.

დავით ფურცელაძესთან ინტერვიუს შემდეგ „მერანის“ ყოფილ ტექნიკურ დირექტორს, ამჟამად კი კლუბის ვიცეპრეზიდენტ ანზორ მამალაძესაც გავესაუბრეთ. ცნობისთვის: ანზორ მამალაძე ის პიროვნებაა, ვინც „მერანს“ დაარსების დღიდან უერთგულა. გუნდიდან ნუგზარ ნავაძის და სხვა ხელმძღვანელების წასვლის შემდეგ მამალაძე ეულად დარჩა, თუმცა კლუბის მიტოვება წამითაც არ უფიქრია, პირიქით, იგი ყოველთვის იმედიანად იყო განწყობილი.

— გუნდში მოსვლის მსურველები ბევრნი იყვნენ — აღნიშნა ბატონმა ანზორმა — მაგრამ მათი უმრავლესობა არახელსაყრელ პირობებს გვთავაზობდა. ყველაზე რეალური „აკადემიასთან“ გაერთიანება იყო. მის პრეზიდენტ შოთა გორგოძეს პირადად ვეწვიე და ეს იდეა შევთავაზე, მოიწონა, თუმცა მასთან მეორედ შეხვედრის შემდეგ მივხვდი, რომ ეს საქმე არ გამოვიდოდა. „აკადემია“ ამდენს ფინანსურად ვერ გასწვდებოდა. გორგოძე მეტად აღარც შემიწუხებია.

— თქვენ იმედი არასდროს დაგიკარგავთ. რა გაძლევდათ ოპტიმიზმის საბაბს?

— პირველ ყოვლისა „მერანის“ ტრადიციები. ეს კლუბი უკვე ჩამოყალიბებულია, თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს და ყოველთვის მჯეროდა, რომ პატრონი გამოჩნდებოდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბევრგან იწერება, თითქოს „მერანი“ გაიყიდა. ეს მართალი არ არის. ბატონმა ნუგზარ ნავაძემ კლუბი დაარსა, თავის მეგობრებთან ერთად. სამოდე თვის წინ იგი ამ საქმეს ჩამოსცილდა. მეგობრებმაც მხარი დაუჭირეს. ძველი დამფუძნებლები გავიდნენ, მათ ნაცვლად კი ბატონი დავით ფურცელაძე შემოვიდა თავის გუნდთან ერთად.

— პირველ ეტაპზე მსაჯობით და ფედერაციის ზოგიერთი წარმომადგენლით უკმაყოფილო იყავით. ახლა, როცა ლიგაში დარჩენის საკითხი გაქვთ გადასაჭრელი, ხომ არ გელით იგივეს განმეორების საშიშროება?

— არა მგონია. ამის თქმის საფუძველს ფედერაციის ხელმძღვანელების მიერ გატარებული სტრუქტურული რეორგანიზაცია მაძლევს. ფედერაციიდან სწორედ ის თანამშრომლები დაითხოვეს, ვისაც ბატონი ნუგზარი აღებდა ხელს.

ყოველივე ეს მაიმედებს, რომ მეორე ეტაპზე ფედერაცია ხელს არ შეგვიშლის. ჩვენც პატიოსანი თამაშის საშუალება მოგვეცემა. ამ შემთხვევაში კი, ვფიქრობ, მიზნის მიღწევას შევძლებთ.

ვანო ოქროპირიძე

ქეცბაიას უკანასკნელი ტანგო ნიუკასლში

ამ უქმეებზე ლეგიონერთა უმეტესობას, შეიძლება ითქვას, ეძინა, გამოსარჩევი და აღსანიშნავი არაფერი გაუკეთებია. ალბათ, საერთოდ კვირის საუკეთესო ლეგიონერის გარეშე დავრჩებოდით, რომ არა ბობი რობსონის უცნაური გადაწყვეტილება, მსოფლიოს საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ 29 წუთით ეთამაშებინა თემურ ქეცბაია.

ეს გადაწყვეტილება უცნაური იმიტომ გახლდათ, რომ ჯერ კიდევ მატჩამდე კვირით ადრე ქეცბაიას და რობსონს მეტად ცხარე დისკუსია ჰქონიათ, რომლითაც ორივე უკმაყოფილო დარჩენილა. თემურმა მწვრთნელს ან ძირითადში დაყენება, ანაც გუნდიდან გაშვება მოსთხოვა, რობსონმა ულტიმატუმი იუკადრისა და მას ახალი კლუბის მოძებნა ურჩია. ყოველივე ამის კვალობაზე ქეცბაიას „მანჩესტერ იუნაიტედთან“ თამაში მართლაც უცნაურად გვეჩვენება.

თემურმა 61-ე წუთზე შეცვალა მატჩის გმირი და მისი ძირითადი კონკურენტი, შოტლანდიელი დანკან ფერგიუსონი და ასეთი დონის შეხვედრისთვის საკმაოდ კარგად გაისარჯა. „სანმა“ და „მირორმა“, ქეცბაიას გარდა, შეცვლაზე შესულ არცერთ ფეხბურთელს აღირსა შეფასება. თემურის გარჯა კი ორივემ „6“-ით შეაფასა.

ეს სამართლიანიც გახლდათ. ქეცბაია ხომ ფლანგიდან ფლანგზე გადაადგილებით შირერს მოქმედების არეალს უფართოებდა. მან რამდენჯერმე გაიტყუა ფრთაზე ჯერ ნევილი, შემდეგ სილვესტრი და ფერგიუსონის გუნდის დაცვის კარიბჭე შირერს ფართოდ გაუხსნა. მეორე გოლი ქართველის ასეთ აქტიურობას მოჰყვა, ქეცბაიამ ხელითაც კი ანიშნა თანაგუნდელს, პასი მის მიერ გახსნილი დერეფნის გამოყენებით მიეცა შირერისთვის და მცველი ფლანგზე გაიტყუა.

სამწუხაროა, რომ ეს მატჩი ქეცბაიასთვის შეიძლება ერთ-ერთი უკანასკნელი გამოდგეს „ნიუკასლის“ რიგებში. მან ოფიციალურად განაცხადა, რომ ტოვებს ჯორდებს, რადგან სათადარიგოებში ყოფნა არ სურს.

არჩილ არველაძემ მეთერთმეტე გოლი გაიტანა სეზონში, თუმცა „ბრედამ“ სენსაციურად წაგო აუტსაიდერ „ვენლოსთან“. „ბრედას“, რომელიც სტუმრად თამაშობდა, დიდი უპირატესობა ჰქონდა, თუმცა ბურთი საკუთარ კარში მიიღო. 71-ე წუთზე არჩილმა პენალტი გაქვითა, 77-ეზე ქართველი გამოცვალეს, 81-ეზე კი „ვენლომ“ გამარჯვების გოლი გაიტანა. ახლა ჰოლანდიის მეორე დივიზიონს სამი ლიდერი ჰყავს: „ზვოლეს“, „გრონინგენს“ და „ბრედას“ 46-46 ქულა დაუგროვდათ, თუმცა „ზვოლეს“ თამაშიც აქვს მარაგში.

გასულ კვირას ბუნდესლიგაში „ფრაიბურგმა“ 2 შეხვედრა გამართა და მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე იაშვილმა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ „მიუნხენთან“ საგოლე პასი მიითვალა, ქართველები მაინც არ ჩანდნენ. „ფრაიბურგმა“ ორივე მატჩი წააგო. „კიკერმა“ კობიაშვილს „4“ და „3,5“, ხოლო იაშვილს „5“ და „4“ დაუწერა. ეს ალბათ, მოსალოდნელიც იყო, რადგან იაშვილს თითქმის წელიწადია, არ უთამაშია.

„დერბი ქაუნთიში“ გადაბარგების შემდეგ გიორგი ქინქლაძემ პირველად გაატარა მინდორზე 90 წუთი და კიდევ ერთი საგოლე პასი გააკეთა. „სანდი მირორმა“ ქართველს „7“ დაუწერა, „სანმა“ — „6“. ქინქლაძემ 59-ე წუთზე გაატანინა ებრაელ ავი ნიმნის, „დერბიმ“ კი კვლავ წაგო. „მართალია, იგი ოდნავ მოდუნებული და მორიდებული იყო, მაგრამ მაინც ვისიამოვნე“ — თქვა „ქოვენთრისთან“ წაგების შემდეგ ჯიმ სმიტმა. „ქართველი ფორმას იბრუნებს“ — დარწმუნებულია „დერბის“ მენეჯერი. „ქოვენთრის“ მწვრთნელმა კი მარცხი იმას დააბრალა, რომ მისმა მცველებმა ქინქლაძის ნაწილობრივ დაკეტვა მოახერხეს.

ისრაელში ლიდერობა დაკარგა ჰაიფას „მაკაბიმ“. გახოკიძის გუნდმა თანალიდერ თელ ავივის „მაკაბისთან“ შინ 1:2 წააგო და მას 3 ქულით ჩამორჩა. მედიამ გახოკიძეს დაბალი შეფასება, „5,0“ დაუწერა. გიორგი დარასელიამ კი კვლავ საგოლე პასი გააკეთა და შინ ფეითაჰ თიქვას „მაკაბისთან“ ქულა გადაარჩინა (2:2). „ძუკუმ“ „6,0“ დაიმსახურა.

საბერძნეთში შინ დამარცხდა პატრას „პანაჰაიკი“ და კლუბის პრეზიდენტმა ორი კვირის წინ დანიშნული ნიკოს ალეფაკოსი მოხსნა. ნატროშვილმა 75 წუთი ითამაშა და შეცვალეს. ჯერ ისევ არ უთამაშია „ირაკლისის“ ახალწვეულ ლევან ქებაძეს.

ბელგიაში „ლიერსმა“ „ვესტერლო“ დაიფრინა — 7:0, თუმცა შეყილაძე მინდორზე არ გამოჩენილა. მეორე დივიზიონში კი ლაშა ჯაკობიამ საგოლე პასით „ვეზეტი“ მარცხისგან იხსნა. ჯაკობიას გუნდი ლიეჟურ დერბიში „ლიეჟს“ გაეჯიბრა და სულ მდევრის როლში იყო, 51-ე წუთზე ჰაბერტმა ჯაკობიას პასით 3:3 გახადა, ამის მერე სტუმრებს ორი გოლის გამტანი კალე გაუგდეს, თუმცა „ვეზეტმა“ ისევ ვერ ივარგა.

ამ ტურში საერთო სირცხვილს გადაურჩა შოთა არველაძე. იგი კვლავ ტრავმირებულია, ამიტომ არც პსვ-სთან სამარცხვინოდ წაგებულ მატჩში (0:4) მონაწილეობდა, არც „ტილბურგთან“ ძლივს მოგებულ შეხვედრაში. „ამსტერდამ არენაზე“ კი „აიაქსი“ ფანებმა საშვილიშვილოდ შეარცხვინეს. სტადიონზე მისულებმა ზუგრი შეაქციეს და თავიანთი გუნდის საცოდაობას არ უცქირეს. პირველი ტაიმის შემდეგ კი სულაც შინ წავიდნენ.

სიმონ მენაბდე

თემურ ქეცბაია „ნიუკასლიდან“ მიდის: სკამზე ჯდომას ვერ ეგუება

ქეცბაია შეფილდ იუნაიტედმაც მიიწვია

გუშინ თემურ ქეცბაიას მსურველ კლუბებს გამოაკლდა „ჰადერსფილდი“ და მიემატა „შეფილდ იუნაიტედი“. მოგეხსენებათ, ორივე პირველდივიზიონელია. თუმცა „ჰადერსფილდი“ გაცილებით უკეთეს სიტუაციაშია, მე-5 ადგილზეა და შეიძლება პრემიერლიგის საგზურისთვისაც იბრძოლოს. „შეფილდი“ მე-13 ადგილზეა და არც გავარდნა ემუქრება და არც რაიმე ამბიცია ამოძრავებს. ეს სწორედ ის გუნდია, რომელიც ორი თვის განმავლობაში ცდილობდა „აიაქსიდან“ გიორგი ქინქლაძის შეძენას, მაგრამ ბოლოს „დერბი ქაუნთი“ შეეცილა.

გუშინ „შეფილდის“ ახალმა პრეზიდენტმა დერეკ დულმა, რომელმაც ამ პოსტზე მაიკლ მაკდონალდსი შეცვალა, განაცხადა, რომ მზად არის, ქართველ ნახევარმცველში „ნიუკასლს“ 500 000 გირვანქა გადაუხადოს. თანაც დააყოლა, რომ კლუბს ეს ფული მას შემდეგ ექნება, როცა პორტუგალიელ ბრუნო რიბეიროს გაყიდის.

ამასობაში კი „ჰადერსფილდის“ მენეჯერმა სტივ ბრიუსმა აღიარა, რომ აღარ სურს ქეცბაიას შეძენა, რადგან გამოკვეთილი ფორვარდის აყვანას აპირებს.

შეგახსენებთ, რომ მთელი ეს ალიაქოთი ქთველის გარშემო მას შემდეგ დაიწყო, რაც ქეცბაია ბობი რობსონს მოელაპარაკა. ქართველმა მოითხოვა, ან ძირითადში ათამაშონ, ან გუნდიდან გაუშვან. რობსონმაც აღარ დაკავა და ახალი კლუბის მოძებნა ურჩია.

რობსონმა გუშინ ასევე გაუშვა გუნდიდან გალაჰერი. ეს უკვე მოერე ნახევარმცველია ამ კვირაში, რომელიც მან ტრანსფერზე დააყენა. პირველი გლასი იყო. მათი და ქეცბაიას შემცვლელად რობსონს „ფეიენოორდის“ 30 წლის ჰლეიმეიკერი პოლ ბოსველტი ესახება, რომელშიც 3,8 მილიონ გირვანქას იხდის.

ქეცბაიას კვლავაც ეპატიჟება ბელგიური „გენკი“. „ვესტ ჰემ იუნაიტედს“ კი ინტერესი გაუნელდა. შეგახსენებთ, რომ „ნიუკასლი“ თემურისთვის მეხუთე კლუბი იყო. ქეცბაიამ კარიერა სოხუმის „დინამოში“ დაიწყო, იქიდან თბილისის „დინამოში“ გადავიდა. „დინამომ“ 10 000 დოლარად კვიპროსის „ანორთოსისში“ გაყიდა. ამ კლუბთან მას კაბალური კონტრაქტი ჰქონდა, რომელიც მას შემდეგ დაირღვა, რაც ათენის აეკ-მა გარკვეული თანხა გადაუხადა „ანართოსისს“. საბერძნეთიდან კი ქეცბაია, როგორც თავისუფალი აგენტი, „ნიუკასლში“ გადავიდა.

სიმონ მენაბდე

სახელი გვარი	კლუბი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა
ინგლისი					
პრემიერლიგა					
თემურ ქეცბაია	ნიუკასლი	შ	მანჩესტერი 3:0	29	შეცვლაზე ითამაშა
გიორგი ქინქლაძე	დერბი	ს	ქოვენთრი 1:2	90	საგოლე პასი
რატი ალექსიძე	ჩელსი	შ	უიმბლდონი	0	ახალწვეულია
პირველი დივიზიონი					
კახი ცხადაძე	მანჩესტერ სიტი	შ	ნორვიჩი 3:1	0	ტრავმა
გერმანია					
ბუნდესლიგა					
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	აინტრახტი 0:2	75	შეცვალეს
		ს	მიუნხენი 1:3	90	საგოლე პასი
ლევან კობიაშვილი	ფრაიბურგი	ს	აინტრახტი 0:2	90	
		ს	მიუნხენი 1:3	90	
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	ს	აინტრახტი 0:2	0	ტრავმა
		ს	მიუნხენი 1:3	90	
ჰოლანდია					
პირველი დივიზიონი					
შოთა არველაძე	აიაქსი	ს	პსვ 0:4	0	ტრავმა
		შ	ტილბურგი 3:1	0	ტრავმა
მეორე დივიზიონი					
არჩილ არველაძე	ბრედა	ს	ვენლო 1:2	77	გოლი, შეცვალეს
ბელგია					
უმაღლესი დივიზიონი					
გელა შეყილაძე	ლიერსი	შ	ვესტერლო 7:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
მეორე დივიზიონი					
ლაშა ჯაკობია	ვეზეტი	შ	ლიეჟი 3:3	80	საგოლე პასი, შეცვალეს
საბერძნეთი					
უმაღლესი დივიზიონი					
გოდერძი ნატროშვილი	პანაჰაიკი	შ	არისი 1:2	75	შეცვალეს
ლევან ქებაძე	ირაკლისი	შ	კავალა 2:1	0	ახალწვეულია
ისრაელი					
უმაღლესი დივიზიონი					
გიორგი დარასელია	ჰაპოელი (ქფარ სავა)	შ	მაკაბი (ფ) 2:2	89	საგოლე პასი, შეცვალეს
გიორგი გახოკიძე	მაკაბი (ჰაიფა)	შ	მაკაბი (თ) 1:2	70	შეცვალეს

კაიდარაშვილი კრივბასმა მოიტაცა

გორელი ალექსანდრე კაიდარაშვილი, რომელიც შარშან ტერნოპოლის „ნივაში“ თამაშობდა და ახალ სეზონისთვის ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ ემზადებოდა, მოულოდნელად ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის, კრივოი როგის „კრივბასის“ შემადგენლობაში აღმოჩნდა.

კაიდარაშვილმა „მეტალურგთან“ ერთად ჯერ არაბთა გაერთიანებული საემიროებში, შემდეგ კი იტალიაში გაიარა მზადება. მირონ მარკევიჩმა სწორედ ეს ტერნოპოლელი დაიტოვა, კახა დგებუაძე კი ისევ „ნივაში“ გაუშვა. მარკევიჩმა ისიც განაცხადა, რომ „ნივასთან“ მოლაპარაკებები მალე დასრულდებაო.

თუმცა უეცრად საქმეში „კრივბასი“ ჩაერია და კაიდარაშვილი დაითანხმა, გუნდს ავსტრიაში შეკრებაზე გაჰყვეს. კლუბის მწვრთნელი ოლეგ ტარანი სწორედ იქ გადაწყვეტს კაიდარაშვილის ბედს.

სიმონ მენაბდე

დავითნიძეც დაღესტნელებს შეუერთდა

ფოთელი კოლხი გიორგი დავითნიძე, რომელიც მოსკოვის „ტორპედომ“ არ აიყვანა, მახაჩყალის „ანჟის“ შეუერთდა თურქულ შეკრებაზე დაბა ბელეკში, რომელიც ანთალიასთან ახლოს მდებარეობს, ჩვენებურმა ფეხბურთელმა „ანჟის“ რიგებში პირველი მატჩიც გამართა. „ანჟიმ“ სარეზერვო შემადგენლობით 0:1 წაგო მაკედონიის „სლოგასთან“ დავითნიძის გარდა ამ მატჩში ძმებმა გიგიაძეებმა და გოგობერიშვილმაც ითამაშეს. ლევან მიქაძე კი „ანჟის“ ბოლო მატჩებში აღარ ჩანს.

სიმონ მენაბდე

ალადაშვილმა აპოლონი დააჯერა

გორდაში ისევ გაურკვევლობაა

საშუასეზონო მზადებას განაგრძობენ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდები. გუშინ ბოლნისში განმეორებითი საკონტროლო მატჩი გამართეს „სიონმა“ და „გორდამ“. ამ გუნდების პირველი შეხვედრა ხუთი დღით ადრე „ფოლადზე“ ფრედ 1:1 დასრულდა. ქვემოქართლელები ბოლნისშიც დაუზადნენ ერთმანეთს უგოლო მატჩში. „გორდას“ კარს ახლად დაბრუნებული ბედიაშვილი იცავდა, დაცვის ხაზში კი რუსთაველთა რიგებში სანდრო ბურნაძე გამოჩნდა. მოგეხსენებათ, ამ ფეხბურთელმა გასულ სეზონში „სამგურალში“ სტაბილური გამოსვლით დაიგდო სახელი. XI ეროვნული ჩემპიონატის დაწყების წინ ბურნაძით თურქული „ვანსპორი“ იყო დაინტერესებული, მაგრამ მაშინ ქართველი ფეხბურთელის თურქულ ვანში გამგზავრება არ მოხერხდა, რადგან „ვანსპორის“ მწვრთნელთა კოჰორტამ გვარიანი ცვლილება განიცადა და ბურნაძეც უგუნდოდ დარჩა, თუმც მან საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლოს თბილისის „ლოკომოტივს“ მიაშურა. იქაც პირველივე ვარჯიშზე მძიმედ დაშავდა და დღემდე მტკივნეულ ფეხს მკურნალობდა. დღეს კი ბურნაძე „გორდასთან“ ერთად ემზადება, მაგრამ ჯერაც გაურკვეველია მისი ბედი, რადგან ნიჭიერ მცველს უცხოეთში თამაშის გაგრძელების შესაძლებლობაც გამოუჩნდა და მისი „გორდაში“ დარჩენის საკითხიც საეჭვოა, თუმც იასონ ალადაშვილი, რუსთაველთა მთავარი მწვრთნელი, იმედოვნებს, რომ „გორდა“ ბურნაძეს შეინარჩუნებს.

გაურკვეველი სიტუაციაა ძმები კილასონიების ირგვლივაც.

კილასონიებს რამდენიმე ქართული გუნდი იწვევს, მაგრამ ჯერჯერობით „გორდაში“ ემზადებიან. იასონ ალადაშვილი ამ შემთხვევაშიც იმედიანადაა, ძმებს უთუოდ დავიტოვებთ, ალბათ ამის საშუალება გამოგვიჩნდებაო. შესაძლოა მთავარი მწვრთელის სიტყვებს რამდენიმე დღის წინ „ფოლადზე“ ორი თბილისელი ბიზნესმენის გამოჩენაც უმაგრებდეს ზურგს. წინასწარი ინფორმაციით, „გორდას“ სათავეში გვარიანი ცვლილებებია. მოსალოდნელი, მოკლედ ჯერჯერობით რუსთავულ გუნდში ამ მხრივაც გაურკვევლობაა.

სამაგიეროდ, გარკვეულია უმცროსი ალადაშვილის — ლაშას საკითხი. „გორდას“ ფორვარდი უცხოეთში გააგრძელებს თამაშს.

ლაშა ალადაშვილი ამას წინათაც იმყოფებოდა ბერძნულ „აპოლონში“ გასასინჯად. იქაურებს მოსწონებიათ და დაბირებიან, მალე დაგიძახებთო. როგორც ჩანს, ბერძნებმა სიტყვა არ გატეხეს და რამდენიმე დღის წინ რუსთაველმა ფეხბურთელმა „აპოლონს“ მიაშურა.

იასონ ალადაშვილმა თქმით, ლაშა უკვე ირიცხება ბერძნულ კლუბში, მაგრამ მას სავარაუდოდ მაისამდე მეორე ლიგის ერთ-ერთ გუნდში გაანათხოვრებენ იქაური სატრანსფერო წეს-კანონების საფუძველზე.

პაატა კვანტალიანი

ლაშა ალადაშვილი

— გადმოვიღებულია ფოტოდან

შინისკენ!

გუშინ უკრაინის პირველ ლიგაში მე-15 ადგილზე მყოფ კიევის „ობოლონთან“ ფრედ — 0:0 ნათამაშევი მატჩით დასრულდა ფოთის „კოლხეთის“ მორიგი ბულგარული შეკრება.

კიეველებთან ტყეებუჩავამ შერეული შემადგენლობა ათამაშა — ძირითადით გვინდოდა, მაგრამ კედელაშვილს, ფანჩულიძეს და პაპავას მცირე ტრავმები აწუხებდათ და დავვასვენეთო.

ქვაჩახია, გ. ჩიტაია (კვირკველია), ტორჩინავა, მ. ქობულაძე, ჩხენკელი (ქუნთელია), შალამბერიძე, კიკლიაშვილი, ღაღანიძე, შავგულიძე, ე. გვასალია, ხუჭუა — ასეთი გახლდათ ფოთელთა თერთმეტეული. „კოლხეთის“ კარს ექვსივე მატჩში ზურაბ ქვაჩახია იცავდა. ფოთელებს მეორე მეკარე, მამუკა გვასალიაც ჰყავდათ წაყვანილი, მაგრამ მან ფილტვების ანთება ახლა მოირჩინა და ვარჯიშსაც ფოთში დაბრუნებისთანავე განაახლებს.

— გუნდი ფაქტობრივად დაკომპლექტებულია, 24-26 კაცი სრულიად საკმარისია. ახლა ადგილზე განვაახლებთ მზადებას და ალბათ რამდენიმე ამხანაგურსაც გავმართავთ. მერე კი თასის მერვედფინალური მატჩიც გველის თბილისურ „მერანთან“ — გვითხრა სატელეფონო საუბრის ბოლოს „კოლხეთის“ მწვრთნელმა გია ტყეებუჩავამ.

გიორგი ვაშაძიძე

საშუასეზონო მიდი-მოდი

I–VIII	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*	მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი)	გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი)	ქოზმეთიფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, იესილი (ყაზახეთი) 0:0, ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:2, ყაზახეთი 2:2, დუსტლიკი (უზბეკეთი) 4:3, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:3
დინამო *ოთარ კორძაია*	აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გიგიაძე, ს. გიგიაძე (ანჟი, რუსეთი)	გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, გ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე, დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), გადელია (ბათუმი), რ. არველაძე (ობერპაუზენი, გერმანია), გონჩაროვი (არსენალი), ჩხეიძე (არ თამაშობდა)	ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგდინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ პასტაუ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0, დებრეცენი (უნგრეთი) 0:1
კოლხეთი *გია ტყეებუჩავა*	დავითნიძე (ანჟი, რუსეთი), დ. გოგოლაძე (ვენტსპილსი, ლატვია), ჭოხონელიძე (დილა), ბულუხია, გ. გიორგაძე (თამაში მიატოვა), მელაძე (?)	მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამოარ თამაშობდნენ), დ. კვირკველია, კრასოვსკი (კოლხეთი 2), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი)	ნივა (ტერნოპოლი, უკრაინა) 1:1, სტალი (ალჩევსკი, უკრაინა) 0:1, პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, 0:2, ობოლონ 33 (კიევი, უკრაინა) 0:0
ბათუმი *ჯანი კარნეველე*	პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე (?)	ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), ბოკიჩი (ნაციონალი, ბუქარესტი, რუმინეთი)	რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1, სტიაუა (რუმინეთი) 3:4
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (თსუ)	ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო)	ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1, ფენდიქსფორი (თურქეთი) 3:1, სპორტული (რუმინეთი) 1:1, სლოგა (მაკედონია) 3:0, ნოიდორფი (ავსტრია) 0:0, პოგონი (პოლონეთი) 1:1
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი)	მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი)	ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:1, 1:3, გორდა 1:1, 0:0
დილა *მერაბ კოპლაშვილი*	გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (მერიფი, მოლდოვა)	საყვარელიძე (დილასსკოლა), ჭოხონელიძე (კოლხეთი)	ვიტ ჯორჯია 0:1, ლოკომოტივი 3:1, თსუ 0:0, თბილისი 2:0, 0:1, მერანი 0:0, 0:5
იბერია *სოსო ფრუიძე*	კ. მეტრეველი (დნეპრი, უკრაინა), ზ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), დარსაძე (სამგურალი), ქველაძე (?)		

IX–XVI	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (რაკლინი, საბერძნეთი), ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი), დ. ჯანელიძე, ნიენიავაძე (არსენალი), ჩომახიძე (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), კ. მელქაძე, ამაშუკელი (თბილისი), ნემსაძე, დოლაბერიძე (?)	ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), დ. გოდერძიშვილი, პარამონოვი (თბილისი 2), ჭიჭვეიშვილი (ალანია, რუსეთი), თოლორდავა (მერანი), ა. ჯელაძე (ალიტიჰადი, საუდეთი), გ. გვაზავა (თსუ), ონიანი (ზოები), ნიკურაძე (გურია), მორჩილაძე, არეშიძე (ლოკომოტივი 2), დევდარიანი (ცხუმი), გამცემლიძე (არ თამაშობდა)	დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1, თსუ 1:0, 2:2, სკა (ხაბაროვსკი, რუსეთი) 2:1, აეკ (ლარნაკა, კვიპროსი) 1:0
გორდა *იასონ ალადაშვილი*	ინსარიძე (თორი), ლ. ალადაშვილი (აპოლონი, საბერძნეთი), თელიაშვილი (?)	კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), ბედიაშვილი (თბილისი), გაბარაევი (მამული), დ. ნიკლაური, სულაშვილი, ძებისაშვილი, ლ. კაპანაძე (ხალიბი), ლ. სილაგაძე (სკონტო 2, ლატვია), ბურნაძე, შ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ)	ხალიბი 4:3, 3:2, სიონი 1:1, 0:0
თსუ *თენგიზ კაკია*	მერლანი (ვიტ ჯორჯია), ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), გ. გვაზავა (ლოკომოტივი)	მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი)	ვიტ ჯორჯია 4:6, ლოკომოტივი 0:1, 2:2, მერანი 1:0, ზოოვეტი 4:2, დილა 0:0
მერანი *სერგო გაბელაია*	ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი), დავითაშვილი (არსენალი, ტულა, რუსეთი), ბ. ამბიძე, ლ. ამბიძე (დინამო, ასტრახანი, რუსეთი)	კოშაძე, ავალიანი, მელიქია, კვანტალიანი, მიკეჩაძე (ამირანი), გ. ილურიძე, აბულაძე (განთიადი), ბოლქვაძე (გურია), ა. ხორბელი (არ თამაშობდა)	ვიტ ჯორჯია 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0, დინამო 0:0, თსუ 0:1, ჭაბუკიანი 1:1, ცხუმი 6:0, 3:1, დილა 0:0, 5:0
თბილისი *რამაზ ბუბლაძე*	ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, გ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია), ბედიაშვილი (გორდა)	ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩიკვაძე, ახალია (თბილისი 2), კოხრეიძე (სამგურალი), კ. მელქაძე, ამაშუკელი (ლოკომოტივი), ხუციშვილი (მერიფი, მოლდოვა), ლუდუშაური (არ თამაშობდა)	დილა 0:1
სამგურალი *იასონ ბზიკაძე*	ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოხრეიძე (თბილისი), კოპალიანი (XXI საუკუნე)	კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), გიორგობიანი (ლუჩი, ვლადივოსტოკი, რუსეთი), დარსაძე (იბერია)	ინტერი 8:0
ხობი *უმწვრთნელოდ*	ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?)		
არსენალი *ჯონი ჯანელიძე*	ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (დინამო), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს)	ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნიენიავაძე (ლოკომოტივი), ქოიავა (არაგვი), ტულუში (?); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი)	სიონი 3:1, 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, არსენალი 2 3:0, აკადემია 3:0

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

ათი წელიც გასრულდა...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ძველი შენობა იამანიძის №5-ში

ირაკლი ნიკოლაძის ფოტო

რა დრო გასულა მას აქეთ. ეს ხომ სეფეხბურთო ისტორიის ერთი ეპოქაა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დამოუკიდებლობის ათი წელი შეუსრულდა.

ბევრს კარგად ახსოვს 1990 წლის 15 თებერვალი. სწორად მაშინ ირჩია ქართულმა ფეხბურთმა თვითმყოფადობა.

ზუსტად ვერავინ განსაზღვრა რა იყო ის, პოლიტიკოსების მიერ კარგად შერჩეული და გამოყენებული პერიოდი, თუ წლების მანძილზე ქართული ფეხბურთის გულში დაგროვილი ბოღმის ამოფრქვევა. ალბათ, ორივე ერთად.

საბოლოოდ ყველაფერს ერთი პასუხი გაეცა — ქართულმა ფეხბურთმა გადაწყვიტა, საკუთარი ბედ-იღბალი თავად გამოეძერწა.

გრძელი გზა გამოიარა დღემდე. ყოფილა უსაზღვრო სიხარული და უფრო მეტი იმედგაცრუებაც. იყო და არის უსახსრობა, დაბეჩავებული ეროვნული ჩემპიონატი.

ბევრმა, ძალიან ბევრმა შეხედა ახალ დროებას ოპტიმისტურად. ბევრიც დიდი ენთუზიაზმითა და გაორკეცებული ენერგიით შეუდგა საძირკვლის ჩაყრას.

მერე ნაპერწკალი გაქრა. უმრავლესობა მხოლოდ ლაპარაკობდა, თითო-ოროლა საქმეს აკეთებდა, მაგრამ ქართული ფეხბურთი მაინც არსებობდა, წელიწადს წელიწადზე ითვლიდა.

...იყო ნადარ ახალკაცი, ქართული ფეხბურთის გაუცინარი ხელმწიფე. მისი ზეობის ეპოქაში ვერავინ შეძლო მისთვის საძირკველი შეერყია. მუდმივი დაპირისპირებებისა და კონფლიქტებისას ახალკაცმა ქურთული ფეხბურთი გარკვეულ დონემდე აიყვანა. შეიძლებოდა მეტიც მოესწრო, მაგრამ...

სხვებიც იყვნენ... ზოგი სახელიანი, ზოგიც ნაკლებად ცნობილი. მეგობრობაც იყო, შუღლიც და ორპირობაც. ან კი რა გასაკვირია, ქართული ფეხბურთი ხომ საქართველოსია.

იამანიძის ქუჩაზე, ხუთ ნომერში, მდგარი ნაგებობაც ბევრს ახსოვს. სწორედ იქ დასახლდა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ფედერაცია.

სარდაფში სახინკლე მუშაობდა, ცენტრალური შესასვლელიდან პირველი სართულის ერთ ნაწილში ბანკიც არსებობდა ერთხანს.

ერთ დროს იქ ცხოვრება დუღდა. მუშაობდა ხალხი, ყოველ შემთხვევაში, თავს მაინც გვაჩვენებდნენ ასე.

იამანიძის ქუჩაზე, ხუთ ნომერში, ის ნაგებობა დღესაც დგას. ვერ იტყვით, ამაყადო, რადგანაც ცარიელია. უპატრონოც არ ჰქვია, მაგრამ მაინც უტყვია. არ ვიცით, რა ელის, ალბათ, აუქციონზე გაყიდიან, თუმც ზოგიერთები დაჟინებით ამტკიცებენ, სასტუმროდ გადავაკეთებთო. არადა, დასანანი კი იქნება იმ ნაგებობის დაკარგვა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ იქ აიდგა ფეხი.

იმ ათი წლის მანძილზე ფიფა-უეფას გავუშინაურდით. ქართული გუნდები და ნაკრებები საერთაშორისო სარბიელზეც გვიხილავს. მართალია, ამ ბოლო დროს ყველაფერი წავაგეთ, რისი წაგებაც შეიძლებოდა, მაგრამ გამონაკლისის სახით ერთი-ორი გამარჯვებაც გვახსოვს.

ასეთია ქართული ფეხბურთის ათწლეული, რომელმაც საბოლოოდ ბევრი იმედგაცრუება დაგვიგროვა. ფაქტობრივად არ არის ფეხბურთი ფართო გაგებით, თორემ საქართველოში ბურთი მუდამ გაგორდება. თუმც სხვის კლანჭებში ყოფნას მაინც ასეთი ყოფა სჯობს. მაინც თავისებურად სასიამოვნო და სასიხარულო იყო ეს ათი წელიწადი.

...გუშინაც 15 თებერვალი იყო, ოღონდ 2000 წლისა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სპორტის დეპარტამენტს შეხიზვნია. ადრე სამ სართულზე ვერ ეტეოდა, ახლა რამდენიმე ოთახიღა ჰყოფნის.

ერთი ჩვეულებრივი სამუშაო დღეა. სადღესასწაულო ვითარება სულაც არ იგრძნობა... არადა, ხუმრობაა? ფედერაციას არსებობის ათი წელი უსრულდება.

პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ჩოლარია უცხოეთში იმყოფებიან სამუშაო ვიზიტით.

საინფორმაციო განყოფილება ადგილზეა, საშეჯიბროც. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი არბიტრების მზადყოფნას ამოწმებს. აქედან ვასკვნით — ისინი ფედერაციაში ვერ იქნებიან.

კიდევ ერთი-ორი ოთახიდან გამოდის საბავშვო მანქანის კაკუნის ხმა, აქა-იქ საუბარხაც გაგონებ. დერეფანში კანტიკუნტად ვინმე თუ გაივლის და სიმყუდროვეს დაარღვევს.

საინფორმაციო კომიტეტის ოთახში შევდივარ, ვესალმები რევაზ შენგელიას და ვეკითხები

— რა დღეა დღეს?

— 15 თებერვალია — სულ სხვა მპასუხობს.

ვუყურებ რეზოს, იღიმება, თავს იქნევს. მან იცის, რა დღეა და რატომ ვეკითხები. მან საერთოდ ყველა რიცხვი იცის ქართულ ფეხბურთში.

უცბად კარი იღება და მალხაზ ლაცაბიძე შემოდის.

— მალხაზ, რა დღეა დღეს?

— ვიცი, ვიცი. ზოგიერთს მივულოცე კიდეც, მაგრამ...

არც დიდი სიხარული გამოუხატავს, არც რაიმე შეშფოთება და წყენა დასტყობია სახეზე. არ ვიცი, რატომ შემოვიდა. ალბათ, უბრალოდ შემოიხედა.

გავდივარ დერეფანში და ნოდარ კაკულიას ვხვდები.

— მეორე ჯგუფის კალენდარი როდის იქნება მზად?

— ალბათ, კვირის ბოლოს.

— ისე, თუ იცი, რა დღეა დღეს?

—ფედერაციას 10 წელი შეუსრულდა.

ცოტას კიდევ გავივლი დერეფანში და სიანფორმაციოში ვბრუნდები.

— მაინც რა დღეა დღეს? — მეკითხება ის „ვილაც“.

მე და რეზო ვუხსნით, რა დღეცაა.

— ეგ რატომ უნდა ვიცოდე — უკვირს.

— ფედერაციაში მუშაობ და ვალდებული ხარ, იცოდე.

როგორ არ იცი, ცოტა არ იყოს, მიკვირს, მაგრამ მერე ვფიქრდები და ვხვდები, რომ მან არ უნდა იცოდეს. არ შეიძლება, იცოდეს.

დარწმუნებული ვარ, ფეხბურთის ფედერაციაში მოსამსახურეთა ნახევარმა არ იცოდა, რას ნიშნავდა 15 თებერვალი. ასეა, ზოგმა ბევრი იცის, ზოგმა ცოტა.

— რა დღეა დღეს? — ვეკითხები სფფ-ს პრესატაშეს.

— მე მეკითხები მაგას? — გაკვირვებული მეკითხება. შევცდი, მისთვის არ უნდა მეკითხა.

დღევანდელივით მახსოვს ყველაფერი. აუ, რა ამბავი იყო. აბა, მაშინ ვის ეგონა, თუ ყველაფერი ამგვარად წარიმართებოდა.

მე უკვე კიბეებზე ვეშვები, ზურგსუკან კი ხმა მომყვება — ათმეტრიანი საგანგებოდ შეკერილი დროშა გვქონდა დარბაზში. მაშინ ისე არ იყო, ბევრს რომ ჰგონია.

გარეთ მზეა. უფრო თბილა, ვიდრე შენობაში. მე კი „სარბიელის“ ფოტორეპორტიორ ბადრი კეთილაძეს ვეკითხები, რა დღეა დღეს? ვაი, ჩემო თავო, ამოიოხრა მან და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

მამუკა ძვანტალიანი

2000 წლის 15 თებერვალი. ქართული ფეხბურთის სახელისუფლო დერეფანში

ფეხბურთის ფედერაცია ახლა სპორტის დეპარტამენტის შენობაში, მეორე სართულზე მდგმურობს

ბადრი კეთილაძის ფოტოები

რონალდომ ვარჯიში დაიწყო

ბრაზილიელი ვარსკვლავი აპრილიდან შესაძლოა მოედანზე ვიხილოთ

მილანის „ინტერის“ ვარსკვლავმა, ახლახან გაიროს ელჩად არჩეულმა რონალდომ ტრავმის შემდეგ ვარჯიში განაახლა. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელმა ნოემბერში პარიზის ერთ-ერთ კლინიკაში მუხლის ოპერაცია გაიკეთა და მას შემდეგ ვეღარ თამაშობს.

„ინტერის“ პრესატაშეს ცნობით, რონალდომ ტრავმა უკვე მოიშუშა, თუმც ჯერჯერობით სრულ ფიზიკურ დატვირთვას ერიდება და ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს.

„ოპერაციისშემდგომმა პერიოდმა წარმატებით ჩაიარა, რონალდო, ალბათ, მალე საბოლოოდ მოიშუშებს ტრავმას — განაცხადა პრესატაშემ და დასძინა — ბრაზილიელმა ორშაბათს, „ინტერის“ საწვრთნელ ბაზაზე მსუბუქად ივარჯიშა და ერთობ კმაყოფილი დარჩა. იგი მარტის პირველ რიცხვებიდან, ალბათ, გუნდთან ერთადაც მოემზადება, ხოლო ამის შემდეგ ერთ თვეში შესაძლოა მოედანზეც ვიხილოთ“.

შეგახსენებთ, რომ სერია A-ში რონალდოს 21 ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია, „ლეჩესთან“ მატჩში მან საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო.

„ვიმედოვნებთ, რომ აპრილის პირველი რიცხვებიდან იგი „ინტერის“ შემადგენლობაში გამოჩნდება. ექიმები ასე გვპირდებიან“ — დაამატა პრესატაშემ.

ნიკა შუბლაძე



REUTERS პარიზიდან

პარიზში ჩასულ რონალდოს თავისი მეუღლე მილენ დომინგუში თან ახლდა

ვცვლი და ვცვლი

„შინ წარმატებული თამაშების შემდეგ „ტორინოსთან“ ფრეზე მეტი ვერ მოვახერხეთ და ამისათვის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ — თქვა მილანის „ინტერის“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ იტალიის ჩემპიონატის 21-ე ტურის შემდეგ.

ლიპის, უპირატესად, შემადგენლობის დაუსრულებელი ცვლის გამო აკრიტიკებენ, მაგრამ მაესტროპასუხობს: „გასულ სეზონში „ინტერს“ სწორედ ამ პერიოდში უნია ჩავარდნამ. როგორც ჩანს კრიტიკოსები ახლა სწორედ ამას მახსენებენ და ცდილობენ დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი მაშინდელთან შედარების საფუძველზე ჩავატარო, მაგრამ ერთი რამ მინდა მოგახსენოთ: თუ ჩვენი გუნდი თავდადებით იბრძოლებს და სეზონის ბოლომდე შეინარჩუნებს უტეხ სულს, მერწმუნეთ, ხალხს გასული სეზონის შავი პერიოდი დაავიწყდება. ჩვენ კრიზისში არ ვართ. გუნდი პროფესიული თვალსაზრისით იზრდება და ამ გზიდან გადახვევას ერთი წუთითაც არ ვაპირებთ. ჩემი მოთამაშეებიდან ერთიც რომ ვნახო გატეხილი, დაუყოვნებლივ დავასვენებ ათი დღით“.

შემდეგ ლიპიმ განმარტა, რატომ გადაწყვიტა 22 ძირითადი ფეხბურთელის შერჩევა და რატომ ცვლის ასე ხშირად სასტარტო შემადგენლობას.

„ძალიან კარგად ვიცი, რომ 13 ან 14 ძირითად მოთამაშესთან მუშაობა სხვაა და იქნებ უკეთესიც, მაგრამ მეორე მხრივ დანარჩენი ფეხბურთელები სასტარტო შემადგენლობაში გამოსასვლელად მოუმზადებელნი რჩებიან. არადა მათი თამაშის აუცილებლობა უეჭველად დადგება და სულაც არ მინდა ამ დროს ისინი დაფრთხნენ. ასეთი რამისგან თავის დასაღწევად ჯობს ყველას მიეცეს ძირითადში თამაშის შანსი, თუნდაც ამან გამოცდილებისა და გამოუცდელობის აღრევა გამოიწვიოს. ვიცი, რომ სტრატეგია, რომელზეც მოგახსენებთ აუცილებლად მოგვიტანს პერიოდულ უშედეგობას, მაგრამ ეს ჩემი არჩევანია.

გარდა ამისა, ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ ძალიან დიდი დროა, ხოლო ქულები ჯობს მასში დავითვალოთ. ამ წუთას მიზნად იტალიის თასის მოგება გვაქვს დასახული“.

ახლა იმის შესახებ თუ რა ხდება პინეტინას საწვრთნელ ცენტრში: ფრანგმა სირილ დომორომ როგორც იქნა მოახერხა საქმეში დაბრუნება, ხოლო რონალდოს ძუნძული სავარჯიშო მოედნის გარშემო კვლავ თანაგუნდელების ღიმილისა და ხუმრობას იწვევს. დაშავებულნი არიან: კორდობა, სამორანო და დი ბიაჯო, ხოლო ხავიერ ძანეტი ძველებურად ათამაშდა.

მარჩელო ლიპი

ფეხბურთის რუბრიკა

იტალიის სერია B-ში მოსპარეზე „ჯენოამ“ მთავარი მწვრთნელი დელიო როსი თანამდებობიდან დაითხოვა. აშკარა კრიზისში მყოფი „ჯენოა“ უკანასკნელ ტურში „პესკარასთან“ დამარცხდა 1:3, ამით სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გაიუარესა. კლუბის ახალ თავკაცად ბრუნო ბოლჩი დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი უძველესი გუნდი სერია A-დან 1995 წელს გავარდა.

ინგლისის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა, ამჟამად „მიდლსბროში“ მოსპარეზე პოლ გასქოინმა პრემიერლიგის უკანასკნელ ტურში, „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ მატჩში, ხელი მოიტეხა. ფეხბურთელი პირველი ტაიმის მიწურულს მეტოქესთან ორთაბრძოლის დროს დაშავდა. თამაში ვეღარ გააგრძელა და ჰოსპიტალში წაყვანაც კი დასჭირდა. რამდენ ხანს გასტანს მკურნალობა, ჯერჯერობით უცნობია. მატჩი კი სტუმარმა „ასტონ ვილამ“ მოიგო — 4:0.

რუმინული ბუქარესტის „ნაციონალი“ შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსში“ მოსპარეზე მცველის, დანიელ პროდანის გადაბირებას ცდილობს. „პროდანის შეძენა გვსურს, თუმც ფეხბურთელმა სეზონის ბოლომდე 50 ათასი დოლარი მოითხოვა. ამ თანხის გადახდა კი კლუბს არ შეუძლია. რუმინული ფეხბურთი ამჟამად ფინანსურ კრიზისშია“ — განაცხადა „ნაციონალის“ პრესატაშემ. შეგახსენებთ, რომ 28 წლის პროდანი ერთხანს მადრიდის „ატლეტიკოს“ ღირსებას იცავდა. გლაზგოურ კლუბში ის 1998 წელს 4,2 მილიონ დოლარად გადაბარგდა, თუმცა ხანგრძლივი ტრავმების გამო გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. პროდანი რუმინელია. თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში მას 46-ჯერ უასპარეზია.

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ყოფილი ფორვარდი იან რაიტი, რომელიც გლაზგოს „სელტიკში“ თამაშობდა, ინგლისის მეორედივიზიონელ „ბარნლიში“ გადავიდა. 36 წლის თავდამსხმელმა კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა. ამის შემდეგ კი ალბათ საბოლოოდ გამოეთხოვება დიდ ფეხბურთს. „სელტიკს“ სავარაუდოდ კიდევ ერთი ფეხბურთელი, მეკარე ჯონათან გოულდი დატოვებს. ეს ინფორმაცია ინგლისის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს.

იტალიის ვიცე-ჩემპიონ რომის „ლაციოს“ მთავარმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა სერია A-ში მოღვაწე მსაჯების კრიტიკისგან თავი შეიკავა. უკანასკნელ ტურში „ლაციო“ „პარმას“ დაუპირისპირდა. მატჩი დაბაბული გამოდგა და ფრედ — 0:0 დასრულდა. ამ შეხვედრაში „პარმას“ საჯარიმოში რომაელი ალენ ბოკშიჩი საეჭვოდ წაიქცა. მთავარმა მსაჯმა ბაცოლიმ კი პენალტი არ დანიშნა. ამის თაობაზე, ერიკსონმა პრესკონფერენციაზე განაცხადა: „არ მსურს დაუნიშნავი პენალტების თემას შევეხო, მე მხოლოდ თამაში მაინტერესებს და მოდით, ამაზე ვისაუბროთ“.

ინგლისის პირველ დივიზიონში მოსასპარეზე „ბლექბერნი“ 75 ათას გირვანქად „ვესტ ბრომვიჩის“ მეკარე ალან მილერის შეძენას ლამობს. „ბლექბერნის“ ხელმძღვანელ ტონი პარკსს ჯონ ფილანის ტრავმა ადარდებს, მილერის გადაბირებასაც ამიტომ ცდილობს. „კლუბმა „ვესტ ბრომვიჩიდან“ მილერის ყიდვა განიზრახა. უახლოეს დღეებში ალანი, ალბათ, „ბლექბერნს“ ეწვევა და გუნდთან ერთად შეუდგება ვარჯიშს, მანამდე კი რამდენიმე ოფიციალური დოკუმენტი უნდა გაფორმდეს“ — განაცხადა პარკსმა.

ესპანური ვიგოს „სელტას“ იუგოსლავიელი მცველი გორან ჯოროვიჩი მთავარ მწვრთნელ ვიქტორ ფერნანდესს შეურიგდა და გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა. გასულ კვირას „რაიო ვალეკანოსთან“ შეხვედრის წინ ფეხბურთელს მწვრთნელთან კონფლიქტი მოუვიდა. ამ ფაქტის გამო კლუბის ხელმძღვანელობამ ჯოროვიჩი 17 ათასი დოლარით დაჯარიმა, თუმც ახლა ყველაფერი მოგვარდა და იუგოსლავიელი მცველი თავის კლუბს მომავალ ტურში „მალიორკას“ წინააღმდეგ ალბათ დაეხმარება.

ჰოლანდიისა და ბრიტანეთის შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებმა ორშაბათს საგანგებო ხელშეკრულება გააფორმეს. ევროპის მომავალი ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს ერთმანეთს ოპერატიული ინფორმაციის გაცვლისა და დამნაშავე ხულიგანი ფანების დასაკავებლად ურთიერთდახმარება აღუთქვეს. ინგლისელ გულშემატკივართა ექსტრავაგანტულობა საქვეყნოდ ცნობილია, ჰოლანდიელ სამართალდამცავებსაც მთავარი საფიქრალი სწორედ მათგან მოეძალათ.

იტალიის სერია A-ს უკანასკნელ ტურში „ვენეციასა“ და „კალიარის“ ფეხბურთელები მატჩის შემდეგ ერთმანეთს წაეჩხუბნენ. ვენეციელი მაურიციო განცის თქმით, მის თანაგუნდელ ფაბიო ვალტოლინას სამმა კალიარელმა ფეხბურთელმა — ლოპესმა, სკარპიმ და ბერეტამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. თავად ლოპესმა დანაშაული აღიარა და განაცხადა: „მართალია, ვალტოლინას წავეჩხუბე, მაგრამ ეს ფაქტი პირადულია და მხოლოდ მასსა და ჩემს შორის მოხდა. მთელი თამაშის მანძილზე იგი აშკარად ცდილობდა, მოთმინებიდან გამოვეყვანე. ბოლოს ნერვებმა მიმტყუნა. როგორც შემდეგ გავიგე, ვალტოლინა ოდნავ დაშავებულია. არ მესიამოვნა, ახლა შეიძლება დისკვალიფიკაცია მომცენ“.

იტალიელმა ბენიტო კარბონემ უარყო მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს მომავალი სეზონიდან „ფიორენტინაში“ გადასვლას აპირებდეს. კარბონე ამჟამად „ასტონ ვილაში“ ასპარეზობს და, როგორც ჩანს, მოსწონს ინგლისში მოღვაწეობა. „ასტონ ვილას“ მთავარი მწვრთნელი ჯონ გრეგორიც კმაყოფილია. ინგლისური პრესის ცნობით, გრეგორიმ კარბონეს კონტრაქტის გახანგრძლივებაც კი შესთავაზა.

კვიპროსის ჩემპიონატი. 17-ე ტური. ენოსისი — ანართოსისი 0:1; ომონია — აეკ 0:3; აპოელი — ოლიმპიაკოსი 2:0; ნეა სალამინა — ეთნიკოსი (აშა) 2:1; აპოპი — ანაგენისისი 5:1; ალკი — ეთნიკოსი (აშნა) 0:4; აპოლონი — აელი 2:1. ჩემპიონატს 49 ქულით ლიდერობს ფამაგუსტას „ანართოსისი“, მეორე ადგილზეა ნიკოზიის „ომონია“ — 41 ქულა, მესამეა ნიკოზიის „აპოელი“ — 36 ქულა.

ისრაელის ჩემპიონატი. 24-ე ტური. ჰაპოელი (თელ ავივი) — ჰაპოელი (ჰაიფა) 1:0; მაკაბი (ჰერცლია) — მაკაბი (ნეთანია) 1:0; ჰაპოელი (იერუსალიმი) — აშდოდი 0:1; მაკაბი (ჰაიფა) — მაკაბი (თელ ავივი) 1:2; ბნეი იეჰუდა — ბეითარი 2:1; ჰაპოელი (ფეთაჰ თიკვა) — ირონი 1:0; ჰაპოელი (ქვარ სავა) — მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) 2:2. ჩემპიონატს 57 ქულით ლიდერობს თელ ავივის „ჰაპოელი“, მეორე ადგილზეა ჰაიფას „მაკაბი“ — 54 ქულა, მესამეა ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელი“ — 48 ქულა.

ჯანლუიჯი ბუფონი — ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი

ჩვენ გვინდა ქალები

ITALIIS რადიომ გამოკითხვა ჩაატარა. ჟურნალისტებს აინტერესებდათ მათ ქვეყანაში 13-დან 20 წლამდე ყმაწვილებს შორის რამდენი ოცნებობს პროფესიონალ ფეხბურთელობაზე.

გაირკვა, რომ ასეთი სურვილით მოზარდ-ჭაბუკთა 42 პროცენტი გახლავთ შეპყრობილი.

კეთილი, მაგრამ რად უნდა ამ ხალხს ფეხბურთის თამაში? აი, თურმე რატომ:

11 პროცენტი ფეხბურთელობას ფეხბურთის თამაშის გამო ირჩევს.

39 პროცენტის აზრით, პროფესიონალობა იმიტომ არის კარგი, რომ ლამაზი ქალებით უზრუნველყოფილი იქნება.

12 პროცენტი კი ფეხბურთელობის უმთავრეს ხიბლად ავტოგრაფის გაცემის მომენტს მიიჩნევს.

დანარჩენი სხვადასხვაა.

შემდეგ, რადიოჟურნალისტებმა ყველაზე პოპულარული ფეხბურთელის ვინაობის დადგენა მოიწადინეს. შედეგი ასეთი გახლდათ: ყველაზე პოპულარული „პარმას“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონია, ხოლო მეორე იუვენტუსელი ალესანდრო დელ პიერო. ბუფონს გამოკითხულთა 26-მა პროცენტმა მისცა ხმა, დელ პიეროს — 21-მა.

გამოკითხვასთან დაკავშირებით კომენტარი სოხოვეს 80-იანი წლების ვარსკვლავს, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონს, „იუვენტუსის“ ყოფილ მცველს ანტონიო კაბრინის, რომელიც ამჟამად „პუნტო იუვეს“ ხელმძღვანელობს ანუ 6 ათას მოზარდს ასწავლის ყველაფერს ფეხბურთის შესახებ. გარდა ამისა, ზაფხულობით კაბრინი სან მარინოში საფეხბურთო კლინიკას უძღვება, სადაც ყოველ კვირაში 150 ბავშვს ამოწმებს.

„გამოკითხვის შედეგები აშკარად მეუცნაურა — ამბობს კაბრინი — ვგრძნობ, როგორ შეიცვალა დროება. დღეს ფეხბურთელები შოუს ვარსკვლავებად იქცნენ, თუმცა მაინც მწამს, რომ იმ ახალგაზრდებიდან, ვინც ცხოვრებაში ბურთს ირჩევს, უმეტესობას სწორედ თამაში უყვარს და არა სხვა რამ“.

ჩვენ კი უნებურად გვახსენდება კადრი იტალიელი რეჟისორის ფედერიკო ფელინის ფილმიდან „ამარკორდი“. ხომ გახსოვთ, ძია ტეო ხეზე რომ ადის და ქვეყნის გასაგონად ყვირის: ქალი მინდა! ეტყობა, პირველი მსოფლიო ომის დროს, ძია ტეოს ბავშვობაში, იტალიაში ფეხბურთი ისე პოპულარული არ იყო.

მიხეილ სურგულაძე

ფეხბურთი პოლიტიკაა, ბლატერი კი პოლიტიკოსი



ზეპ ბლატერი

მაღალჩინოსნებს რას გაუგებ? ისეთს იტყვიან, არც მწვადს დაწვავენ და არც შამფურს. ამჯერადაც ასე მოხდა, მსოფლიოს ფეხბურთის უმაღლესი პირი, ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი სამხრეთ ამერიკის კონტინენტს ესტუმრა და იქაური ფეხბურთის კონფედერაციაში თანამედროვე გლობალური თემები განიხილა. მრავალ საკითხთაგან ერთ-ერთი მთავარი მომავალი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის ვინაობის გარკვევა გახლდათ. არა, ეს საკითხი პარაგვაიში (კონფერენცია იქ ჩატარდა) არ გადაწყვეტილა და ვერც გადაწყდებოდა, რადგან რეფერენდუმი ივლისშია დაგეგმილი, მაგრამ ბლატერმა საგანგებოდ გამართულ სხდომაზე სამხრეთამერიკელთათვის და კერძოდ ბრაზილიელთათვის დიდად საამებელი სიტყვა წარმოთქვა. მისი საკმაოდ გრძელი მოხსენების მასპინძელთათვის ერთობ სასიამოვნო ნაწილის მოკლე შინაარსი დაახლოებით ასეთია: ბრაზილიელებო, თქვენ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობას იმსახურებთ, სხვა პრეტენდენტებთან შედარებით გაცილებით მეტი შანსები გაქვთ.

ბლატერმა თითქოს ხაზგასმით მიანიშნა, რომ უპირატესობა ბრაზილიას ეკუთვნის. მისი უფლებაა, ვერავინ გაკიცხავს. ამაში გასაკვირი არაფერია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ღრმადპატივცემული ზეპი (ან მისი რომელიმე მოადგილე) რომელ კონტინენტსაც ეწვია, იქაურ კანდიდატს დაუჭირა მხარი.

ალბათ კარგად გახსოვთ მსგავსი სიტყვები: ინგლისელებო, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაში ვერავინ შეგეცილებათო, ანდა: გერმანულ ფეხბურთს უდიდესი ღვაწლის დაფასება სჭირდება, ეს დაფასება კი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაში გამოიხატებაო. თბილი სიტყვები ფიფას არც აფრიკული ქვეყნების მიმართ დაუშურებია: მსოფლიოს ნომერ პირველი სპორტის შავ კონტინენტზე დასამკვიდრებლად 2006 წლის ჩემპიონატის სამხრეთ აფრიკაში ან მაროკოში ჩატარება, ალბათ, საუკეთესო გადაწყვეტილება იქნებაო.

მოკლედ, სხვა ქვეყანას ჯერჯერობით მასპინძლობის სურვილი არ გამოუთქვამს, თორემ ბლატერი იმასაც ანუგეშებდა...

რას იზამ, ასე, ფეხბურთი დღეს პოლიტიკაა, ბლატერი კი პოლიტიკოსია. აბა, რომელი პოლიტიკოსი მოღვაწე გინახავთ (ზოგიერთ ექსტრაორდინალურ აზრებით შეპყრობილებს არ ვგულისხმობთ), გამოსულიყოს და თავისი გულისნადები საქვეყნოდ გაეცხილოს. ბლატერის საქმე დღეს ეს არის, იაროს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში საფეხბურთო დროშით და ამ ულამაზეს სპორტის სახეობას გაუთქვას სახელი.

ხალხსაც უხარია... ბლატერი გვეწვია, ნახე, რამხელა პატივს გვცემსო...

ასეა, მაღალჩინოსნებს რას გაუგებ?

ნიკა შუბლაძე

ფიქრნი ძველ ცივილიზაციებზე

— ზვონიმირ, ხომ არ მოგბეზრდათ, ყველა ინტელექტუალ ფეხბურთელს რომ გიწოდებთ?

— საკუთარ თავს ინტელექტუალად სულაც არ მოვიჩნევ. უბრალოდ ვცდილობ ცხოვრებისგან რაც შეიძლება მეტი ვისწავლო

— იქნებ აგვიხსნათ 30 წლისამ უნივერსიტეტში რატომ შეიტანეთ საბუთები?

— ზაგრების უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, მაგრამ პირველსავე წელიწადს დავანებე თავი, ვინაიდან უპირველეს ყოვლისა ჩემს საქმეზე, ფეხბურთზე მიწევდა ფიქრი. მას მერე ისტორიის შესწავლა სულ მენატრებოდა. იცით, ჩემი აზრით თუ ადამიანი საკუთარ თავს და ცოდნას ავითარებს, უკეთესი ცხოვრება დაგიდგება. ისტორია ჩემი გატაცებაა.

— მაშ ეს გვითხარით, უკაცრიელ კუნძულზე რომელ წიგნს წაიღებდით?

— დოსტოევსკის „ძმებ კარამაზოვებს“. ქრისტიანული თვალსაზრისით დიდებული წიგნია.

— საყვარელ ფილმსა და სიმღერაზე რაღას გვეტყოდით?

— ფილმი აშკარად „მამაცი გულია“. სიმღერები კი ხორვატული მირჩევნია, თუმცა უკაცრიელ კუნძულზე იტალიურ „უნ პიკოლო გრანდე ამორესა“ და „ანკორასაც“ წავიღებდი.

— დაგვისახელეთ ფეხბურთელი, მეტოქე, რომელსაც ყველაზე დიდ პატივს სცემთ.

— მორენო ტორიჩელი. დღეს იგი „ფიორენტინაში“ თამაშობს.

— თანაგუნდელი?

— სავიჩევიჩი და მალდინი. თუმცა, სებასტიანო როსიც ძნდა დავასახელო, თორემ არ მაპატიებს.

— ცხოვრების ეპოქის არჩევა რომ შეგეძლოთ რომელს და რატომ აირჩევდით?

— სიამოვნებით ვიცხოვრებდი იმ ცივილიზაციებში, რომლებმაც ჩვენი დღევანდელი ყოფა განაპირობეს. მაგალითად ძველ საბერძნეთში, რომის იმპერიაში, ეგვიპტეში, თუმცა ფლორენციული რენესანსიც ძალიან მაინტერესებს.

— ცნობილია, რომ მოდასაც დიდ ყურადღებას უთმობთ.

ზვონიმირ ბობანი

რობერტო ფაბიენ აიალა

„მილანი“ კარგად ათამაშდა. ახლა, კვირას „ლაციოს“ მასპინძლობს და თუ მოიგო იტალიური სკუდეტოს ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი გახდება, მაგრამ მის ფეხბურთელებს სხვადასხვა საზრუნაოიც აქვთ. აი, მაგალითად, გამოცდილი ხორვატი ზვონიმირ ბობანი მორიგი ტიტულისთვის ბრძოლის პარალელურად ისტორიის შესწავლისთვის იცლის და ძველ საბერძნეთში ცხოვრებაზე მსჯელობს, გამოუცდელი არგენტინელ ფაბიენ აიალას კი რა ესაბერძნეთება, ძირითადში ადგილი აქვს დასამკვიდრებელი

— დიახ. კარგად ჩაცმა, როგორც შევატყვე, იტალიელებს სისხლში აქვთ. ძალიან მიყვარს ტანსაცმლის „ეტროში“ ყიდვა. აქ ინგლისური, კლასიკური ელეგანტურობა იტალიურ გემოვნებასთან კარგად არის შერწყმული. მართალი გითხრათ შემიძლია მთელი ორი კვირის მანძილზე ჯინსი არ გავიხადო, მაგრამ მერე ერთი თვე ჰალსტუხში რომ მნახოთ, არ გაგიკვირდეთ. თუ წვეულებაზე მივდივარ ვცდილობ საუკეთესოდ გამოვეწყო, თუ არა და...

— ფაბიენ, მზად ხართ ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ? შამოტი და კოსტაკურტა ხომ დაშავდნენ

— ჯერ ერთი შამოტის ტრავმა იმდენად სერიოზული არ არის, თავიდან რომ ჩანდა. ვნახოთ, როგორ წავა საქმეები, ყოველ შემთხვევაში გუნდი კარგად თამაშობს და ეს მამხნევებს.

— იქნებ ფიქრობთ, რომ მაინცდამაინც „ლაციოსთან“ შეხვედრაში გარი-

ეძვსძულიანი მატჩის წინ

სკვა არ არის საჭირო.

— ეს შეხვედრა მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. აქ სამ ქულაზე კი არა, მთელ ექვს ქულაზეა ლაპარაკი და ამიტომ, იმედი მაქვს, რომ კვირას მთელი დაცვა კარგად ითამაშებს. ვგონებ „მილანის“ ყველა მცველი „ლაციოს“ წინააღმდეგ თამაშის კანდიდატია.

— გუნდის პროგრესზე რას იტყვით?

— დღეისათვის გუნდი საუცხოო ფორმაშია, ყველა დონეზე მომწიფდა, რაც სასიხარულოა. ზედიზედ მოგება ერთიხაონობა დავიწყებული გვქონდა. ეტყობა ამ პერიოდში სასურველი შედეგები გვექნება.

— და თქვენ როგორ გრძნობთ თავს?

— აშკარად ვგრძნობ, რომ მეტი თამაში მჭირდება, რათა ნებისმიერ წამს, როდესაც მწვრთნელს დავჭირდები მზად ვიყო.

— მოკლედ შესაძლოა კვირას თქვენი შანსის მატჩია.

— ყოველი კვირის წინ საგანგებოდ ვემზადები, თუმცა ბუნებრივია, ძირითადში ხვდებიან ფეხბურთელები რომლებიც გამოცდილებით მჯობიან და თანაბრად თამაშობენ. მიუხედავად ამისა ძალიან ბევრს ვმუშაობ, რათა შანსი ხელიდან არ გავუშვა.

— ხომ არ ნანობთ მადრიდის „რეალში“ გადასვლაზე უარი რომ განაცხადეთ?

— აბსოლუტურად არ ვნანობ, ვინაიდან მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში მოვხვდი. გარდა ამისა, მინდა განვაცხადო, რომ სანამ ასამდე შეხვედრას არ ჩავატარებ „მილანიდან“ არსად წავალ.

თარგმნა
პაპუნა კედია

პორტუგალია

XXI ტური

სეტუბალი 1:2 ბენფიკა

0:1 პობორსკი (36), 1:1 კონდე (84), 1:2 მანიჩე რიბეირო (86)

პორტუ	21	14	6	1	44:11	48
სპორტინგი	21	14	5	2	37:17	47
ბენფიკა	21	13	5	3	29:14	44
გიმარაეში	21	11	4	6	33:22	37
ბოავიშტა	21	10	4	7	22:17	34
მარიტიმუ	21	9	6	6	23:16	33
ჟილ ვისენტე	21	8	6	7	25:22	30
ბელენენსეში	21	6	11	4	24:18	29
ამადორა	21	6	9	6	21:21	27
ალვერკა	21	7	5	9	23:28	26
ბრაგა	21	7	3	11	26:30	24
რიუ ავე	21	5	7	9	24:32	22
სალგეირუშე	21	6	4	11	16:26	22
კამპომაიორენსე	21	5	6	10	18:30	21
ლეირია	21	4	8	9	18:25	20
ფარენსე	21	4	8	9	16:37	20
სანტა კლარა	21	3	8	10	21:31	17
სეტუბალი	21	2	5	14	14:37	11

საფრანგეთი

ლიგის თასი

მეოთხედფინალის წილისყრა

19 თებერვალი

გენიონი (II) — სტრასბური; ლიონი — ბასტია

20 თებერვალი

სედანი — რედ სტარი (III); პსჟ — ნანსი

ბრაზილია

სან პაულუს ტურნირი

A ჯგუფი

სან პაულუ	6	4	0	2	13:12	12
ბოტაფოგო	6	3	1	2	11:8	10
ფლამენგო	6	2	2	2	14:10	8
სანტოსი	6	1	1	4	6:14	4

B ჯგუფი

კორინთიანსი 1:1 ვასკუ და გამა
ფლუმინენსე 0:2 პალმეირასი

პალმეირასი	6	4	1	1	17:9	13
ვასკუ და გამა	6	3	2	1	9:7	11
კორინთიანსი	6	2	1	3	5:7	7
ფლუმინენსე	6	1	0	5	4:12	3

ნახევარფინალში შეხვდებიან:
პალმეირასი — ბოტაფოგო; ვასკუ და გამა — სან პაულუ

კონკაკაფის ოქროს თასი

A ჯგუფი

ჰონდურასი 2:0 იამაიკა

1:0 პავონი (51პ), 2:0 კაბალიერო (84)

B ჯგუფი

პერუ 1:1 ჰაიტი

0:1 ვორბე (61), 1:1 ზუნიგა (69)

ამხანაგური მატჩი

23 თებერვალი

ირლანდია — ჩეხეთი

ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელმა იოჟეფ ჰოვანეცმა დაასახელა ის მოთამაშეები, რომლებიც დუბლინში „ლენსდან როუდზე“ ირლანდიას დაუპირისპირდებიან.

მეკარეები: ლადისლავ მაიერი (რაპიდი, ავსტრია), პაველ სრნიჩეკი (შეფილდ უენსდი, ინგლისი);

მცველები: პეტრ გაბრიელი (სპარტა), კარელ რადა (სლავია), ტომაშ რეპკა (ფიორენტინა, იტალია), იან სუხოპარეკი (ბერლინი, გერმანია);

ნახევარმცველები: რადეკ ბეიბლი (ატლეტიკო, ესპანეთი), პატრიკ ბერგერი (ლივერპული, ინგლისი), პაველ ჰორვატი (სლავია), რადეკ ლატალი, ირჟი ნემეცი (ორივე შალკე, გერმანია), პაველ ნედვედი (ლაციო, იტალია), კარელ პობორსკი (ბენფიკა, პორტუგალია), ტომაშ როსიკი (სპარტა);

თავდამსხმელები: იან კოლერი (ანდერლეხტი, ბელგია), პაველ კუკა (შტუტგარტი, გერმანია), ვლადიმირ შმიცერი (ლივერპული, ინგლისი), რენე ვაგნერი (რაპიდი, ავსტრია)

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

ამხანაგური მატჩები

23 თებერვალი

იტალია — შვედეთი

შვედეთის ნაკრების მწვრთნელმა ტომი სოდერბერგმა დაასახელა ის 19 ფეხბურთელი, რომლებიც იტალიელებთან პალერმოში ითამაშებენ.

მეკარეები: მაგნუს ჰედმანი (ქოვენთრი, ინგლისი), მატიას ასპერი (აიკ);

მცველები: პატრიკ ანდერსონი (ბაიერნი, გერმანია), იოხიმ ბიორკლუნდი (ვალენსია, ესპანეთი), ტომას გუსტაფსონი (ქოვენთრი, ინგლისი), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), გარი სუნდგრენი (სარაგოსა, ესპანეთი);

ნახევარმცველები: ნიკლას ალექსანდერსონი (შეფილდ უენსდი, ინგლისი), ანდერს ანდერსონი (ოლბორგი, დანია), დანიელ ანდერსონი (ბარი, იტალია), მაგნუს არვიდსონი (ჰანზა, გერმანია), მატიას იონსონი (ბრონდბიუ, დანია), შტეფან შვარცი (სანდერლენდი, ინგლისი), ფრედერიკ ლიუნგბერგი (არსენალი, ინგლისი);

თავდამსხმელები: კენეტ ანდერსონი (ბოლონია, იტალია), ჯონ მიალბი (სელტიკი, შოტლანდია), იორგენ პეტერსონი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), მაგნუს სვენსონი (ბრონდბიუ, დანია), იკსელ ოსმანოვსკი (ბარი, იტალია)

ირლანდიის ნაკრების მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც 23 თებერვალს ჩეხეთის ნაკრებს დაუხვდებიან.

მეკარეები: ალან კელი (ბლეკბერნი, ინგლისი), შეი გივენი (ნიუკასლი, ინგლისი), დინ კელი (ჩარლტონი, ინგლისი);

მცველები: გარი კელი, იან ჰარტი (ორივე ლიდსი, ინგლისი), სტეფან კარი (ტოტენჰემი, ინგლისი), სტივ სტონტონი, ფილ ბეი (ორივე ლივერპული, ინგლისი), კენი კანინგემი (უიმბლდონი,ინგლისი), გარი ბრინი (ქოვენთრი, ინგლისი), პოლ ბატლერი (სანდერლენდი, ინგლისი);

ნახევარმცველები: მარკ კენედი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), როი კინი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), მარკ კინსელა (ჩარლტონი, ინგლისი), რორი დელაპი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), სტეფან მაკფეილი (ლიდსი, ინგლისი), ჯეისონ მაკატირი, დემიენ დაფი (ორივე ბლეკბერნი, ინგლისი), კევინ კილბეინი (სანდერლენდი, ინგლისი)

თავდამსხმელები: ნეილ ქუინი (სანდერლენდი, ინგლისი), რობი კინი (ქოვენთრი, ინგლისი), დევიდ კონოლი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)

ავსტრიის ნაკრების მწვრთნელმა ოტო ბარიჩმა დაასახელა იმ მოთამაშეთა ვინაობა, რომლებიც 23 თებერვალს საბერძნეთს შეხვდებიან.

მეკარეები: ფრანც ალმერი (გრაცერი), ალექს მანინგერი (არსენალი, ინგლისი), ფრანც ვოლფარტი (შტუტგარტი, გერმანია);

მცველები: მარტინ ამერჰაუზერი, ენრიკო კულოვიჩი, ანდრიას ლიპა (ყველა გრაცერი), ტომას ფლოგელი (ჰართსი, შოტლანდია), გერდ ვიმერი, მიხაელ ჰაცი, გიუნტერ შიესვალდი (ყველა რაპიდი, ვენა), იურგენ კაუზი (ლინცერი), როლანდ კირხლერი (ტიროლი), მიხაელ ვაგნერი (აუსტრია);

ნახევარმცველები: დიტმარ კუჰბაუერი (სოსიედადი, ესპანეთი), ერნსტ დოსელი, იურგენ ლეიტნერი (ორივე აუსტრია), ჟილბერტ პრილასნიგი, გიუნტერ ნოიკირხნერი, მარკუს შოპი (ყველა შტურმი), ტომას ვინკლჰოფერი (ზალცბურგი), ანდრეას ჰერცოგი (ვერდერი, გერმანია), რობერტ იბერტსბერგერი (ვენეცია, იტალია), მარტინ შტრანცლი (მიუნხენი, გერმანია);

თავდამსხმელები: ჰარალდ ჩერნი (მიუნხენი, გერმანია), მარკუს ვაისენბერგერი (არმინია, გერმანია), ივიცა ვასტიჩი (გრაცერი), ედუარდ გლიდერი (ტიროლი), მარიო ჰაასი (სტრასბური), კრისტიან მაირლები (აუსტრია)

ოთხი ქვეყნის თასი

I ტური

ბულგარეთი 1:0 სლოვაკეთი
ჩილე 2:1 ავსტრალია

მალტის ტურნირი

II ტური

ანდორა 0:0 აზერბაიჯანი
ალბანეთი 1:0 მალტა

1:0 ზინანი (58)

ასე დასრულდა ამბავი

REUTERS ლუგოსიდან

ნიგერიელმა ქალებმა ქმრები პოლიციასთან საომრად გაუშვეს, თავად კი...

აფრიკის თასის ფინალის გუშინდელი მიმოხილვა ასე დავასრულეთ: „რა იყო შემდეგ? კამერუნელთა სიხარული. ეროვნული ცეკვა, რომელიც მათ მოედნის ცენტრში მოაწყვეს და შუაში ფრანგი მწვრთნელი პიერ ლეშანტრე ჩაიყენეს. ატირებული სანდი ოლისე, რომელიც ვერცხლის მედლის აღებაზე უარს ამბობდა და ფიცარნაგზე ძალით აიყვანეს. კიდევ აფრიკულ კოსტიუმში გამოწყობილი ზორბა მამაკაცი, კამერუნელებს რომ აჯილდოვებდა და მალიმალ უკან, ტრიბუნებისკენ იყურებოდა, სადაც პოლიცია ნიგერიელ გულშემატკივრებს აშოშმინებდა. ბრძოლა სტადიონის გარეთაც გაგრძელდა და ლაგოსის ქუჩებში კარგა ხანს ისმოდა სროლის ხმა, თუმც ამაზე უფრო დეტალურად ხვალ ვისაუბროთ“.

ეს დღეც დადგა. სანამ ნიგერიის ხელისუფალნი შეტაკებისას დაშავებულთა რიცხვს და ზარალის ოდენობას დაადგენდნენ, ერთ უცნაურ და დამფიქრებელ ფაქტზეც მოგახსენებთ. სროლის ხმა გაისმა თუ არა, უცხოელმა ჟურნალისტებმა დაჯილდოების ცერემონიალი მიატოვეს და სენსაციური მასალის ძიებაში სისხლიანი მოვლენების ეპიცენტრს მიაშურეს. ამავე დროს მათი ნიგერიელი კოლეგები საკმაოდ მშვიდად განაგრძობდნენ კამერუნელთა ცეკვის აღწერა-გადაღებას. არადა, ისინი ცნობისმოყვარენი არ არიანო, ვერავინ დასწამებთ. საქმე კი აი, რაშია. როგორც ერთი ნიგერიელი რეპორტიორი განმარტავს, საფეხბურთო მატჩების შემდეგ შეხლა-შემოხლა ამ ქვეყანაში ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა და ეს თემა მათ ნაკლებად აინტერესებთ. ვერაფერს იტყვი, ჩინებული არგუმენტია. თუკი საფეხბურთო ომები ნიგერიელთა ეროვნული თვისებაა, მართლაც ვერაფერს გახდები (სხვათა შორის, ხუთი წლის წინ ამგვარ შეტაკებას ჯორჯ ფინიდის უმცროსი ძმა ემსხვერპლა), მაგრამ აფრიკის ფეხბურთის კონფედერაცია? აფრიკული ფეხბურთის მამებმა ხომ კარგად იცოდნენ ნიგერიელთა საბრძოლო მიდრეკილების შესახებ? ანდა „სუპერარწივების“ ტუნისთან, კონგოსთან და სენეგალთან გამართული არანაკლებ დრამატული შეხვედრების შემდეგ ხომ უნდა გამოეტანათ დასკვნები? იყო ლაპარაკი, შესაძლოა ფინალი ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარდესო. უფრო თამამი ვერსიაც არსებობდა გადამწყვეტი მატჩის ადგილის განას დედაქალაქ აკრაში გადატანის შესახებ. საბოლოოდ ყველაფერი სიმბოლური ჯარიმით დასრულდა და შედეგად ვერშემდგარი თუ არასათანადოდ შემდგარი დაჯილდოება ვიხილეთ. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს, ნიგერია-კამერუნის შეხვედრის ცქერისას (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ანგარიში 2:0 გახდა) იმაზე ვფიქრობდი, ომობანას თამაში აი, ახლა დაიწყება-მეთქი. კრიმინალურ ამბებზე საუბარი კი ერთი ცნობით დავასრულოთ. ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციას მატჩის შედეგი გაუპროტესტებია და თანაც ამბობენ, რაც მოხდა, ტუნისელ არბიტრ მურად დაამის სინდისზეაო. დაამი რა თქმა უნდა, შეცდა, თან მეტად უხეშადაც. მან ჯერ კამერუნელი მცველის ხელით თამაში ვერ შენიშნა საჯარიმო მოედანზე, შემდეგ ვიქტორ იკპებას ასპროცენტიან გატანილ პენალტზე თქვა, ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთიაო. ასე რომ, ნიგერიელი ფეხბურთელები, შეიძლება ითქვას, უსამართლოდ დაჩაგრნენ, მაგრამ მატჩის შედეგს რომ არავინ გააუქმებს, ესეც ფაქტია. ალბათ, ტუნისელი მსაჯი უმკაცრესად დაისჯება, თუმცა ეს ნიგერიელთათვის რა ნუგეშია?

და კამერუნელები? ისინი არ იმსახურებდნენ ჩემპიონობას? ვთქვათ, მსაჯი არ შემცდარიყო და იკპების პენალტი ჩაეთვალა. ამ შემთხვევაში სერია გაგრძელდებოდა და ვინ იტყვის, რომ ნიგერია აუცილებლად მოიგებდა? საერთოდ, რა აზრი აქვს ამ კამათს. რა მოხდებოდა... ამაზე მუდამ ბჭობენ. 1970 წელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში საბჭოელთა კარში ურუგვაელებმა მეტად საეჭვო გოლი შეაგდეს. კარგა ხანს ვარჩევდით, გადაკვეთა თუ არა ბურთმა მოედნის ხაზი. 1978 წლის არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი. მატჩის მიწურულს ჰოლანდიელი რენსენბრინკი ბურთს ძელს არტყამს. რა მოხდებოდა, გოლი რომ გასულიყო? აგერ 1996 წელს ევროპის ჩემპიონატზე ჯანფრანკო ძოლამ გერმანელებს პენალტი ვერ შეუგდო, თორემ იტალიას იქნებ ფინალამდეც მიეღწია. იქამდე ამერიკაში ბარეზის და ბაჯოს დაღვრემილი სახეებიც გვახსოვს. რა მოხდებოდა, რომ გაეტანათ? ამ თემაზე შეგვიძლია ვიკამათოთ, მაგრამ შედეგი არ იქნება. ამიტომ, თამამად ვამბობ, კამერუნი ღირსეული ჩემპიონია.

ნახევარფინალური მატჩის წინ სენეგალელთა მწვრთნელ პეტერ შნიტგერს უთქვამს, ვეჭვობ, კამერუნს მოვუგოთ, მათ უძლიერესი ნაკრები ჰყავთ და ჩემპიონებიც გახდებიანო. ახდა შნიტგერის ვარაუდი. თავად კამერუნელი „ლომბიც“ შემართულნი იყვნენ. ტურნირის დაწყებამდე ისინი აცხადებდნენ, 1990 წელს როჟე მილას თაობამ რაც შეძლო, იმაზე მეტს მივაღწევთო. მაშინ, იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე, კამერუნი მეოთხედფინალში გავიდა, რაც აფრიკელთათვის საუკეთესო შედეგია. ორიოდე სიტყვით ფეხბურთელებიც ვახსენოთ. კამერუნელთა კაპიტნის, რიგობერტ სონგის და რაიმონდ კალას დუეტი მცველთაგან საუკეთესოდ აღიარეს. აქვე ერთი საინტერესო დეტალიც. რიგობერტ სონგი მსოფლიოში პირველი ფეხბურთელი შეიქნა, რომელმაც ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე (1994 და 1998 წლებში) წითელი ბარათები დაიმსახურა. ალბათ, მადრიდის „რეალი“ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს სამუელ ეტოოს, ის თანაგუნდელ პატრიკ მბომასთან ერთად ბომბარდირობისთვის ბრძოლაში შონ ბარტლეტს მხოლოდ ერთი გოლით ჩამორჩა. ტურნირის საუკეთესო ნახევარმცველად ასევე კამერუნელი — ჯერემი ნჯიტაპი და მარკ ვივიენ ფოე მიიჩნიეს. გახარებულია პიერ ლეშანტრეც. წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე კამერუნელთა მეორე მწვრთნელი უკვე კორეა-იაპონიაზე ფიქრობს და ამბობს: „უძლიერესი ნაკრების შექმნა შეგვიძლია და ეს საკმაოდ მალე მოხდება“.

რაკი კამერუნელთა მწვრთნელი ვახსენეთ, სხვებმა რაღა დააშავეს. ჯუზეპე დოსენა, ნასერ სანჯაკი, ანრი მიშელი და ტროტ მოლოტო თანამდებობას დაემშვიდობნენ. ისინი შესაბამისად განას, ალჟირის, მაროკოს და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებს წვრთნიდნენ. ერთმა კი თავს თავადვე უშველა. ტოგოელთა თავკაც გოტლიბ გოელერზე მოგახსენებთ. მან დაინახა თუ არა, რომ ტოგოს ფეხბურთის ფედერაციას ნაკრების ბედი არ აღელვებდა, ჯგუფური ეტაპის პირველივე მატჩის შემდეგ ქუდი დაიხურა (იქნებ არც დაუხურავს) და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა. ყველაზე ხმაურიანი ტროტ მოლოტოს გადადგომა არის. უფრო სწორად, მისი მემკვიდრის ვინაობა იწვევს ინტერესს. სამხრეთაფრიკელთა განცხადებით, ისინი ნაკრების მწვრთნელის პოსტს რუუდ გულიტს შესთავაზებენ. ვფიქრობ, გულიტზე საუბარი არ ღირს. მასზე ბევრი ითქვა და დაიწერა (ტელევიზიითაც გვინახავს). მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ 1988 წელს, როდესაც სურინამელი წარმოშობის ჰოლანდიელი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, მან ეს ჯილდო პატიმრობიდან ახალგანთავისუფლებულ ნელსონ მანდელას მიუძღვნა. მოკლედ, გულიტის და სამხრეთაფრიკელთა მეგობრობას კარგა ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი.

ის თასიც ვახსენოთ, რისთვისაც თექვსმეტი გუნდი სამი კვირის განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძოდა. თავად აფრიკელები კონტინენტის უპირველეს ჯილდოს აფრიკელთა ერთობის თასს უწოდებენ და ის 1990 წელს არის დამზადებული. იქამდე აფრიკელები „სალემის თასისთვის“ ეციელებოდნენ ერთმანეთს. 1978 წელს განა კონტინენტის ჩემპიონი მესამედ გახდა და პრიზიც მუდმივ მფლობელობაში გადაეცა (ბრაზილიელებისგან განსხვავებით, რომელთაც ჟიულ რიმეს თასი მძარცველებს ჩაუგდეს ხელში, განელები სალემის თასს კარგად დარაჯობენ). აფრიკის თასის გათამაშებების ისტორიას თუ გადავხედავთ, კამერუნს და ნიგერიას საპატიო ჯილდო ორ-ორჯერ მოეპოვებინათ და ფინალი ვისაც არ უნდა მოეგო, თასს სამუდამოდ დაეუფლებოდა. ასე რომ, 2002 წელს აფრიკის ახალი ჩემპიონის კაპიტანს სხვა თასი გადაეცემა.

დაბოლოს, აფრიკის თასის მომდევნო გათამაშებაზეც ვთქვათ. განაცხადი 51 აფრიკულ ქვეყანას აქვს შეტანილი. აქედან კამერუნი (ჩემპიონი) და მალი (მასპინძელი) ფინალურ ეტაპზე შესარჩევი ეტაპის გვერდის ავლით მოვხდებიან. 42 ნაკრები ორმატჩიან პლეიოფს გამართავს და გამარჯვებულები საკვალიფიკაციო ჯგუფებში განითესებიან. აქ მათ ახლად დასრულებული გათამაშების შვიდი მეოთხედფინალში გასული გუნდი შეუერთდება — ალჟირი, ეგვიპტე, განა, სენეგალი, სამხრეთ აფრიკა, ტუნისი და ნიგერია.

გუნდები შვიდ ჯგუფს შეადგენენ, საიდანაც ფინალის ეტაპზე ორ-ორი საუკეთესო გავა და კამერუნსა და მალის შეუერთდება.

აი, სულ ეს იყო აფრიკაზე სათქმელი, აფრიკის თასზე საუბარი კი 2002 წელს განვაგრძოთ.

გიორგი დარჯანია

ნიჭს ვერვინ შეგვეცილებისს

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკურმა დირექტორმა, ჰოვარდ უილკინსონმა იმ კრიტიკოსთა წინააღმდეგ გაილაშქრა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქვეყნის პრემიერლიგაში ადგილობრივი ვარსკვლავები აღარ მოდიან და ყველაფერი უცხოელებმა წალეკეს.

უილკინსონმა მარტივი არგუმენტი მოიტანა: ვინ ლიდერობს ჩემპიონატს? „მანჩესტერი", „ლიდსი" და „ლივერპული". გუნდები, სადაც ინგლისელი მოთამაშეები, თან ახალგაზრდები, მრავლად არიან. მაშ რა საჭიროა ღელვა?

და მაინც, ბოლო წლებში პრემიერლიგაში არნახულად გაზრდილი უცხოელ ფეხბურთელთა რაოდენობა ბევრ სპეციალისტს მოსვენებას არ აძლევს. გასულ კვირას პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ, ლიგის მწვრთნელთა ასოციაციამ და თემთა პალატის ქვეკომიტეტმა გამართეს თათბირი, რომელზეც გუნდში არაევროკავშირელ მოთამაშეთა რიცხვის სამიდან ორამდე შემცირების საკითხი განიხილეს.

„ხალხი ამბობს, რომ ჩვენს ქვეყანაში უცხოელთა მოდინება ინგლისელ ახალგაზრდობას განვითარებაში უშლის ხელს — არ დაცხრა უილკინსონი — მაგრამ, ვიმეორებ, შეხედეთ პრემიერლიგის ცხრილის ზედა სამ გუნდს და საკუთარ თავს ჰკითხეთ, მონაწილეობენ თუ არა ჩვენი ბიჭები მათ წარმატებებში. ვგონებ ხალხი მიხვდება, რომ ხმები, თითქოს ინგლისურ ფეხბურთში ახალი სისხლი აღარ ჩქეფს, ტყუილია. ინგლისის ნაკრებს ბრწყინვალე მომავალი ელის, ოთხხუთ წელიწადში ძალიან ძლიერი ეროვნული გუნდი გვყოლება. ამისთვის კი ბიჭების ერთმა ჯგუფმა განვითარება არ უნდა შეწყვიტოს. გარდა დევიდ ბექემისა და ძმები ნევილებისა, რომლებიც ხუთი წლის მერეც მოქმედი ფეხბურთელები იქნებიან, ჩვენში პოტენციალის მდინარე მოსჩქეფს. უბრალოდ სასაცილოა იმის მტკიცება, რომ ნიჭიერი თაობა არ მოდის. ხალხს სამწუხაროდ სჯერა რასაც კითხულობს, არადა რეალობა სხვაა".

გავიხსენოთ: შაბათს, „ელანდ როუდზე" „ლიდსმა" „ტოტენჰემს" რომ მოუგო მოედანზე 23 წლის და უმცროსი ოთხი ინგლისელი ფეხბურთელი ჰყავდა, ხოლო „ლივერპულს" „ჰაიბერიზე" „არსენალთან" გამარჯვების დროს სამი მოთამაშე 22 წელზე უმცროსი დაურბოდა. „მანჩესტერ იუნაიტედის" იმ შემადგენლობაში, რომელიც „ნიუკასლთან" 0:3 დამარცხდა თამაშობდნენ ბექემი, გარი ნევილი, პოლ სქოულზი და ნიკი ბათი — მათ შორის ყველაზე უფროსი 25 წლის გახლავთ.

„ბუნებრივია, უცხოელთა რაოდენობის შემცირებას მეც მივესალმები — განაგრძობს უილკინსონი — მაგრამ მინდა ისინი კანონმა კი არ შეამციროს, არამედ გუნდების ძირითად შემადგენლობებში ინგლისელ ახალგაზრდათა დამკვიდრებამ. დღეს ბევრი რამ ეკონომიკური მოსაზრებით არის განპირობებული. თანაბარძალოვან ადგილობრივსა და უ[illegible]ოელს შორის მწვრთნელები უფრ[illegible]ფ უცხოელებს ამჯობინებენ".

არგენტინული ამბები

არგენტინაში ჩემპიონატის მეორე ეტაპი — კლაუსურა დაიწყო. სტარტამდე ორი დღით ადრე კი გასაოცარი ამბავი მოვიდა. აპერტურას გამარჯვებული და ქვეყნის უძლიერესი კლუბის „რივერ პლეიტის" მწვრთნელი რამონ დიასი თანამდებობიდან გადადგა. დიასის ხმაურიანი წასვლის მიზეზი ახალი ფეხბურთელების ყიდვის საკითხში მისი და კლუბის ხელმძღვანელობის შეუთანხმებლობა გამხდარა.

მწვრთნელმა პრეზიდენტს სასურველი მოთამაშეების მოზრდილი სია წარუდგინა. პრეზიდენტი კი თურმე სხვანაირად ფიქრობდა, „რივერმა" აპერტურა ჩინებულად ჩაამთავრა და ახალი ხალხის მოყვანის საჭიროებას ვერ ვხედავო — უთქვამს. დიასიც ადგა და წავიდა.

თავის დროზე რამონ დიასი „რივერ პლეიტის" ფეხბურთელი იყო და ვარსკვლავის სახელიც ჰქონდა დაგდებული. შემდეგ ის იტალიაში გადაბარგდა და ერთხანს „ფიორენტინასა" და „ნაპოლიში" თამაშობდა. 1982 წელს თბილისის „დინამოს" წინააღმდეგაც უსპარეზია უეფას თასზე. ასაკშეპარულმა დიასმა სამწვრთნელო ასპარეზი აირჩია და მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა. „რივერის" ისტორიაში რამონ დიასი ყველაზე იღბლიანი მწვრთნელი გახდა — მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ქვეყნის ჩემპიონობა ოთხჯერ მოიპოვა და ერთხელაც ლიბერტადორესის თასს დაეუფლა. დიასის გადადგომისთანავე არგენტინულ პრესაში ინფორმაცია გაჩნდა, ყოფილი რივერელი შესაძლოა „ფიორენტინაში" სამუშაოდ მიიწვიონ, სადაც ჩვენი სიამაყე გაბრიელ ბატისტუტა თამაშობსო. გაუშვებენ თუ არა მხცოვან ჯოვანი ტრაპატონის პენსიაზე, ძნელი სათქმელია. ზუსტად კი ის ვიცით, რომ „რივერ პლეიტი" უპატრონოდ არ დარჩენილა.

კლაუსურას პირველ ტურში „ინსტიტუტო დე კორდობას" წინააღმდეგ „რივერი" ახალმა მწვრთნელმა, ამერიკო გალიეგომ გაიყვანა. გალიეგო ცნობილი კაცია. სხვანაირად არც შეიძლება. ის ხომ მენტისეული არგენტინის ნაკრების წევრი იყო, რომელიც 1978 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მაშინ არგენტინელთა მეექვსე ნომერმა უკლებლივ ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ ერთხელ, პერუელთა წინააღმდეგ შეხვედრაში შეცვალეს, ისიც 85-ე წუთზე. იმ პერიოდში არგენტინელი ნახევარმცველი „ოლდ ბოიზში" თამაშობდა. შემდეგ გალიეგო „რივერ პლეიტში" გადაბარგდა, სადაც რამონ დიასის მხარდამხარ თამაშობდა. ისინი 1982 წელს ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრების ღირსებასაც ერთად იცავდნენ. საინტერესოა, რომ გალიეგოს ექვსნომრიანი მაისურა ამჯერად დიასს ეცვა, გალიეგოს კი ცხრანომრიანი ერგო. გალიეგომ ესპანეთში ყველა მატჩში ითამაშა, გარდა ბრაზილიელებთან შეხვედრისა. დიასი კი ძირითადად შეცვლაზე თამაშობდა. ის რიგრიგობით უცვლიდა ადგილს — ვალდანოს, ბერტონის, კალდერონს და კემპესს.

ამერიკო გალიეგო „რივერ პლეიტში" 1988 წლამდე თამაშობდა. მწვრთნელობისას კი ერთხელ უკვე ედგა სათავეში ამ კლუბს და 1994 წელს აპერტურაც მოაგებინა. „რივერის" მწვრთნელობიდან წასვლის შემდეგ გალიეგო კვლავ ნაკრებს დაუბრუნდა — ამჯერად დანიელ პასარელას თანაშემწედ და ძველ მეგობართან ერთად 1997 წლამდე იმუშავა.

ბოლო სამი წელი გალიეგო — მწვრთნელი მივიწყებული იყო და მხოლოდ ახლა გაიხსენეს. თუმცა არგენტინელის მიწვევა გასულ წელს ესპანურ „ბეტისს" სურდა, მაგრამ იქაურმა კანონებმა საქმე ჩაშალა — პირნეებზე მუშაობის მოსურნე უცხოელ მწვრთნელს ბოლო სამი წელი რომელიმე გუნდში უნდა ჰქონდეს გატარებული (თანაც არა თანაშემწედ), გალიეგო კი ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა.

კლუბში მისვლისას გალიეგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „რივერმა" ისე უნდა ითამაშოს, როგორც ჩემი ფეხბურთელობის დროს. ძირითად ყურადღებას ფიზიკურ მომზადებას დავუთმობ. ვისაც საუკეთესო ფორმამდე თუნდაც ერთი პროცენტი დააკლდება, მინდორზე არ გავიყვან".

აი, ასეთი ამბები მოხდა არგენტინაში კლაუსურას გახსნამდე ორი დღით ადრე.

გიორგი დარჯანია

ეს-ესაა „რივერ პლეიტმა" აპერტურა მოიგო, თუმცა რამონ დიასი მაინც წავიდა

ეროვნულობა ეიეოხილვა



ინგლისში კოულების გვარი მეცამეტე საუკუნიდან მოდის

რამდენმა უცხოელმა უნდა ითამაშოს პრემიერლიგის გუნდში? საკითხი, რომელიც 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყნის, ვიმეორებთ, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონის ქვეყნის მწვრთნელმა წამოჭრა, ევროპაში დიდი დისკუსიის საგნად იქცა. ჩვენ კი იმისათვის, რომ კამათის არსში გავერკვეთ, საჭიროა პასუხი გავცეთ კითხვას, ვინ ითვლება ინგლისში უცხოელად?

დავიწყოთ იმით, რომ ინგლისში უცხოელად არ ითვლება ინგლისელი. მაგალითად, ენდი კოული.

კიდევ, ინგლისში უცხოელად არ ითვლება ბრიტანეთის მოქალაქე. მაგალითად, პოლ მაკგრატი.

კიდევ, ინგლისში უცხოელად არ ითვლება მოქალაქეობათუნდაცგუშინმიღებული. მაგალითად, ჯონ ბარნსი, რომლის მამაც იამაიკის ელჩი იყო ბრიტანეთში თუ რაღაც ამგვარი.

კიდევ, ინგლისში უცხოელად არ ითვლება ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე. მაგალითად მარსელ დესაი, რომლის დედაც ცოლად გაჰყვა საფრანგეთის ელჩს განაში თუ რაღაც ამგვარი.

კიდევ, ინგლისში უცხოელად არ ითვლება ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეობათუნდაცგუშინმიღებული. მაგალითად აბუბაქარ კამარა, რომლის მამაც გვინეის ელჩი იყო კენიაში, თუ რაღაც ამგვარი.

კიდევ, ინგლისში უცხოელად არ ითვლება ის, ვისაც ფესვები აფრიკაში აქვს, აღიზარდა საფრანგეთში, საუკეთესო წლები გაატარა იტალიაში, კარიერის ჩამთავრება პრემიერლიგაში სურს, ბიზნესს კი ამერიკაში ატრიალებს და ცოლიც ამერიკიდან ჰყავს. მაგალითად, ჯორჯ ვეა, რომლის მამაც ელჩი სულაც არ ყოფილა თუ რაღაც ამგვარი.

კიდევ, ინგლისში უცხოელად არ ითვლება ის, ვინც ფესვებით აფრიკელია, აღზრდით ჰოლანდიელი, დიაგნოზით იტალიელი, ოპერაციით ამერიკელი და პრემიერლიგაში თამაში სურს. მაგალითად, ნვანკვო კანუ, რომლის მამაც საფეხბურთო სამყაროს ელჩია თავის უბანში, ნიგერიის ერთ-ერთ ქალაქში თუ რაღაც ამგვარი.

კიდევ, ინგლისში უცხოელად არ ითვლება ფაუსტინო ასპრილია და ყველა ამგვარი.

მაშ ვინ ითვლება ინგლისში უცხოელად? იკითხავთ თქვენ.

ინგლისში უცხოელებად ითვლებიან ნახალოვკელები, ავლაბრელები, საფიჩხიელები, საღორიელები, ზემო და ქვემო მაჩხაანელები, ლესიჭინაელები, ბანძელები და ვერტყვიჭალელები.

აქედან დასკვნა: პრემიერლიგის გუნდში უნდა ითამაშოს ორნახევარმა უცხოელმა: სენეგალელმა, ჩადელმა და დედით ინგლისელმა ორთაჭალელმა, ზასტაველმა, ნახუნაოელმა ან ჭაობელმა ბათუმიდან.

ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ თბილისის „მაგრების" მწვრთნელს, ენგელბერტ პონტელავას, რომელიც თავისი გუნდის ნახევრადმცველის, ნიკუშკი ჩემიდედავას თაობაზე „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელთან, სერ ალექს ფერგიუსონთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს.

— ბატონო ენგო, აქვს ნიკუშკი ჩემიდედავას ინგლისში გადასვლის ნება?

— იასნია აქვს. იმ დღეს მივეცი.

— იმათ ნებართვაზე გეკითხებით, ბატონო ენგო.

— ეხლა როგორ არი იცი, ნიკუშკი ბიძით ორთაჭალელია, რა და თუ მოვასწარით მესტა ჟიტელსტვას გაჩალიჩება, ყველაფერი კარგად იქნება.

— დედა ინგლისელი ჰყავს?

— დედა? ვისი დედა, ბიჭო, შენ აზრზე მოდი ეს ჟურნალისტები ნუ გაბლატავდით, ძმაო.

— გმადლობთ, ბატონო ენგო. კარგად ბრძანდებოდეთ.

— ბიჭო, მეორედ სიტყვებს დააკვირდი...

პაპუნა კედია

ავტორმა წერის დროს ენგელბერტ პონტელავა ისე ცოცხლად წარმოიდგინა, რომ გადაწყვიტა ამიერიდან ეს პერსონაჟი აღარ გაიხსენოს

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისი. I დივიზიონი

16 თებერვალი

003	ვულვერჰემპტონი-ტრანმერი	1,7	3,1	4,4

საფრანგეთი. I დივიზიონი. 26-ე ტური

16 თებერვალი

007	ნანსი-მეცი	2,4	2,8	2,7
008	მონაკო-ბორდო	1,7	2,9	5,0
009	ოსერი-სტრასბური	1,6	2,9	6,0
010	ლანსი-ბასტია	1,9	2,8	3,8
011	სენტ ეტიენი-მონპელიე	1,8	3,0	4,0
012	ლე ავრი-ტრუა	1,8	2,9	4,2
013	სედანი-რენი	1,9	2,9	3,6

საფრანგეთი. II დივიზიონი. 27-ე ტური

16 თებერვალი

014	ლილი-ნიორი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
015	სოშო-ლე მანი	2,3	2,8	2,9
016	გენიონი-კაენი	2,2	2,8	3,1
017	ლორიანი-კანი	1,9	2,9	3,6
018	ნიცა-აიაჩო	2,2	2,8	3,1
019	ნიმი-შატორუ	1,9	2,9	3,6
020	ლავალი-ლუანი	1,5	3,3	6,0
021	ამიენი-ვასკეალი	2,1	2,9	3,2
022	ვალანსი-კრეტეი	2,5	2,8	2,6

17 თებერვალი

023	გენგამი-ტულუზი	2,2	2,8	3,1

გერმანია. თასის 1/2 ფინალი

16 თებერვალი

027	ბაიერნი-ჰანზა	1,15	5,6	10,0

იტალია. თასის 1/2 ფინალი. II მატჩები

16 თებერვალი

028	ვენეცია-ლაციო	3,4	2,9	2,0

17 თებერვალი

029	ინტერი-კალიარი	1,3	4,0	7,5

ესპანეთი. თასის 1/4 ფინალი. II მატჩები

16 თებერვალი

030	კომპოსტელა-ესპანიოლი	2,3	2,9	2,8
031	ბარსელონა-ოსასუნა	1,15	5,6	10,0
032	რაიო ვალეკანო-ატლეტიკო	2,3	2,9	2,8

17 თებერვალი

033	მერიდა-რეალი	4,4	3,1	1,7

ჰოლანდია. თასის 1/4 ფინალი

16 თებერვალი

034	უტრეხტი-როდა	2,4	2,9	2,6
035	ნაიმეგენი-დორდრეხტი	1,5	3,4	5,6
036	ვალვაიკი-ვიტესი	2,8	2,9	2,3

17 თებერვალი

037	ტილბურგი-ალკმაარი	1,9	2,9	3,6

თურქეთი. თასის 1/2 ფინალი

16 თებერვალი

038	ანთალია-ბურსა	1,8	3,0	4,0
039	ანკარაგიუჯუ-გალათასარაი	4,4	3,1	1,7

საბერძნეთი. თასის 1/4 ფინალი. I მატჩები

16 თებერვალი

040	ოლიმპიაკოსი-აეკ	1,6	3,0	5,6

17 თებერვალი

041	ოფი-კალამატა	1,15	5,6	10,0

შოტლანდია. ლიგის თასის 1/2 ფინალი

16 თებერვალი

042	სელტიკი-კილმარნოკი	1,2	5,0	9,0

კალათბურთი

16 თებერვალი

814	ნიუ იორკი-მინესოტა	1,25	12,0	3,1
815	ორლანდო-კლიპერსი	1,05	12,0	7,5
816	შარლოტი-ლეიკერსი	2,1	12,0	1,45
817	ინდიანა-ტორონტო	1,25	12,0	3,1
818	პორტლენდი-გოლდენ სტეიტი	1,05	12,0	7,5
819	ვანკუვერი-ვაშინგტონი	1,55	12,0	1,9

17 თებერვალი

820	კლივლენდი-დენვერი	1,5	12,0	2,0
821	ჩიკაგო-მაიამი	3,1	12,0	1,25
822	მილუოკი-ინდიანა	1,7	12,0	1,7
823	დალასი-დეტროიტი	1,7	12,0	1,7
824	იუტა-საკრამენტო	1,45	12,0	2,1

კალათბურთი. ევროლიგა

9 თებერვალი

825	ოლიმპიაკოსი-პო ორტეზი	1,15	12,0	4,0
826	ბენეტონი-თოფაში	1,3	12,0	2,5
827	ფორტიტუდო-ვარეზე	1,1	12,0	5,0

17 თებერვალი

828	ცსკა-ჟალგირისი	1,1	12,0	4,0
829	ეფესი-ულქერი	1,3	12,0	2,8
830	მაკაბი-კახა სან ფერნანდო	1,3	12,0	2,5
831	პანათინაიკოსი-პაოკ	1,1	12,0	5,0
832	რეალი-შოლე	1,1	12,0	5,0
833	ბარსელონა-ალბა	1,2	12,0	3,0
834	ოლიმპია-ცრვენა ზვეზდა	1,1	12,0	5,0
835	ვილერმანი-ბუდუჩნოსტი	1,3	12,0	2,5
836	ციბონა-პივოვარნა	1,1	12,0	5,0

ჰოკეი

16 თებერვალი

844	ტორონტო-ბოსტონი	1,5	4,0	3,0
845	პიტსბურგი-ბუფალო	1,7	4,0	2,4
846	ატლანტა-მონრეალი	2,1	4,0	1,9
847	ფლორიდა-რეინჯერსი	1,7	4,0	2,4
848	დეტროიტი-ვანკუვერი	1,3	4,0	4,0
849	ჩიკაგო-ლოს ანჯელესი	2,0	4,0	2,0
850	დალასი-ნეშვილი	1,3	4,0	4,0
851	ანაჰაიმი-კალგარი	1,8	4,0	2,2

17 თებერვალი

852	ბუფალო-ვანკუვერი	1,6	4,0	2,7
853	ოტავა-ტამპა ბეი	1,25	4,0	4,4
854	ნიუ ჯერსი-კოლორადო	1,6	4,0	2,7
855	ფილადელფია-აილენდერსი	1,2	4,0	5,0
856	კაროლინა-მონრეალი	1,8	4,0	2,2

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით დადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ევროამერიკა აგურიაგურზე



ინდიანაპოლისის ოვალი: 90 წლის დებიუტანტი

ფორმულა 1-ის მორიგი, 51-ე ჩემპიონატის დაწყებამდე თვეზე ნაკლები რჩება. „მოხეტიალე ციკის“ მონაწილენი სამზადისს ასრულებენ — ახალი ბოლიდების ტესტირებასაც ამთავრებენ და გუნდების შემადგენლობებიც პრაქტიკულად უკვე დააზუსტეს. თუმცა, ცვლილებების შესატანად 9 მარტამდე ჯერ კიდევ დროა.

დამდეგი სეზონის უმთავრესი სიახლე კალენდარში აშშ-ის დიდი პრიზის გამოჩენაა. ამერიკული ეტაპი თითქმის ათწლიანი იზოლაციის შემდეგ დაუბრუნდა ფორმულას. არადა, რბოლები იქ პირველივე ჩემპიონატიდან ზედიზედ 42 წელი ეწყობოდა, ზოგჯერ სეზონში ორჯერაც კი, ხოლო 1982 წელს შტატების ტერიტორიამ ერთბაშად სამ ეტაპს უმასპინძლა.

ბოლო დროს, რაკი ევროპული ფორმულა ამერიკელთათვის ლამის საკულტო „ინდიკარს“ კონკურენციას ვეღარ უწევდა და სულ რაღაც 30-ათასიან აუდიტორიას იკრებდა, ოკეანისგაღმელებმა „სამეფო რბოლებს“ უგანეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახდა, რომ კანტიკუნტად მოჯირითე იანკები მშობლიურ ტრასებზე წარმატებას ვეღარ აღწევდნენ: ბოლო 40 დიდი პრიზიდან მასპინძლებმა ერთადერთის მოგება შეძლეს — 1977 წელს, მარიო ანდრეტიმ. უკანასკნელი ეტაპი 1991 წელს ფინიქსში, „აისბერგად“ წოდებულ ქალაქის ტრასაზე, ლეგენდარული აირტონ სენას „მაკლარენის“ ტრიუმფით დასრულდა. სწორედ „ჯადოქარი“ ბრაზილიელია აშშ-ში გამარჯვებებით რეკორდსმენი — 1986-91 წლებში მან ხუთჯერ მოიპოვა პირველობა.

წლევანდელი ასპარეზობა სექტემბრის ბოლოს ამერიკული ავტოსპორტის მექაში — ინდიანაპოლისში გაიმართება. ბილეთების გაყიდვა შარშან შემოდგომაზე, ერთი წლით ადრე დაიწყო. ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ ძველ, თუმც სახეცვლილ „ოვალზე“ რბოლას 200 ათასამდე მაყურებელი ეყოლება, რაც ფორმულისთვის სარეკორდო კია, მაგრამ ამერიკელთა სათაყვანებელი „ინდი 500“-ის დამსწრეთა მხოლოდ ნახევარს შეადგენს.

კალენდარში აშშ-ის დიდი პრიზის დამატებით წლევანდელი სეზონი 17-ეტაპიანი გახდა. ეს რბოლათა მაქსიმალური რაოდენობაა და აქამდე მხოლოდ სამჯერ — 1977, 95, 97 წლებში ყოფილა. ჩემპიონატი 12 მარტს ავსტრალიაში დაიწყება. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის წინასწარ კალენდარში პირველი იყო 20 თებერვლის მალაიზიის დიდი პრიზის გათამაშება. მაგრამ ეს იქ მუსონებისა და ტროპიკული წვიმების პერიოდია, თანაც ავსტრალიელებმაც ამოიღეს ხმა და ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ დაიბრუნეს ბოლო წლებში მათთვის ტრადიციული, სეზონის გახსნის პატივი. მალაიზიურ ეტაპს ჩემპიონატის ფინიშზე მიეჩინა ადგილი.

ჩაშლის პირას იდგა ბელგიის დიდი პრიზის გათამაშება. კონფლიქტის მიზეზი კი თამბაქო გახდა, უფრო ზუსტად, სიგარეტის რეკლამა, რაც ამ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აიკრძალა 2000 წლიდან. ფედერაციამაც, ასე არ უნდაო, შესაშური პრინციპულობა გამოიჩინა და იმის ნაცვლად, ტრასაზე რეკლამაწაშლილი ბოლიდების გაშვებას დაყაბულებოდა, სპა-ზე რბოლა საერთოდ ამოიღო კალენდრიდან. მაშინ კი საფუძვლიანად შეფუცხუნდნენ ბელგიელები. ფორმულის ეტაპს ნებისმიერი ქვეყნისთვის, პრესტიჟის გარდა, მრავალმილიონიანი შემოსავალიც მოაქვს, რის დაკარგვაც ცხადია, უაზრობა იქნებოდა და ხსენებულ კანონში პარლამენტის მიერ სასწრაფოდ შეტანილი საგანგებო შესწორების შემდეგ ბელგიის რბოლამ კვლავ დაიკავა კუთვნილი ადგილი აგვისტოს ბოლო კვირადღეს.

დაბოლოს, კიდევ ორ ცვლილებაზე: ბრიტანულ ეტაპს ტრადიციული თარიღი შეეცვალა და შუა ივლისის ნაცვლად სამი თვით ადრე, აპრილში გაიმართება. მონტე კარლოს რბოლა კი სამი კვირით გადაავადეს და წინ „მომთაბარე“ ევროპის დიდი პრიზი ჩაუსვეს.

დებიუტანტი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშება ფორმულის პირველივე ჩემპიონატიდან, ანუ 1950 წლიდან იმართებოდა. მაგრამ თავიდან, 1950-60 წლებში, ამას სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საერთო ჩათვლაში შედიოდა მხოლოდ ამერიკელ პილოტთა შედეგები ინდიანაპოლისის „ოვალზე“. ეს იმიტომ, რომ ევროპელი მრბოლები თავს არიდებდნენ ოკეანის გაღმა მომქანცველ და ძვირადღირებულ მგზავრობას და რაკი ინდი 500-ის სიგრძე სულ ცოტა ორჯერ აღემატებოდა ფორმულისას, მანქანაც შესატყვისი იყო საჭირო. ხოლო ერთადერთი, თუნდაც ასე პრინციპული მნიშვნელობის ეტაპისთვის მკვეთრად განსხვავებული ბოლიდის მომზადება და ახალ, რთულ სპეციფიკასთან შეგუება ძნელი იყო და ხანგრძლივ ადაპტაციას მოითხოვდა. ამგვარ ხარჯებს კი, ანუ ორ ფრონტზე სხვადასხვა ავტოებით ბრძოლას, ვერც ერთი გუნდის ბიუჯეტი ვერ გასწვდება. იმავე მიზეზით, ბუენოსაირესი, არც ამერიკელები იდებდნენ თავს ევროპაში სტუმრობით. ასე რომ, ოკეანის გაღმა ის 11 რბოლა ინდიკარისა და ფორმულის მხოლოდ სიმბოლურ კავშირს თუ გამოხატავდა. სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ 24 სექტემბერს შედგება ინდიანაპოლისის 90 წლის „ოვალის“ დებიუტი „სამეფო რბოლებში“.

„ოვალი“ მთელ დუნიაზე უძველესი მოქმედი ტრეკია. ჯერ კიდევ საუკუნის გარიჟრაჟზე ოთხ ინდიანაპოლელ ბიზნესმენს, კარლ ფიშერს ეგონა, კაცობით, გაუჩნდა წრიული-ტრასის აგების იდეა ადგილობრივი წარმოების ავტოების გამოსაცდელად. უმოკლეს დროში იდეას ხორცი შეესხა და რამდენიმე თვეში მზად იყო ოვალური ფორმის ტრასა ორი ზეჩქარსნული კილომეტრიანი სწორი მონაკვეთით. წრის სიგრძე ორნახევარი მილია. პირველივე საცდელი რბოლა, რომელიც 1909 წელს ჩატარდა, ტრაგიკულად დასრულდა — ტრასის უხარისხო და სახიფათო ქვაფენილმა სამ პილოტისა და ორი მაყურებლის სიცოცხლე შეიწირა.

ის ავბედითი საფარი, ცხადია, მაშინვე შეცვალეს. სულ რაღაც ორ თვეში ოთხკილომეტრიან ტრასაზე სამ მილიონზე მეტი საგანგებოდ დამზადებული აგური დააგეს და სწორედ ამიტომაცაა ინდიანაპოლისის ოვალი საყოველთაოდ ცნობილი, როგორც „აგურის ძველი შარა“.

პირველად დიდი რბოლა 1911 წელს გაიმართა. დისტანცია 200-წრიანი, ანუ ზუსტად 500 მილი იყო. იმ დროისთვის უზარმაზარი საპრიზო თანხა — 27 500 დოლარი რეი ჰარონმა და საირუს პატშკემ დაისაკუთრეს. ისინი მონაცვლეობით უსხდნენ საჭეს და 804 კმ-ის დაძლევას 6 საათი, 42 წუთი და 8 წამი მოანდომეს (საშუალო სიჩქარე 120 კმ/სთ).

დროთა განმავლობაში, კერძოდ, 1937 წელს, აგურები უფრო თანამედროვე და სწრაფი ასფალტით დაფარეს, თუმცა სასტარტო მონაკვეთი 1962 წლამდე მაინც აგურისა დარჩა.

„ოვალის“ კონფიგურაცია საკმაოდ ერთფეროვანია: ოთხკილომეტრიან წრეზე სულ ოთხი მოსახვევია, ოთხივე მარცხენა; ფორმულის ტრასების პროფილი კი გაცილებით რთულია და უფრო საინტერესოც. ამერიკელებს მწვავესიუჟეტიანი, ჩქარსნული სანახაობა იტაცებთ. ამიტომაც ოვალის შიგნით მეტად ჩახლართული, მიხვეულ-მოხვეული ორკილომეტრიანი მონაკვეთი მოაწყვეს, რომელიც შემდეგ ისევ ტრეკზე ბრუნდება. ასე რომ, ახალი ტრასა ოვალის ზესწრაფ მონაკვეთებსა და ახალ მოსახვევებს აერთიანებს. განსაკუთრებით რთულია სასტარტო კილომეტრიანი სწორის ბოლოს პირველივე, თითქმის 90-გრადუსიანი მარჯვენა მოსახვევი, სადაც დიდი შეხლა-შემოხლა და ავარიაცაა მოსალოდნელი. ტრასა რბოლამდე თითქმის ნახევარი წლით ადრე, უკვე აპრილისთვის იქნება მზად, რათა პილოტებმა შეძლონ ახალ გარემოსთან შეგუება ბრაზილიაში ან შემდგომ, კანადაში რბოლის შემდეგ.

ირაკლი ნიკოლაძე

ყველა ტრასა

12 მარტი, ავსტრალია (1985)*
მელბურნი

5,3 კმ. * 210,6 კმ/სთ (1997, ფრენცენი/უილიამსი)

26 მარტი, ბრაზილია (1973)
სან პაულუ

4,3 კმ; 197,1 კმ/სთ (1997, ვილნევი/უილიამსი)

9 აპრილი, სან მარინო (1981)
იმოლა



4,9 კმ; 207,5 კმ/სთ (1997, ფრენცენი/უილიამსი)

23 აპრილი, დიდი ბრიტანეთი (1960)
სილვერსტოუნი

5,1 კმ; 219,0 კმ/სთ (1997, მიხაელ შუმახერი/ფერარი)

7 მაისი, ესპანეთი (1951)
ბარსელონა

4,7 კმ; 207,0 კმ/სთ (1997, ფიზიკელა/ჯორდანი)

21 მაისი, მონაკო (1983)
ნიურბურგი

4,6 კმ; 208,1 კმ/სთ (1997, ფრენცენი/უილიამსი)

4 ივნისი, მონაკო (1950)
მონტე კარლო

3,3 კმ; 147,3 კმ/სთ (1999, ჰაკინენი/მაკლარენი)

18 ივნისი, კანადა (1967)
მონრეალი



4,4 კმ; 200,5 კმ/სთ (1998, მიხაელ შუმახერი/ფერარი)

2 ივლისი, საფრანგეთი (1950)
მანი კური



4,2 კმ; 198,5 კმ/სთ (1992, მენსელი/უილიამსი)

16 ივლისი, ავსტრია (1964)
შპილბერგი

4,3 კმ; 216,5 კმ/სთ (1997, ვილნევი/უილიამსი)

30 ივლისი, გერმანია (1951)
ჰოკენჰაიმი



6,8 კმ; 233,3 კმ/სთ (1999, კულჰარდი/მაკლარენი)

13 აგვისტო, უნგრეთი (1986)
ბუდაპეშტი



4,0 კმ; 182,4 კმ/სთ (1992, მენსელი/უილიამსი)

27 აგვისტო, ბელგია (1960)
სპა



7,0 კმ; 225,6 კმ/სთ (1997, ვილნევი/უილიამსი)

10 სექტემბერი, იტალია (1950)
მონცა



5,8 კმ; 244,9 კმ/სთ (1997, ჰაკინენი/მაკლარენი)

24 სექტემბერი, აშშ (1950-91)
ინდიანაპოლისი



4,2 კმ

8 ოქტომბერი, იაპონია (1976)
სუძუკა



5,8 კმ; 213,4 კმ/სთ (1997, ფრენცენი/უილიამსი)

22 ოქტომბერი, მალაიზია (1999)
კუალა ლუმპური



5,5 კმ; 1999,0 კმ/სთ (შუმახერი/ფერარი)

შენიშვნა:

* — პირველი რბოლა

** — ტრასის სიგრძე

*** — წრის რეკორდი

სლოვანში მეოთხე ქართველმა ითამაშა

სლოვენიის საკალათბურთო ჩემპიონატმა ჯერ კიდევ მაშინ მიიქცია ქართველ გულშემატკივართა ყურადღება, როდესაც ჩვენებური ვლადიმერ სტეფანია ლიუბლიანის „ოლიმპიამ“ გაიმარჯვა. ამ ორი წლის წინ სტეფანიას გზასვე დადგა მისი სეხნია ვლადიმერ ბოისა. ისიც „ოლიმპიამ“ დაისაკუთრა და ჯერ „პოსტოინაში“, ამ სეზონის დასაწყისში კი ლიუბლიანისავე „სლოვანში“ გაანათხოვრა. იმის მერე კიდევ სამი ქართველი დასახლდა სლოვენიაში. ნიჭიერი მოთამაშეების მაძიებელმა იქაურმა სელექციონერებმა საქართველოს კადეტთა ნაკრების წევრებს დაადგეს თვალი და სულ მალე ცქიტიშვილი, უგრეხელიძე და კვიდიაც ლიუბლიანაში აღმოჩნდნენ.

ბედმა ოთხივე ჩვენებური ერთად შეყარა. ქციტიშვილმა და უგრეხელიძემ მრავალწლიანი კონტრაქტები გააფორმეს „სლოვანთან“, კვიდია კი ამავე გუნდის ახალგაზრდულ შემადგენლობაში ჩაირიცხა.

და აი, პირველად ამ სეზონში ირაკლი კვიდიამ „სლოვანის“ ძირითად გუნდში ითამაშა. გასულ შაბათს ქართველების გუნდი დომზალეში „ჰელიოსს“ სტუმრობდა და მწვრთნელმა, ტომო მაჰორიჩმა გადაწყვიტა, მოედანზე შეეშვა კვიდია. ირაკლის თავი არ შეურცხვენია, მართალია, სულ რამდენიმე წუთს ითამაშა, მაგრამ თავისი ნათლობა „სლოვანის“ დიდ გუნდში 2 ქულით მაინც აღნიშნა.

გუშინ კი აი, რა გვითხრა კვიდიამ:

სარბიელის არქივიდან

ირაკლი კვიდია

— ოფიციალურ შეხვედრაში პირველად „ჰელიოსთან“ ვითამაშე, მანამდე მაჰორიჩმა „ოლიმპიასთანაც“ დამაყენა შემადგენლობაში, თუმც მოედანზე არ შემიშვა. ისე, ამხანაგურ მატჩებში ბევრჯერ გამოვუცდივარ მწვრთნელს, ალბათ, ჩათვალა, რომ მზად ვარ დიდ „სლოვანში“ სათამაშოდ.

— კმაყოფილი დარჩით თქვენი დებიუტით?

— როგორ გითხრათ, ხუთი წუთიღა რჩებოდა, როცა მოედანზე გავედი. ბევრი არ მითამაშია, თანაც მიჭირს საკუთარ თავზე ლაპარაკი...

— მწვრთნელმა რა გითხრათ?

— ისეთი არაფერი, უბრალოდ დებიუტი მომილოცა და შემაგულიანა.

— როგორ ფიქრობთ, რით დაიმსახურეთ „სლოვანის“ ძირითად გუნდში თამაში?

— მიჭირს პასუხის გაცემა. სულ ვვარჯიშობ, საკუთარ თავზე ბევრს ვმუშაობ. ამას კი მწვრთნელიც ხედავს. ისე, სიმართლე გითხრათ, სხვა მიზეზიც არის, დავით უგრეხელიძე 2 კვირაა ავადმყოფობს და მაჰორიჩმაც სწორედ „უგრეს“ მაგივრად შემიყვანა ძირითადში.

— რა სჭირს უგრეხელიძეს?

— გრიპი ჰქონდა. ახლა უკვე კარგადაა და დღეს-ხვალ ვარჯიშსაც შეუდგება.

— თქვენ რა ბედი გეწევათ?

— ეს უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია, თუ უნდა, თავისთან გამომიძახებს, თუ არადა ისევ ახალგაზრდულ გუნდში დამაბრუნებს. სხვათა შორის, ერთი დიდი ნაბიჯი გადავდგი წინ, ვიგრძენი, რომ მაჰორიჩი სხვებზე მეტად მენდობა. ასე რომ არ იყოს, რაღა მე ამიყვანდა „სლოვანის“ ძირითადში?

— ახალგაზრდულ გუნდში სისტემატურად თამაშობთ?

— საქმე ისაა, რომ აქაური წესით უცხოელს მხოლოდ უმაღლეს ლიგაში შეუძლია თამაში, სხვაგან მეკრძალება. ამიტომ მხოლოდ ამხანაგური თამაშებით ვიფარგლები, მომავალი წლიდან კი, როგორც ჩემი კლუბის დირექტორი მეუბნება, გაუქმდება ეს წესი.

— დღის რეჟიმი როგორი გაქვთ?

— დილის შვიდ საათზე ახალგაზრდულ გუნდთან ვვარჯიშობ. ათზე და საღამოს ექვსზე კი დიდებთან ერთად ვემზადები. ასე ვარ კვირაში სამი დღე, ორ დღეს ორ-ორჯერ ვვარჯიშობ, შაბათობით თამაშებია. კვირას კი ვისვენებ.

— თავისუფალ დროს სამივე ერთად ხართ?

— ოთხივე. ბოისაც სულ ჩვენთანაა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საცხოვრებელი შევიცვალეთ.

— ჰო, მართლა, სხვა ბინაში რატომ გადახვედით?

— ეს სახლი უფრო ახლოსაა დარბაზთან, სულ რაღაც ორმოცდაათ მეტრში. იქიდან კი მგზავრობაში ბევრ დროს ვკარგავდით. ვარჯიშის მერე ბოისაც ჩვენთან მოდის ხოლმე, ერთად ვისვენებთ, ვსადილობთ და საღამოს ვარჯიშისთვის ვემზადებით.

— თქვენთვის არ შემოუთავაზებიათ სლოვენიელებს კონტრაქტის გაფორმება?

— ჯერ არაფერი უთქვამთ, ამაზე კონკრეტულად სეზონის ბოლოს იქნება საუბარი.

— თავად თუ გსურთ დარჩენა?

— რა თქმა უნდა. აქაურობით ძალიან კმაყოფილი ვარ. ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. შევეცდები, რომ ძირითად გუნდში ადგილი დავიმკვიდრო. სადღეისოდ სხვა საფიქრალი არც კი მაქვს.

— ჰაბუკთა ნაკრებში თუ ხართ გამოძახებული?

— ნიკო ჩერქეზიშვილი დაგვიკავშირდა და შევთანხმდით, რომ მეც, უგრეხელიძეცა და ცქიტიშვილიც პირდაპირ საფრანგეთში ჩავალთ და იქ შევუერთდებით გუნდს.

გიორგი ბიკაშვილი

სლოვენია

XXI ტური

ოლიმპია — მარიბორი 90:62, ტრიგლავი — ზაგორიე 62:57, ლოკა კავა — კრაშკი ზიდარი 67:65, პივოვარნა — როგლა ატრასი 107:84, სავინსკი — კრკა 86:81

ჰელიოსი 63:89 სლოვანი

ჰელიოსი: დ. ტრიფუნოვიჩი, ზალოკარი (12), რ. ტრიფუნოვიჩი (13), ზავოდნიკი (3), კოშაკი (7), პლევნიკი (17), ჟურაკი (3), ლაშკევიჩი (8)

სლოვანი: ნოვაკი (11), ლაკოვიჩი (11), ჟაკელი (11), **კვიდია** (2), ჯურკოვიჩი (11), კოვაჩი, პავიჩი (11), **ბოისა** (6), მარავიჩი (8), შუმტარშიჩი (13), **ცქიტიშვილი** (5)

სლოვენიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ლიუბლიანის „სლოვანი“ შინ უნდა დამარცხდეს კრანის „ტრიგლავთან“, პოლზელას „სავინსკიმ“ სტუმრად უნდა მოუგოს „კრაშკი ზიდარს“, ხოლო „ზაგორიემ“ შინ უნდა დაამარცხოს ლაშკოს „პივოვარნა“. აი, ეს გახლავთ ერთადერთი ვარიანტი, რომლის გათამაშების შემთხვევაში ქართველების გუნდი, ლიუბლიანის „სლოვანი“ ფინალური ექვსეულის მიღმა დარჩება. „სავინსკის“ მიერ „კრაშკი ზიდარის“ დამარცხება რეალურიცაა და მოსალოდნელიც; „ტრიგლავის“ მიერ „სლოვანის“ ძლევაც არ გახლავთ მთლად გამორიცხული, მაგრამ მოუგებს „ზაგორიე“ „პივოვარნას“? თუ ვიფარაუდებთ, რომ ამქვეყნად ყველაფერი ხდება, მაშინ იქნებ „ზაგორიემაც“ მოიგოს...

რაც ზემოთ მოგახსენეთ, მომავალ ტურს ეხება, რომელიც შაბათს უნდა გაიმართოს. გასულ შაბათს კი „სლოვენის“ რიგებში მეოთხე ქართველმა ითამაშა. ირაკლი კვიდიას დებიუტი დომზალეს „ჰელიოსის“ წინააღმდეგ შედგა. ქართველმა კალათბურთელმა სამი წუთი ითამაშა და მოედანი ორი ქულით დატოვა: ორიდან ორი საჯარიმო ჩააგდო. არ უთამაშია დავით უგრეხელიძეს, რომელმაც ბოლომდე არ იმკურნალა გრიპი და ახლა ავადმყოფობამ კვლავ შეახსენა თავი.

„ჰელიოსს“ ჰყავს სამო პლევნიკი, კაცი, რომელმაც სლოვენიის „ოლ სტარზე“ სამქულიანების კონკურსი მოიგო. მატჩი ხეირიანად დაწყებული არ იყო, რომ პლევნიკმა ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო და „ჰელიოსი“ 9:0 დაწინაურდა. ეს მასპინძელთათვის ერთადერთი გასაზარი ამბავი გამოდგა, „სლოვანმა“ უმალ აუღო ალღო სიტუაციას და უპირატესობას დაეუფლა. „ჰელიოსი“ ძალზე მაღალი გუნდი ყოფილა, ამიტომაც ლიუბლიანელთა მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა მოთამაშეები გადაჯგუფა. ჩვენთვის ის გახლავთ საინტერესო, რომ ამპლუით ფრთა ბოისა უკანა ხაზში, მსროლელის პოზიციაზე გადავიდა, ხოლო ნომინალურმა თავდამსხმელმა ცქიტიშვილმა ერთი საფეხურით ქვემოთ დაიწია და ფრთად მოგვევლინა. სიმაღლეში უპირატესობა რომ გაქვითეს, სლოვანელები კომბინაციურად ათამაშდნენ და „ჰელიოსს“ სულ ბოლი ადინეს. ლიუბლიანელთა გუნდური მოქმედების შედეგი ის გახლავთ, რომ ექვსი მოთამაშის მონაგარი ორნიშნა რიცხვით გამოიხატება (ხუთმა მათგანმა 11 ქულას მოუყარა თავი). უკვე პირველი ტაიმის შემდეგ „სლოვანი“ 49:33 იგებდა.

ვლადიმერ ბოისამ 21 წუთი ითამაშა. მატჩი, წესისამებრ, სასტარტო ხუთეულში დაიწყო. ბოისამ სამი ორქულიანიდან ორი ჩააგდო, ხოლო ორი საჯარიმოდან ორივე გამოიყენა. ვოვამ სამი მოხსნა, ორი პასი და ერთი დაფარებაც მიითვალა.

ნიკა ცქიტიშვილი თავიდან პირველი ტაიმის შუაწელში შეუშვეს, მეორე ტაიმი კი ხუთეულში დაიწყო. 14 წუთში ნიკამ ორი ორქულიანი ისროლა და ორივე ჩაადო, ოთხი საჯარიმოდან კი ერთს მიუჩინა ადგილი კალათში. ცქიტიშვილის ანგარიშზე სამი მოხსნა და ერთი ჩაჭრაც მოდის.

დანარჩენი მატჩებიდან აღსანიშნავია „სავინსკის“ გამარჯვება ნოვო მესტოს „კრკასთან“. ეს უკანასკნელი ფავორიტად ითვლებოდა, კარგად ითამაშა მისმა ლიდერმა მატიაჟ სმოდიშმა (32 ქულა), მაგრამ დანარჩენებმა მხარი ვერ აუბეს. „სავინსკიში“ გამოირჩეოდნენ ბოსნიელი აბდურაჰმან კაჰრიმანოვიჩი და ბენო უდრიჰი, რომელთაც 22-22 ქულა მიითვალეს. ექვსეულში მოხვედრისთვის მებრძოლთა დაპირისპირებაში „ტრიგლავმა“ უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა „ზაგორიე“. ლიდერებს კი პრობლემები არ ჰქონიათ: „ოლიმპიამ“ „მარიბორთან“ გაისეირნა, „პივოვარნამ“ — „როგლა ატრასთან“.

მომავალ შაბათს კი... იმედია, ბოისას, ცქიტიშვილის, უგრეხელიძისა და კვიდიას „სლოვანი“ ექვსეულში მოხვდება.

ოლიმპია	21	20	1	1855:1272	41
პივოვარნა	21	19	2	1869:1497	40
კრკა	21	16	5	1675:1481	37
ტრიგლავი	21	12	9	1510:1602	33
სლოვანი	21	11	10	1530:1468	32
სავინსკი	21	11	10	1670:1636	32
ზაგორიე	21	11	10	1528:1622	32
ლოკა კავა	21	6	15	1468:1642	27
როგლა ატრასი	21	6	15	1519:1695	27
მარიბორი	21	6	15	1488:1780	27
ჰელიოსი	21	5	16	1567:1790	26
კრაშკი ზიდარი	21	3	18	1486:1680	24

რეგულარული ჩემპიონატი. სტატისტიკა 16 თებერვლისთვის

ქულა

მოთამაშე	კლუბი	თ.	რაოდ.	საშ.
ალენ აივერსონი	ფილადელფია	39	1219	31,3
შაკილ ონილი	ლეიკერსი	47	1318	28,0
გრანტ ჰილი	დეტროიტი	43	1170	27,2
კარლ მელოუნი	იუტა	47	1200	25,5
კრის ვებერი	საკრამენტო	45	1118	24,8
ტიმ დანკანი	სან ანტონიო	49	1205	24,6
ვინს კარტერი	ტორონტო	47	1153	24,5
კევინ გარნეტი	მინესოტა	47	1090	23,2
ჯერი სტეკჰაუზი	დეტროიტი	48	1114	23,2
გერი პეიტონი	სიეტლი	51	1117	23,1
მაიკლ ფინლი	დალასი	48	1095	22,8
ალონზო მურნინგი	მაიამი	47	1065	22,7
გლენ რობინსონი	მილუოკი	49	1114	22,7
სტივენ მარბერი	ნიუ ჯერსი	49	1090	22,2
აიზია რაიდერი	ატლანტა	44	968	22,0
რეი ალენი	მილუოკი	50	1094	21,9
შარიფ აბდურ-რაჰიმი	ვანკუვერი	48	1006	21,0
ალან ჰიუსტონი	ნიუ იორკი	47	983	20,9
ანტუან უოლკერი	ბოსტონი	49	1004	20,5
ანტაუნ ჯემისონი	გოლდენ სტეიტი	43	841	19,6

მოხსნა

მოთამაშე	კლუბი	თ.	რაოდ.	საშ.
დიკემბე მუტომბო	ატლანტა	47	679	14,4
შაკილ ონილი	ლეიკერსი	47	667	14,2
ტიმ დანკანი	სან ანტონიო	49	642	13,1
კევინ გარნეტი	მინესოტა	47	565	12,0
ჯეიმი ფეიკი	ნიუ ჯერსი	48	518	10,8
კრის ვებერი	საკრამენტო	45	480	10,7
დეილ დევისი	ინდიანა	48	487	10,1
შარიფ აბდურ-რაჰიმი	ვანკუვერი	48	480	10,0
ჯერომ ვილიამსი	დეტროიტი	48	476	9,9
დევიდ რობინსონი	სან ანტონიო	47	461	9,8

პასი

მოთამაშე	კლუბი	თ.	რაოდ.	საშ.
ჯეისონ კიდი	ფინიქსი	48	474	9,9
სემ კასელი	მილუოკი	49	457	9,3
ტერელ ბრენდონი	მინესოტა	38	333	8,8
გერი პეიტონი	სიეტლი	51	437	8,6
ჯონ სტოქტონი	იუტა	47	403	8,6
სტივენ მარბერი	ნიუ ჯერსი	49	417	8,5
ნიკ ვან ექსელი	დენვერი	45	379	8,4
მარკ ჯეკსონი	ინდიანა	48	399	8,3
ჯეისონ ვილიამსი	საკრამენტო	47	389	8,3
როდ სტრიკლენდი	ვაშინგტონი	49	369	7,5

ჩაჭრა

მოთამაშე	კლუბი	თ.	რაოდ.	საშ.
ედი ჯონსი	შარლოტი	37	111	3,00
პოლ პირსი	ბოსტონი	40	89	2,23
მუკი ბლეილოკი	გოლდენ სტეიტი	38	80	2,11
დარელ არმსტრონგი	ორლანდო	50	102	2,04
ჯეისონ კიდი	ფინიქსი	48	98	2,04
ალენ აივერსონი	ფილადელფია	39	77	1,97
კენდალ გილი	ნიუ ჯერსი	43	84	1,95
რონ არტესტი	ჩიკაგო	47	88	1,87
ბრევინ ნაითი	კლივლენდი	45	83	1,84
ჯორჯ ლინჩი	ფილადელფია	49	83	1,69

დაფარება

მოთამაშე	კლუბი	თ.	რაოდ.	საშ.
ალონზო მურნინგი	მაიამი	47	190	4,04
შაკილ ონილი	ლეიკერსი	47	161	3,43
დიკემბე მუტომბო	ატლანტა	47	150	3,19
შონ ბრედლი	დალასი	48	133	2,77
თეო რეთლიფი	ფილადელფია	24	65	2,71
დევიდ რობინსონი	სან ანტონიო	47	110	2,34
რიფ ლაფრენეცი	დენვერი	47	105	2,23
ტიმ დანკანი	სან ანტონიო	49	109	2,22
მარკუს კემბი	ნიუ იორკი	41	87	2,12
დერიკ კოულმენი	შარლოტი	44	89	2,02

იტალია

XXI ტური

სიენა — კინდერი 49:63, ფორტიტუდო — ტრიესტი 85:77, პეპსი — ვიოლა 78:68, მიულერი — ვარეზე 81:77, ბენეტონი — აეროპორტი 86:73, რეჯანა — იმოლა 83:96, ადეკო — კანტუ 83:81, სკავოლინი — ძუკეტი 77:79

ფორტიტუდო	21	20	1	1674:1436		41
კინდერი	21	15	6	1611:1409		36
ბენეტონი	21	15	6	1598:1483		36
აეროპორტი	21	14	7	1550:1522		35
სკავოლინი	21	13	8	1618:1556		34
სიენა	21	12	9	1458:1428		33
ძუკეტი	21	12	9	1585:1558		33
ვიოლა	21	12	9	1557:1601		33
იმოლა	21	10	11	1692:1693		31
ვარეზე	21	8	13	1525:1540		29
ტრიესტი	21	7	14	1501:1507		28
პეპსი	21	7	14	1567:1583		28
ადეკო	21	7	14	1482:1612		28
მიულერი	21	6	15	1462:1568		27
კანტუ	21	6	15	1473:1620		27
რეჯანა	21	4	17	1562:1699		25

ესპანეთი

XXIII ტური

კასერესი — ფუენლაბრადა 61:73, ბადალონა — რეალი 77:73, კახა სან ფერნანდო — ხირონა 75:70, ტაუ — პამესა 92:86, ბარსელონა — უნიკახა 76:69, კანარიასი — ლეონი 86:69, ფორუმი — ხიხონი 55:63, ტდკ — კანტაბრია 64:68, ესტუდიანტესი — ბრეოგანი 64:61

სან ფერნანდო	23	18	5	1706:1546		41
პამესა	23	17	6	1878:1697		40
ესტუდიანტესი	23	16	7	1689:1578		39
ტაუ	23	15	8	1847:1696		38
ბარსელონა	23	15	8	1694:1555		38
რეალი	23	13	10	1705:1615		36
უნიკახა	23	13	10	1611:1593		36
კანარიასი	23	13	10	1714:1733		36
ბადალონა	23	11	12	1794:1816		35
ხირონა	23	10	13	1703:1668		33
კასერესი	23	10	13	1658:1710		33
ფორუმი	23	10	13	1565:1624		33
ბრეოგანი	23	9	14	1650:1724		32
ფუენლაბრადა	23	8	15	1699:1735		31
ტდკ	23	8	15	1557:1643		31
ხიხონი	23	8	15	1541:1717		31
კანტაბრია	23	7	16	1583:1798		30
ლეონი	23	6	17	1520:1666		29

თურქეთი

XXI ტური

ეფესი — მიდონოსე 105:87, ფენერბაჰჩე — ქარშიაქა 85:86, ოიაქი — დარუშაფაკა 49:60, ტროი — ითუ 94:75, თოფაში — ბეშიქთაში 64:50, ტელეკომი — გალათასარაი 81:87, ულქერი — ქომბასანი 61:53

ეფესი	21	17	4	1633:1489		38
თოფაში	21	16	5	1538:1385		37
ბეშიქთაში	21	14	7	1545:1488		35
ქარშიაქა	21	14	7	1571:1500		35
ულქერი	21	14	7	1572:1479		35
ტელეკომი	21	13	8	1590:1521		34
დარუშაფაკა	21	12	9	1564:1563		33
გალათასარაი	21	11	10	1585:1535		32
ფენერბაჰჩე	21	11	10	1636:1584		32
ტროი	21	7	14	1642:1703		28
მიდონოსე	21	6	15	1637:1738		27
ქომბასანი	21	6	15	1455:1510		27
ითუ	21	5	16	1418:1614		26
ოიაქი	21	1	20	1357:1634		22

საბერძნეთი

შავი კვირის დასასრული

XX ტური

დაფნი — ირაკლიონი 94:101, მარუსი — ირაკლისი 72:76, სპორტინგი — ესპეროსი 87:77, პერისტერი — ოლიმპიაკოსი 57:73, პანიონიოსი — არისი 74:58, აეკ — ნიარ ისტი 86:62

პაოკ 68:72 პანათინაიკოსი

პაოკ: ნიკოლაიდისი (8), პრელევიჩი (2), მასლარინოსი (7), პერალი (4), ბაზარევიჩი (3), ედვარდსი (16), ანგელიდისი (7), ალექსანდერი (21)

პანათინაიკოსი: კოხი (7), როჯერსი (12), ფოციისი (3), ბოდიროგა (18), ბუდურისი (3), რებრაჩა (14), ბერკი (3), კატაში (12)

პაოკელი ვიქტორ ალექსანდერი ამაოდ დაშვრა

„პანათინაიკოსის" ერთკვირიანი კოშმარი დასრულდა. ათენელებმა სალონიკში მოუგეს პაოკ-ს, ბოლო დროს წამხდარი გუნება გამოიკეთეს და გაცოფებული გულშემატკივრები ოდნავ მაინც დააშოშმინეს. შეგახსენებთ, რომ საბერძნეთის ჩემპიონატის წინა ტურში „პანათინაიკოსი" სუსტ „მარუსისთან" დამარცხდა, ხოლო შუა კვირაში საევროლიგო მატჩი დაუთმო ფრანგულ „შოლეს". გულშემატკივრებიც შინ მიუვარდნენ კლუბის პრეზიდენტს და სასწრაფოდ მოითხოვეს გადამჭრელი ზომების მიღება. ამაში კი მწვრთნელისა და რამდენიმე მოთამაშის დათხოვნა იგულისხმებოდა.

პაოკ-ისთვის უპირატესობად უნდა ქცეულიყო „პანათინაიკოსში" გამეფებული არეულ-დარეულობა, თორემ შემადგენლობის მხრივ მასპინძლებს გაცილებით უარესად ჰქონდათ საქმე. ათენელებს, ასე თუ ისე, ყველა მწყობრში ჰყავდათ, ებრაელი გამთამაშებელი ოდედ კატაშიც მომჯობინდა. სამაგიეროდ, სალონიკელებს საშველი არ დაადგათ: გიორგოს ბალოიანისი, ნიკოს ვეტულასი, იანის იანულისი და იტალიელი კლაუდიო კოლდებელა კვლავაც ტრავმებს ებრძვიან.

უპირატესობას ძირითადად „პანათინაიკოსი" ფლობდა, თუმცა პაოკ-იც ეპიზოდურად გამართულად თამაშობდა, რამაც შეხვედრა ძალიან საინტერესო გახადა. მასპინძელთა ამერიკელები ბილ ედვარდსი და ვიქტორ ალექსანდერი ინდივიდუალურად შესანიშნავად ირჯებოდნენ, რასაც „პანათინაიკოსმა" გუნდური თამაში დაუპირისპირა და მოიგო კიდეც. ხვალ ეს გუნდები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს, ოღონდ ამჯერად ევროლიგის მატჩში და ათენში.

„პანათინაიკოსთან" მარცხის მიუხედავად, პაოკ-მა მწვრთნელ კოსტას ფლევარაკისს ახალი კონტრაქტი შესთავაზა, რომლის პირობებსაც 34 წლის სპეციალისტი უყოყმანოდ დათანხმდა. ამიერიდან ფლევარაკისი წელიწადნახევარი კვლავ პაოკ-ს გაწვრთნის.

საინტერესოა ამ კაცის ბედი. შარშან იგი უკვე იყო პაოკ-ის მთავარი მწვრთნელი და გუნდს საბერძნეთის 1999 წლის თასი მოაგებინა. ხელმძღვანელებმა არად ჩააგდეს ის წარმატება და ზაფხულში ახალი მწვრთნელი, ხორვატი პეტარ სკანსი მოიყვანეს, ხოლო ფლევარაკისი მის თანაშემწედ დანიშნეს. ამ სეზონის შუაწელში სკანსი გაათავისუფლეს, ხოლო ფლევარაკისი კვლავ დაბრუნეს ჯერ დროებით, ახლა კი სრულუფლებიან მთავარ მწვრთნელად.

ფლევარაკისთან მიღწეული შეთანხმებით მეტად კმაყოფილია პაოკ-ის პრეზიდენტი ათანასის აკრივოპულოსი: „კოსტასი ჩვენებურია, ამიტომაც სიხარულით გადავეცით მას გუნდის მართვის უფლებები". პაოკი საბერძნეთის ჩემპიონატში მხოლოდ ლიდერთა სამეულს ჩამორჩება. გუნდმა ასევე გაინაღდა ევროლიგის მერვედფინალში გასვლა, სადაც, მისი სავარაუდო მეტოქე თელ ავივის „მაკაბი" იქნება. პაოკ-ის კუთვნილი დარბაზი უმასპინძლებს ევროლიგის „ოთხთა ფინალს", რომელიც 18-20 აპრილს გაიმართება.

ქვეყნის ჩემპიონატში კი სამხელისუფლებიანობა არ დარღვეულა. „პერისტერი" საწყისი ათი წუთი გაუძალიანდა „ოლიმპიაკოსს", რომლის რიგებში გამოირჩეოდა დრაგან ტარლაჩი. ლიდერმა პირველი ტაიმი 33:23 მოიგო, შესვენების შემდეგ კი „პერისტერი" მთლად მოეშვა, ხოლო ოლიმპიაკოსელებმა საკალათბურთო ტექნიკის შოუ მოაწყვეს.

ათენის აეკ-ძა მეტად იოლად დაამარცხა „ნიარ ისტი". აეკ-ს რომ მოენდომებინა, ანგარიშში სხვაობა 24 ქულაზე გაცილებით მეტი იქნებოდა.

ოლიმპიაკოსი	20	16	4	1433:1246	36
აეკ	20	16	4	1510:1314	36
პანათინაიკოსი	20	16	4	1510:1280	36
პაოკ	20	13	7	1479:1387	33
პერისტერი	20	11	9	1458:1448	31
პანიონიოსი	20	11	9	1480:1449	31
ირაკლისი	20	10	10	1402:1362	30
მარუსი	20	9	11	1379:1408	29
ირაკლიონი	20	9	11	1499:1479	29
არისი	20	8	12	1400:1428	28
ნიარ ისტი	20	8	12	1464:1611	28
დაფნი	20	7	13	1411:1555	27
სპორტინგი	20	3	17	1336:1541	23
ესპეროსი	20	3	17	1339:1592	23

საფრანგეთი

უმოწყალო გულმოწყალე

XXIII ტური

ბეზანსონი — სტრასბური 80:75, ლე მანი — საონი 71:67, ანტიბი — ვილერბანი 75:73, მონპელიე — ნანსი 80:69, შამპანი — პარი სენ ჟერმენი 54:79, დიჟონი — ლიმოჟი 75:62, ევრე — გრაველინი 92:85, პო ორტეზი — შოლე 66:82

ყველაფერი თავდაყირა დადგა საფრანგეთის პირველობის 23-ე ტურში. „ვილერბანმა", „პო ორტეზმა", „ლიმოჟმა", „შალონმა" — მოწინავე ხუთეულიდან ოთხმა — წააგოს. სამაგიეროდ, მაჩანჩალებმა იგემეს გამარჯვების სიხარული. ეს ტური ამ ჩემპიონატში ნამდვილად განსაკუთრებული იყო.

ყველაზე დიდი სენსაცია „ანტიბმა" მოახდინა, რომელმაც საკუთარ დარბაზზე „ესპას პისინში" ლიდერს ადინა ბდღვირი. მასპინძელთა ხუთეულმა ლამის შეუსვენებლად ითამაშა. მათ რიგებში საუკეთესო რუსი ალექსანდრ მილოსერდოვი იყო, ვინც თავისი გვარი არ გაამართლა და ვილერბანელების მიმართ არანაირი გულმოწყალება არ გამოიჩინა. მან 25 ქულა მიითვალა. მეორე ტაიმის შუაწელში მასპინძლები მთელი 18 ქულით იყვნენ წინ (56:38) და ბოლოს სტუმრების გააქტიურებამ მათ დღესასწაული მაინც ვერ წაუხდინა.

„ლიმოჟის" ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია დიჟონში დასრულდა. დიჟონელებმა თავიდანვე დაჩაგრეს მოწინააღმდეგე ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლაში. ისინი საშუალო და შორი მანძილებიდანაც საკმაოდ კარგად ისროდნენ და უკვე მე-12 წუთისთვის მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. ლორის (21 ქულა) თანაგუნდელები ლიმოჟელებს 30:12 ამარცხებდნენ. არადა, ივანოვიჩის გაწვრთნილებს ამერიკელი ლეგიონერი მარკუს ბრაუნი ტრავმის გამო რომ არ ჰკლებოდათ, იქნებ შეხვედრაც სულ სხვანაირად წარმართულიყო.

სატურნირო ცხრილის ფსკერზე დალექილმა „გრაველინმა" „ევრეს" აჯობა საგარეო მატჩში. ზღვისპირელებს, ეტყობა, მყარად გადაუწყვეტიათ ამოყვინთვა და მართლაც, გაცილებით უკეთ ირჯებიან, ვიდრე აქამდე. განსაკუთრებით ძლიერად ალექსანდერი და მაკინტაირი გამოიყურებოდნენ, რომელთა შეჩერებაც მასპინძლებმა ვერაფრით მოახერხეს. ეს „გრაველინის" ზედიზედ მეორე გამარჯვებაა.

„შამპანი" კი ზედიზედ მეხუთედ დამარცხდა და უფრო ქვევით დაეშვა. იგი ამჯერად „პარი სენ ჟერმენს" ემსხვერპლა, რომელიც საპორტას თასზე ზადარში სამარცხვინოდ წაგებამ გამოაფხიზლა. შამპანელებს ჯალათად პარიზელთა ფრთა კინგი ექცათ, ვინც თავისიანებს 28 ქულა მოუტანა. დედაქალაქელებმა თავიანთი კონკურენტების წაგებით ისარგებლეს და „ლიმოჟსა" და „პო ორტეზთან" სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირეს.

ტურის ბოლო მატჩი კვირას გაიმართა და ტრადიცია არც მან დაარღვია. ევროლიგაში საფრანგეთის წარმომადგენელი „პო ორტეზი" კიდევ ერთ ევროლიგელს, „შოლეს" მასპინძლობდა. ევროტურნირის ბოლოსწინა ტურში პოელებმა მორიგი მარცხი იწვნიეს, თავიანთ ჯგუფში ბოლო ადგილი „გაინაღდეს" და საფრანგეთს მომავალ სეზონში ევროლიგის ერთი ადგილი დააკარგვინეს. სამაგიეროდ, „შოლემ" ივაჟკაცა, ბებერი კონტინენტის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, საბერძნეთის „პანათინაიკოსი" დაამარცხა და მართალია, მერვედფინალში ვერ გააღწია, მაგრამ არც ბოლო ადგილზე გავიდა. შინაურ ჩემპიონატშიც ორივე გუნდმა იგივე შედეგს მიაღწია. „პო ორტეზმა" ზედიზედ მეხუთედ დათმო შეხვედრა, რაც საფრანგეთის ჩემპიონის ისტორიაში პირველი შემთხვევაა.

მატჩი პოელთათვის მეტად უიღბლოდ დაიწყო. მათ მე-7 წუთზე ფრთა ტიერი გადუ გამოაკლდათ, რომელმაც ქულის გაკეთებაც კი ვერ მოასწრო. საფრანგეთის ნაკრების გამოძახებულ კალათბურთელს მარჯვენა ხელი მოტყდა და სავარაუდოდ, თვენახევარი-ორი თვით ჩამოშორდება სპორტს. გავიდა თუ არა მოედნიდან ტიერი გადუ, მკვეთრად გამორნდა მასპინძელთა უსუსურობა მეტოქის დაცვასთან ორთაბრძოლაში. სამაგიეროდ, შოლელები გაცილებით უკეთ ისროდნენ. განსაკუთრებით კი ერიკ მიკუ, რომელმაც ხუთი სამქულიანი მოათავსა კალათში. შესვენებამდე სტუმრები 37:28 იგებდნენ და ჯერ კიდევ არ იყო მატჩის ბედი გადაწყვეტილი. თუმცა მეორე ტაიმში ისინი დაცვაში კიდევ უფრო ძლიერად ამოქმედდნენ და პოელებიც ხშირად კარგავდნენ ბურთს (მთელ მატჩში 22-ჯერ), რასაც ელვისებური კონტრიერიშები მოჰყვებოდა ხოლმე. საბოლოოდ „პო ორტეზმა" მორიგი მარცხი იწვნია და მისი ხელმძღვანელობაც სერიოზულად დაფიქრდა გუნდის განახლებაზე. სავარაუდოა, რომ კლუბის დატოვება უნგრელ ცენტრ გულიაშს მოუწევს, რომლისგანაც გაცილებით მეტს ელოდნენ სეზონის დასაწყისში. ახალწვეულები კი ძნელი შესარჩევნი იქნებიან, რადგან „პო ორტეზს" ფინანსურად ყველაფერი რიგზე ვერ აქვს (4,4 მლნ ფრანკი ზარალი). კარგი და იაფი კალათბურთელი კი სანთლითაა საძებნი.

ანტიბი — ვილერბანი 75:73. ანტიბელი ალექსანდრ მილოსერდოვი (მარჯვნივ) ჯეი ლარანიაგას გადაეღობა

ვილერბანი	23	18	5	1762:1561		41
ლიმოჟი	23	16	7	1718:1583		39
პო ორტეზი	23	16	7	1507:1390		39
პსჟ	23	15	8	1707:1483		38
საონი	23	14	9	1723:1590		37
შოლე	23	14	9	1466:1445		37
დიჟონი	23	13	10	1761:1670		36
ლე მანი	23	13	10	1716:1687		36
სტრასბური	23	12	11	1659:1673		35
ბეზანსონი	23	9	14	1675:1700		32
ნანსი	23	9	14	1590:1654		32
ანტიბი	23	8	15	1552:1732		31
ევრე	23	8	15	1594:1697		31
მონპელიე	23	7	16	1585:1753		30
შამპანი	23	6	17	1586:1729		29
გრაველინი	23	6	17	1608:1853		29

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

იყიდება
როტვეილერის
ლეკვები
☎ 39 42 65
დარეკეთ 12-დან 17 საათამდე

ჟაჟაობა მარსელში



ლორან ჟალაბერი

გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად ველოსიზონიც იკრებს ძალას. მრბოლები უკვე მოედვნენ ევროპის სამხრეთს და რამდენიმე შეჯიბრშიც მიიღს მონაწილეობა. ძლიერთაგან მხოლოდ ზოგიერთია საუკეთესო ფორმაში, უმეტესობას კი აქამდე ბევრი უკლია.

გასულ ოთხშაბათს დაიწყო და კვირას დასრულდა „ხმელთაშუა ზღვის ტური", რომელსაც საფრანგეთმა უმასპინძლა. ველომრბოლებმა სტარტი კარკასონში აიღეს და ექვსი ეტაპის შემდეგ მარსელში გამოავლინეს გამარჯვებული. ჩვენც ეტაპ-ეტაპ მივყვეთ მათ განვლილ გზას და ვნახოთ ვინ, სად და როდის გამოიჩინა თავი. მით უმეტეს, რომ მჭუხარე სახელები ამ შეჯიბრს არ აკლდა — ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია, ლამპრე), ლორან ბროშარი (საფრანგეთი, ჟან დელატური), მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო), ტომ სტეელსი (ბელგია, მაპეი), იან კირსიპუუ (ესტონეთი, AG 2R), აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე), რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, პოლტი) და ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის კლასიფიკაციით საუკეთესო — ფრანგი ლორან ჟალაბერი (ონსე).

პირველი ეტაპი (118კმ) ჯგუფური სპრინტით დამთავრდა ქალაქ ბეზიეში. ესტონელმა კირსიპუუმ დაამტკიცა, რომ სეზონის დასაწყისში მშვენიერ ფორმაშია და კარიერაში მე-60 გამარჯვებაც მოიპოვა. სამაგიეროდ, სპეციალისტთა პროგნოზები გააცრუეს ჩიპოლინიმ და ვირანკმა. სუპერმარიო სპრინტების მეფედ ითვლება, ბეზიეში კი ფინიშის ხაზი მხოლოდ მეთორმეტემ გადაკვეთა. რაც შეეხება „პოლტის" ლიდერს, მან პელოტონთან სამ წუთზე მეტი წააგო.

ხუთშაბათს სპორტსმენებმა ორი ეტაპი გაიქროლეს. ჯერ დილით მოგიოდან კავაიონამდე, 106 კმ დაფარეს, რომლის ფინიშზეც სპრინტში, ბრიტანელმა ჯერემი ჰანტმა (ბიგმატი) ჩიპოლინის აჯობა. მერე კი გუნდური რბოლა იყო. მერეინდოლიდან კადენმდე 35 კილომეტრია, რომლის გავლაც თითოეულ გუნდს ცალ-ცალკე მოუხდა. ყველას ესპანურმა „ონსემ" აჯობა, რაც სულაც არ იყო მოულოდნელი, რადგან მის რიგებში ჟალაბერი, ოლანო და ხოსე ივან გუტიერესი იყვნენ. „უჟაჟაზე" უკვე ვთქვით, ოლანოს მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი მოუგია ინდივიდუალურ რბოლაში, გუტიერესიც დაუფლებია ასეთ მედალს, ოღონდ ახალგაზრდობაში. ერთი სიტყვით, „ონსემ" ყველას აჯობა. მას მხოლოდ „კრედი აგრიკოლი" მიჰყვა, რომელმაც მხოლოდ სამი წამი დათმო. წინა ეტაპების მიხედვით ჟალაბერი ყველა თანაგუნდელს უსწრებდა და ტურის ლიდერის ყვითელი მაისურაც სწორედ მას შეხვდა.

მეოთხე ეტაპი გრეასკსა და ლა სეინ-სიურ-მერს შორის (115კმ) მოეწყო პარასკევს. აქამდე ჩრდილში მყოფმა ტომ სტეელსმა ხელი გამოიღო და სხვა ჰეპლები მშრალზე დატოვა. საერთო ჩათვლაში ამ ეტაპს თითქმის არაფერი შეუცვლია. ლიდერის ყვითელი მაისურა ჟალაბერმა შეინარჩუნა.

ამ ტურის მეხუთე ეტაპი ერთადერთი მთიანი იყო. ლა ლონდიდან წასულ ველომრბოლებს 147 კილომეტრი უნდა გაევლოთ და ტულონის მიდამოებში, ფარონის მთაზე აღმართში გადაეკვეთათ ფინიშის ხაზი. მთავარი შეტევა ლორან ჟალაბერმა ბოლო აღმართის დასაწყისში წამოიწყო. მას კვალდაკვალ მხოლოდ შაშანდელი გამარჯვებული, იტალიელი დავიდე რებელინი (ლიკიგასი) გაჰყვა. ფინიშამდე 1,5 კილომეტრიღა რჩებოდა, როცა „ჟაჟამ" ერთხელაც შეუტია. რებელინიმ ველარ გაუძლო და ფრანგს 15 წამით ჩამორჩა.

საერთო ჩათვლაში ამ ეტაპამდე მეორე ადგილზე ავსტრალიელი სტიუარტ ოგრედი (კრედი აგრიკოლი) იყო, ვინც ლიდერთან მხოლოდ სამ წამს აგებდა, მაგრამ იგი სპრინტერია და მთიან ეტაპზე ჟალაბერთან რამდენიმე წუთი წააგო. მეორე ადგილზე კი ამერიკელმა ბობი ჯულიჩმა გადაინაცვლა.

ბოლო ეტაპი ლა სეინ-სიურ-მერსა და მარსელს შორის (125 კმ) გაიმართა. ჟალაბერის გუნდი „ონსე" რბოლას კარგად აკონტროლებდა და საერთო ჩათვლაში ფრანგის მეტოქეთაგან ვერავინ მოახერხა წარმატებული შეტევის განხორციელება. ასე რომ, ეტაპის გამარჯვებული კვლავ ჯგუფური სპრინტისას გამოვლინდა, ამჯერად მარიო ჩიპოლინიმ იმარჯვა. „ხმელთაშუა ზღვის ტური" კი ლორან ჟალაბერმა მოიგო. მას საფრანგეთის გზებზე 1998 წლის სკანდალური „ტურ დე ფრანსის" მერე არ ეასპარეზა. ამ წარმატებით „ონსეს" ლიდერმა ნაკრების კარსაც მიუკაკუნა და ტურის დასრულების შემდეგ განაცხადა — საფრანგეთის ქალაქ პლუეიში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე სიამოვნებით დავიცავ ჩემი ქვეყნის ღირსებასო.

გაიოზ თალაკვაძე

ჭადრაკი და ინტერნეტი დაქმოგზილდნენ

პარგია ინტერნეტი... ამაზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი და რახან ჭადრაკზე ვლაპარაკობთ, ინტერნეტიც საჭადრაკო თვალსაზრისით შეავაქოთ. წარმოიდგინეთ კარგი მოჭადრაკე, თუნდაც ქართველი, რომელიც ნიჭიერია, მაგრამ უფულო. საზღვარგარეთ კი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ტურნირზე სათამაშოდ ათასებია საჭირო. ყველაფერს ფული უნდა — ტრანსპორტს, სასტუმროს, საკვებს... ინტერნეტი კი არაფერს არ ითხოვს, მთავარია, სადმე ქსელში შეერთებულ კომპიუტერთან მიგესვლებოდეს, ცოტათი მისი გამოყენებაც გეხერხებოდეს, მერე კი აზროვნება და მისი ჯანი... ინტერნეტით კომერციული საჭადრაკო ტურნირების გამართვის იდეა ბოლო ხანს არაერთხელ გამოითქვა, პირველი ნაბიჯებიც გადაიდგა, ხოლო 9 თებერვალს ინტერნეტისა და ჭადრაკის ინტეგრირების პროცესში ელიტაც ჩაერთო, ცხადია, ნებისმიერი პროგრესის მოტრფიალის, გარი კასპაროვის ხელმძღვანელობით. კასპაროვს ინტერნეტში მთელი საინფორმაციო ცენტრი აქვს შექმნილი, რომელშიც მრავალი ცნობილი მოჭადრაკე და ჟურნალისტი მოღვაწეობს. სწორედ კასპაროვის კლუბს ეკუთვნის პირველი ინტერნეტ-სუპერტურნირის გამართვის ინიციატივა. საქმეში ფულიც ჩაიდო, გამარჯვებულისთვის 20 ათასი დოლარი გამოიყო, ხოლო მთლიანი საპრიზო ფონდი 55 ათასი დოლარით განისაზღვრა. მარტო ფულის გამო ალბათ არა, მაგრამ არც უამისოდ, ტურნირში არაერთი უძლიერესი მოჭადრაკე ჩაება, თუნდაც იგივე კასპაროვი, ან კიდევ ადამსი, მოროზევიჩი, შორტი, სვიდლერი და პიკეტი. მათ შედარებით წვრილფეხობაც დაემატა, თუმცა 15 ასეთ მოთამაშეს შორის აქამდე უცნობი გვარი თითქმის არ ურევია. მე-16 კი „დიიპ ჯუნიორი" გახლავთ, ებრაელთაგან შექმნილი საჭადრაკო პროგრამა, რომელსაც მსოფლიოს საჭადრაკო სამყარო პატივს სცემს. „დიიპ ჯუნიორი" ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზეა, თუმცა ამაზე მერე, მანამდე კი იმ კითხვას უნდა ვუპასუხოთ, რომელსაც „სარბიელის" მკითხველი უეჭველად დაგვისვამს: როგორ ებრძვიან ტურნირის მესვეურები ცულლუტობას? თამაში ხომ არავიზუალურია და მავან საჭადრაკო ობივატელსაც სავსებით ხელეწიფება, „დიიპ ბლუს" მაგვარი მოჭადრაკე კომპიუტერი მოიშველიოს და თუნდაც კასპაროვი გააწამოს. რა თქმა უნდა, საქმე ამგვარად არაა, კასპაროვის კლუბიდან მივლენილი მსაჯები მკაცრად აკონტროლებენ ვითარებას და არც ერთ მოჭადრაკეს არ დაანებებენ თავის გემოზე დაფის გაშლას, ზედ ფიგურების გაწყობას და პოზიციის ანალიზის წარმოებას. არც საჭადრაკო პროგრამებისა და კეთილისმსურველთა რჩევების გამოყენება ძალუძთ მოჭადრაკეებს, თანაც პარტიის რეგლამენტით, სათამაშოდ მხოლოდ ერთი საათი აქვთ და ამდენს ვინ აცლით?

დავუბრუნდეთ „დიიპ ჯუნიორს". ნოკაუტ-სისტემით მიმდინარე სუპერტურნირის მერვედფინალში ებრაელმა მოჭადრაკე კომპიუტერმა ესპანელი ჰომო საპიენსი ყველანაირად დაჩაგრა. საბრალო მიგელ ილესკასმა მანქანასთან წააგო ჯერ შავებით, მერე თეთრებით და შემდეგ ეტაპსაც დაემშვიდობა. „დიიპ ჯუნიორის" მომდევნო მეტოქე მრისხანე ბრიტანელი მაიკლ ადამსია და თუ იმასაც მოუგო, ნახევარფინალში მსოფლიოს ჩემპიონს შეხვდება. ამ უკანასკნელმა უკვე მოასწრო ორი წრის გავლა. კასპაროვის პირველი მეტოქე ანანდი არა, მაგრამ ინდოელი კი იყო. წვრილულვაშა დიბიენდუ ბარუამ ურიგოდ არ ითამაშა. მან პირველ პარტიაში 74 სვლა გააკეთა, მეორეში — 57 და მართალია, ორივე წააგო, მაგრამ ღირსეულად. შემდეგ კასპაროვი ჰოლანდიელ ლუკ ვან ველს ეპაექრა და იმასთან უკვე ერთი მოგებით გავიდა იოლას, მეორე პარტია ყაიმით დასრულდა და კასპაროვი ნახევარფინალშია, ჯერჯერობით ეულად. ნახევარფინალის დანარჩენ საგზურებზე პრეტენზიას აცხადებენ: რუსი პიოტრ სვიდლერი და ინგლისელი ნაიჯელ შორტი, ჰოლანდიელი იერუნ პიკეტი და რუსი ალექსანდრ მოროზევიჩი, ალბიონელი მაიკლ ადამსი კი, ზემოთაც ვთქვით, „დიიპ ჯუნიორთან" არკვევს ურთიერთობას.

დავით გულუა

ზარმაცი ბუბკა და ბუტია არონი

პარიზის სამძლეოსნო ტურნირი ისტორიაში უეჭველად შევა. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის ცენტრალურ სამძლეოსნო არენაზე მრავალმა ქებული გვარ-სახელის პატრონმა იასპარეზა და 7 ათასმა მაყურებელმაც ოვაციები უხვად დახარჯა მათთვის. ტრადიციულად, თავისი სალარო შეავსო რუმინელმა გაბრიელა საბომ, რომელმაც ორი კილომეტრი მოუღლელად გაირბინა და ამ საქმისთვის მხოლოდ 5 წუთი და 38,76 წამი დახარჯა. უკვე მერამდენედ დაკმაყოფილდა რუსი ნატალია ციგანოვა მოზამბიკელი მარია მუტოლას შავი ზურგის ცქერით. მისი შედეგი 1000 მეტრზე 2.36.70 წუთი გახლდათ, ხოლო მუტოლასი — მთელი წამით ნაკლები. სანახაობით კმაყოფილ ფრანგებს მხოლოდ თვისტომთა ღალატი არ ეჭაშნიკათ. მეჭოკე ჟან გალფიონემ, დაღლილი ვარ და ვისვენებო, ხოლო ქალთა შვიდჭიდის მსოფლიოს ჩემპიონი, ენიკ ბარბერი თურმე თეძოს ტკივილს შეუწუხებია და პარიზი კი არა, შესაძლოა გენკის ევროპირველობაც სანატრელი გაუხდეს.

ვაჟთა 60-მეტრიანი გარბენი განელმა ლეონარდ მაილს-მილსმა მოიგო, ხოლო ქალების — ბაჰამელმა სავათედა ფაინმა. ახლა, უპრიანია სერგეი ბუბკას პრობლემებზე ვთქვათ. ლეგენდარულმა უკრაინელმა პარიზში 5 მეტრსა და 70 სანტიმეტრზე გადებული თამასა ვერ დაიმორჩილა და გაწბილებული დარჩა. „მე შემიძლია, 5.80-ს ან თუნდაც 5.90-ს გადავახტე" — წყნარად თქვა ბუბკამ — „მაგრამ თვრამეტი თვის უსაქმურობამ გამაზარმაცა". დღეს აქ მაქსიმ ტარასოვი დარჩება მოგებულიო, დაუმატა ბუბკამ ნათქვამს და აუხდა კიდეც. რუსმა მეზობლის ინდიფერენტულობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და როცა 5 მეტრსა და 80 სანტიმეტრს გადაევლო, არავინ აღმოჩნდა მისი დამწევი.

რაც შეეხება ფოტოზე აღბეჭდილ ქალბატონს, იგი ფრანგი კრისტინ არონი გახლავთ, სპრინტში ევროპის ჩემპიონი, პარიზში, წარუმატებლობის გარდა ვერაფერი რომ ვერ მოუხვეჭია და გაბუტული ევროპის ჩემპიონატზე სირბილსაც უარობს.

დავით გულუა

მაიკ ტაისონი მილანში ჩავა



ყველაზე ცნობილმა გერმანელმა მძიმეწონასანმა აქსელ შულცმა, უარი თქვა მაიკ ტაისონთან შეხვედრაზე. ოთხი თვეა, რაც უკრაინელ ვლადიმირ კლიჩკოს მიერ ნოკაუტში გაგზავნილი შულცი კრივს გამოეთხოვა. ტაისონის ბანაკის შეთავაზება, ბრძოლა აპრილში გავმართოთო, შულცისთვის მიუღებელი აღმოჩნდა — ამ დროში ფორმას ვერ აღვიდგენ და გამარჯვებაზე ფიქრიც ზედმეტია, მხოლოდ ფულისთვის ჩხუბი კი არ მჩვევიაო.

ექვს თვეში თუ ვიკრივებთ, ყაბულს ვარო, უთქვამს გერმანელს, რომელიც ექვსჯერ მონაწილეობდა საჩემპიონო ბრძოლებში და ექვსჯერ დამარცხდა. თუმცა, ტაისონის მენეჯერი შელი ფინკელი ამდენს ვერ მოიცდის — რვა აპრილს, რკინის მაიკი მილანში შეერკინება იტალიური წარმოშობის ამერიკელს, ისე რა მოკრივეს, ლუ სავარეზეს.

ძიუმ დაიცვა

კოსტია ძიუ

კორეული წარმოშობის გაავსტრალიელებულმა რუსმა, კოსტია ძიუმ თავისი საბჭოს (ვბკ) ქამარი დაიცვა მექსიკელ ახმედ სანტოსთან ორთაბრძოლაში. ბრძოლა კონკეტიკუტის შტატში გაიმართა. იგი გვარიანად გაიწელა და პირველი ნოკდაუნი მერვე რაუნდშიღა დაითვალა. ამით წახალისებულმა ძიუმ გაალმასებით დააყარა მუშტები ახმედს და პრეტენდენტის უძლურება აშკარა შეიქნა. რეფერი ფრენკ კაპუჩინომ ტექნიკური ნოკაუტით შეწყვიტა ბრძოლა. ძიუსათვის ეს იყო ტიტულის პირველი დაცვა შარშანდელი აგვისტოს შემდეგ, როცა მან ორწლიანი შესვენების შემდეგ დაიბრუნა საბჭოს ჩემპიონობა პირველ ქვესაუალო წონაში. ახლა ძიუს 24 მოგება, 1 ფრე და 1 წაგება აქვს.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

მარტინა გლაგოვა

ფავორიტებმა სული მოითქვეს

მსოფლიოს ჩემპიონატის სიახლოვემ ოდნავ დააცხრო ბიატლონისტთა ბრძოლა მსოფლიოს თასისთვის. თასის ჩემპიონატისწინა ეტაპი შვეიცარიაში, ოსტერსუნდში მოეწყო. პირველ დღეს ქალები ეჯიბრებოდნენ სპრინტში, მეორე დღეს კაცები. მესამე დღე კი გამოდევნებით რბოლებს დაეთმო. კაცებში როგორც სპრინტი, ასევე გამოდევნებითი რბოლა ნორვეგიელთა კიდევ ერთმა იმედმა ფროდე ანდრესენმა მოიგო. როგორც პირველ, ისე მეორე შეჯიბრებაში პრიზიორები სახელიანი სპორტსმენები გახდნენ — ოლიმპიური ჩემპიონი, ნორვეგიელი ოლე ბიორნდალენი, ფრანგი რაფაელ პუარე, გერმანელი რიკო გროსი. თასის შარშანდელი მფლობელი, გერმანელი სვენ ფიშერი, მართალია, პრიზიორებში ვერ მოხვდა, მაგრამ ჩასათვლელი ქულები მაინც საკმაოდ მოაგროვა, აი ქალებში კი პირველი ათეული ძალიან აჭრელდა. ეს ალბათ მსოფლიოს ჩემპიონატის სტარტის სიახლოვემ განაპირობა — ფავორიტები ძალებს ზოგავენ. ფრანგი ფლორანს ბაევერელი, გერმანელი მარტინა გლაგოვი, რუსი სვეტლანა ჩერნოუსოვა პრიზიორობისთვის შეუჩვეველი გვარებია. რა თქმა უნდა, ამ თითო „გასრულამ" საერთო ჩათვლაში ვერაფერი შეცვალა, ასე რომ მსოფლიოს თასს ისევ სახელიანი სპორტსმენები ლიდერობენ.

ქალები

სპრინტი. 7,5 კმ

1. გალინა კუკლევა (რუსეთი)
2. სვეტლანა იშმურატოვა (რუსეთი)
3. ფლორანს ბაევერელი (საფრანგეთი)

გამოდევნებით რბოლა, 10 კმ

1. მარტინა გლაგოვი (გერმანია)
2. სვეტლანა ჩერნოუსოვა (რუსეთი)
3. სვეტლანა იშმურატოვა (რუსეთი)

საერთო ჩათვლა

1. მაგდალენა ფორსბერგი (შვეცია) — 353 ქულა
2. სვეტლანა იშმურატოვა (რუსეთი) — 265
3. გალინა კუკლევა (რუსეთი) — 253

კაცები

სპრინტი 10 კმ

1. ფროდე ანდრესენი (ნორვეგია)
2. ვოლფგანგ როტმანი (ავსტრია)
3. ოლე ბიორნდალენი (ნორვეგია)

გამოდევნებით რბოლა, 12,5 კმ

1. ფროდე ანდრესენი
2. პაველ როსტოვცევ (რუსეთი)
3. რიკო გროსი (გერ[illegible]ია)

საერთო [illegible]ათვლა

1. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) — 315
2. ოლე ბიორნდალენი (ნორვეგია) — 310
3. სვენ ფიშერი (გერმანია) — 302

ტრაგედია კავკასიონზე

კავკასიონის ქედის ყაბარდო-ბალყარეთის მონაკვეთზე შვიდი მთამსვლელი დაიღუპა. ექსპედიცია მწვერვალ უშბას დასაპყრობად მიემართებოდა, როცა ზვავმა მოუსწრო. რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ინფორმაციით, მთამსვლელები უკვე ოთხი დღეა, რაც თოვლქვეშ იმყოფებიან და მათი გადარჩენის აღარავის სჯერა, თუმცა მაშველები თავდადებით მუშაობენ. ყაბარდობალყარელებს ეხმარებიან მეზობლები ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკებიდან, რითაც მაშველთა საერთო რიცხვი 70-მდე გაიზარდა. მათსავე განკარგულებაშია სამაშველო ვერტმფრენიც, რომელმაც ერთი სასარგებლო საქმე უკვე გააკეთა: უშბის მყინვარის ზემო წელში, გაჭირვებაში მყოფი მთამსვლელების სხვა ჯგუფი აღმოაჩინა. ჯგუფის ერთ წევრს, სამწუხაროდ, ვერაფრით უშველეს, ხოლო დანარჩენები კიდურების მოყინულობით საავადმყოფოში მოათავსეს.

დავით გულუა

ერთიც და...

მოდებაძის მყარი პოზიცია

თავისუფალი სტილით მოჭიდავე, მძიმეწონასანი ალექსანდრე მოდებაძე ყველაზე მეტად მიუახლოვდა ოლიმპიურ ლიცენზიას. მან ჯერ მინსკში გაიმარჯვა სალიცენზიო ტურნირში, ახლა კი ლაიპციგში მესამე ადგილი დაიკავა. საგზურების მოპოვების შანსს სხვებიც ინარჩუნებენ, მაგრამ მოდებაძესავით მყარი პოზიციებით ვერც ერთი დაიკვეხნის. მომავალი სალიცენზიო ტურნირი ამ თვის ბოლო შაბათ-კვირას გაიმართება ტოკიოში და იმედია, მოდებაძეს იქ სხვებიც მხარს აუბამენ.

დომინატორის დომინანტი

სახელი თუ სახრავი?

14 თებერვალი

მონრეალი — ფლორიდა 4:1

1:1 2:0 1:0

0:1 ბ. ბურე 7'51 (40); 1:1 ბელანჟე 14'57 (1); 2:1 დარბი 28'03 (4); 3:1 ბელანჟე 36'11 (2); 4:1 ჟოლტოკი 46'40 (17)

პიტსბურგი — ვანკუვერი 3:0

1:0 1:0 1:0

1:0 დანგი 13'51 (19); 2:0 იაგრი 34'37 (37); 3:0 მოროზოვი 55'56 (2)

ტორონტო — კაროლინა 2:5

2:4 0:1 0:0

0:1 უესლი 2'55 (5); 0:2 კარჰა 4'06 (1); 1:2 ანტროპოვი 5'37 (6); 2:2 კარპოვცევი 11'39 (2); 2:3 ფრენსისი 12'22 (16); 2:4 ბრინდამორი 13'51 (6); 2:5 ფრენსისი 33'58 (17)

ჩიკაგო — ანაჰაიმი 3:4

2:1 1:1 0:2

1:0 მაკამონდი 1'53 (13); 1:1 კალენი 2'14 (11); 2:1 ამონტე 19'59 (25); 2:2 რუჩინი 29'42 (11); 3:2 ამონტე 30'56 (26); 3:3 მილერი 51'31 (6); 3:4 დონატო 57'50 (8)

ფინიქსი — დეტროიტი 1:3

0:3 1:0 0:0

0:1 ლარიონოვი 1'49 (8); 0:2 ვერბიკი 6'03 (16); 0:3 შენაპანი 14'47 (30); 1:3 ადამსი 37'40 (12)

ლოს ანჯელესი — კალგარი 4:3

2:1 1:0 0:2 1:0

1:0 პალფი 1'51 (22); 2:0 რობიტაილი 6'47 (27); 2:1 იგინლა 8'32 (14); 3:1 რობიტაილი 26'02 (28); 3:2 ჰაუსლი 45'43 (10); 3:3 იგინლა 46'35 (45); 4:3 ოდონელი 61'42 (2)

REUTERS ჩიკაგოდან

ანაჰაიმელთა მეკარე დომინიკ რასელი ჩიკაგოელ ჟან-პიერ დიუმონს მაგრად დაუხვდა

დომინატორი არსად მიდის! ორი დღეა, ჩრდილოეთ ამერიკისა და მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან იმას, რომ ბუფალოს დიდებული მეკარე დომინიკ ჰაშეკი კიდევ ერთი წლით რჩება ლიგაში. „ზაფხულში, როცა კარიერის დასრულება გადავწყვიტე, მეგონა, მხოლოდ ნახევარ სეზონს დავყოფდი ლიგაში. ახლა კი, ტრავმა რომ მომირჩა, თითქოს ძალაც შემეშატა" — განაცხადა ჩეხმა და დასძინა, რომ ერთადერთი სურვილი აქვს, გუნდს პლეი ოფში გასვლაში დაეხმაროს.

მოდი და გაიგე, რამ შეაცვლევინა ჰაშეკს გადაწყვეტილება. იქნებ მეტი ფული შესთავაზეს, ანაც შელახული პრესტიჟის დაბრუნება სურს? შესაძლოა, მეკარე იმანაც შეაგულიანა, რომ გამოჯანმრთელებისთანავე ჩვეულად ათამაშდა, 4 მატჩში სულ 5 შაიბა გაუშვა და მის გუნდს არც ერთხელ არ წაუგია. ასეა თუ ისე, დომინატორი კიდევ ერთი წლით დაამშვენებს ყინულსა და ნჰლ-ის მატჩებს.

1989 წლიდან მოყოლებული დეტროიტს არც ერთი სეზონი არ ჩაუმთავრებია ისე, რომელიმე გუნდისთვის ქულა არ წაერთმია. ვერც ფინიქსმა შეძლო ამის გაკეთება. წლეულს ყველაზე მოუხერხებელ მეტოქესთან ზედიზედ სამი წაგების შემდეგ „წითელფრთიანებმა", როგორც იქნა, გამოძებნეს მეტოქის დამარცხების ხერხი, თუმცა ამას ჯერ კიდევ კვირას, კოლორადოსთან შეხვედრაში ჩაეყარა საფუძველი. დეტროიტმა მეტად პრინციპულ მოწინააღმდეგეს 4:3 მოუგო, მიუხედავად იმისა, რომ 0:3 აგება (სხვათა შორის, დენვერელებთან მოგებულ წინა ორ მატჩშიც თავიდან აგება). ცხადია, ამან სკოტი ბოუმენის შეგირდები ჩინებულ განწყობაზე დააყენა და მათ თავიდანვე აგრძნობინეს „კოიოტებს", რომ არც ახლა დაეჩაგვრინებოდნენ ვინმეს. „წითელფრთიანებმა" ისე რაციონალურად გაანაწილეს მატჩისთვის განკუთვნილი დრო, რომ სრული დატვირთვით არ ებრძოლათ (ეს ხომ მათთვის ზედიზედ მეორე სათამაშო დღე იყო) და თავიდანვე ნათელი მოჰფინეს ყველაფერს. პირველ პერიოდში მასპინძლები სამჯერ დარჩნენ უმცირესობაში და სამჯერვე დაისაჯნენ. გოლები ლამაზი გამოდგა, თანაც ერთ-ერთის ავტორმა, ბრენდან შენაჰანმა კარიერაში მეშვიდედ, 30-გოლიან ზღვარს მიაღწია.

მართალია, „კოიოტებმა" ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ წინა მატჩში დაშავებული კაპიტნის, კეიტ ტკაჩუკის (მუხლის ტრავმის გამო 2-3 კვირას გამოტოვებს) შემცვლელი ვერა და ვერ გამოძებნეს (თუნდაც ისეთი, როგორიც შაბათის მატჩში, ახალშეძენილი ბენუა ჰოუგი იყო. მან ხომ კალგარისთან გატანილ ორ გადამწყვეტ გოლში წვლილი პასებით შეიტანა).

კიდევ უფრო მნიშვნელოვან, 40-გოლიან ბარიერს მიაღწია ფლორიდელმა პაველ ბურემ (მეექვსედ კარიერაში), მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მან ზედიზედ მესამე მატჩში გაიტანა, მატჩის გმირი მაინც ვერ გახდა. „პანტერების" მეტოქე მონრეალს, ამჯერად ერთბაშად 8(!) ძირითადი მოთამაშე აკლდა (უქმეებზე კიდევ სამი, მათ შორის ბენოტ ბრიუნე დააკლდა), მაგრამ მასპინძლებმა მაინც ყველა კომპონენტში იმარჯვეს, ხოლო გადამწყვეტი როლი სწორედ ფარმკლუბიდან გამოძახებულმა ჯეისი ბელანჟემ შეასრულა. ყოფილმა ფლორიდელმა, რომლისთვისაც ეს მატჩი მხოლოდ მეოთხე იყო სეზონში, ორი გოლი და ორი პასი მიითვალა, მისი პირველი შაიბა კი ერთობ ლამაზი გამოდგა. „როგორც კი გუნდში მიწვევის ამბავი გავიგე, უმალვე ჩემს მანქანაში ჩავჯექი და მონრეალს მივაშურე. მერე ალბათ გუნდი ლიმუზინს გამომიგზავნის" — იხუმრა თამაშის შემდეგ ბელანჟემ. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში წლეულს პირველად გავიდა ყინულზე კანადელთა წამყვანი მცველი ვლადიმერ მალახოვი და გამოჩენისთანავე გულშემატკივრებმა უსტვინეს... კლუბის ქომაგთ გაუგიათ, რომ გამოჯანმრთელებულ მოთამაშეს, იმის ნაცვლად, რომ თავი დაეზოგა, „ოლ სტარით" გამოწვეული პაუზისას თხილამურებით უსრიალია. „სტევენას ყურადღება არც კი მივაქციე. ესენი ხომ ყველაზე იაფ ადგილებზე მსხდომნი ქომაგები იყვნენ, თანაც თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ, რადგან ბავშვს ვასეირნებდი და უფრო იმას ვასრიალებდი" — გაიმართლა რუსმა თავი.

გოლი გაიტანა სნაიპერთა დავაში ბურეს უშუალო მდევარმა პიტსბურგელმა იარომირ იაგრიმ. საერთოდ, ბოლო 7 მატჩია, მას მოედანი უქულოდ არ დაუტოვებია (2 გოლი და 8 პასი), მაგრამ ვარსკვლავი აქაც ნაკლებად ცნობილმა ჰოკეისტმა, მისმა პარტნიორმა, მეკარემ ჟან სებასტიან ობენმა დაჩრდილა, რადგან საკუთარი კარის დალაშქვრის ყველა მცდელობა ჩაშალა. ობენი კი მხოლოდ იმიტომ იდგა კარში, რომ ძირითადი მეკარე, ტომ ბარასო არ იყო, მამა გაუხდა ავად და მის სანახავად წავიდა მშობლიურ ბოსტონში. ვანკუვერს ამჯერად ალექსანდრ მოგილნი აკლდა. მან ცოტა ხანს ითამაშა და კვლავ დაშავდა. ახალ კლუბ კაროლინაში პირველი გოლი გაიტანა რობ ბრინდამორმა და გუნდის გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა. არადა, მატჩის წინ მისი თამაში საეჭვო იყო, რადგან უქმეებზე ნეკნი დაუზიანდა (სხვათა შორის, იმ დღეს მასზე გაცვლილმა აწ უკვე ფილადელფიელმა კეიტ პრიმომაც ნეკნი იტკინა და ერთი კვირით გამოეთიშა ასპარეზობას).

ანაჰაიმის გამარჯვება ამჯერად მის ლიდერების კი არა, მეორე სამეულის ფორვარდების — ტედ დონატოსა (1+2) და კიპ მილერის (1+2) დამსახურებაა, ხოლო ლოს ანჯელესის კალგარისთან (ბოლო ხანს „ალებს" ოვერტაიმში ბედი არ სწყალობთ) მოგება მისმა წამყვანმა ფორვარდებმა განაპირობეს. იოზეფ შტუმპელის (3 პასი) დაბრუნების შემდეგ, მისი, ლუკ რობიტაილის (2+1) და ზიგმუნდ პალფის (1+3) პირველი სამეული მუდამ გამოირჩევა.

სამველ ღარიბიანი

სატურნირო ვითარება

ალმოსავლეთ კონფერენცია

ნიუ ჯერსი	56	35	6	4	15	177:130	80
ფლორიდა	56	32	4	3	20	175:138	71
ტორონტო	57	30	6	3	21	169:154	69
ფილადელფია	54	28	10	1	16	159:125	67
ვაშინგტონი	55	27	9	1	19	149:134	64
ოტავა	55	26	9	2	20	150:141	63
პიტსბურგი	56	25	5	5	26	174:164	60
რენჯერსი	57	24	8	3	25	162:158	59
ბუფალო	57	23	8	3	26	141:145	57
კაროლინა	56	24	8	0	25	148:156	56
ბოსტონი	57	18	15	4	24	146:164	55
მონრეალი	55	20	7	3	28	126:136	50
აილენდერსი	56	16	6	1	34	130:183	39
ტამპა	54	12	6	6	36	140:207	36
ატლანტა	55	11	6	4	38	120:201	32

დასავლეთ კონფერენცია

სენტ ლუისი	56	35	6	0	15	173:117	76
დალასი	56	31	5	2	20	135:121	69
კოლორადო	57	27	8	1	22	156:147	63
დეტროიტი	57	34	6	1	17	192:149	75
ფინიქსი	56	30	6	1	20	166:148	67
ლოს ანჯელესი	55	26	7	3	22	175:160	62
სან ხოსე	60	24	7	7	29	161:153	62
ედმონტონი	57	20	15	7	22	157:149	62
ანაჰაიმი	58	24	8	1	26	151:157	57
კალგარი	57	23	6	4	28	140:170	56
ნეშვილი	56	20	6	5	30	148:173	51
ვანკუვერი	55	17	10	6	28	141:164	50
ჩიკაგო	55	19	7	2	29	158:175	47

შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.

ინგლისი

I დივიზიონი
ბირმინგემი 1:0 ბლეძბერნი
ჩარლტონი 1:0 ფულემი
II დივიზიონი
ნოტსი 2:3 კემბრიჯი

საფრანგეთი

XXVI ტური
ნანტი 6:1 ლიონი
მარსელი 4:1 პსჟ

ჰოლანდია

კამბური 0:1 სპარტა

ესპანეთი

ვალიადოლიდი 0:1 რეალი

შოტლანდია

გამოტოვებული მატჩი
სტ. ჯონსტონი 1:1 რეინჯერსი

გერმანია

თასის ნახევარფინალი
ვერდერი 2:1 კიკერსი

REUTERS ბერბანკიდან

ჯეისთან

ვისაც „ენბისის“ „ამადამდელი შოუსთვის“ ერთხელ მაინც უცქერია, აუცილებლად დაიმახსოვრებდა ყბაჩა წამყვან ჯეი ლენოს (მარცხნივ) და მის ფანოდ კევინ იუბენკს (მარჯვნივ). ჯეიმ ისეთი უხერხული და სასაცილო ლაპარაკი იცის, რომ მთავრობის კაცებს და ვარსკვლავებსაც კი გააწითლებს ხოლმე, ახლა ამერიკული ცრუ ჭიდაობის ვარსკვლავი ქალი, ჩაინა-ჯანიანი მიუწვევია და ამით ახარხარებს საზოგადოებას.

REUTERS ვალეტადან

ოფლიდან შეინთა

მინდორზე ოფლისღვრა არა მხოლოდ ფეხბურთელთა ვალია, არამედ მსაჯთაც. ორმოცდაშვიდი რჩეული ევროპელი არბიტრი დაუბარებია კუნძულ მალტაზე უეფას და ცნობილ კუპერის ტესტს აბარებინებს. აქვე ამუშავდება მსაჯობის პრობლემების განმხილველი სემინარიც. კარს მომდგარი ევროთასების მატჩთა მოსალოდნელ სირთულეებს კარგი დახვედრა სჭირდება. თურმე, ორი მთავარი მსაჯის ყოფნის პრობლემაც განიხილება, რაიც უკვე მოუსინჯავთ იტალიის თასის წლევანდელ გათამაშებაში. თანაც — ზაფხულში ევროპის ჩემპიონატია.

ათწლეულისანი

ლას ვეგასში ათწლეულის ჯილდოთა გადაცემის დიდი ცერემონიალი გაიმართა. მთელი ამერიკის უგანთქმულესი სპორტსმენები იქ იყვნენ შეყრილნი და ნაირგვარ ჯილდოებს იღებდნენ „ემჯიემ გრანდ არენას“ დარბაზში. შოუც ფრიადი იყო, სუპერმოდელი ტაირა ბენქსი ისე იცინოდა, გეგონებოდათ თავად იღებს პრიზს, განთქმულ მობურთალ ჯო ტისმენისგანო. თუმც კი, მაიკლ ჯორდანისა და უეინ გრეცკის გამოჩენა ყოველგვარ შოუს ჩრდილავს. ჯორდანმა და გერცკიმ საგანგებო პრიზები მიიღეს, ჯორდანმა კი ათწლეულის ათლეტის თასიც დაისაკუთრა.

REUTERS ლას ვეგასიდან

პლაჟებზე

პლაჟის თამაშობანი თანდათან ხურდება. ჩვენთან რომ ზამთარი იწურება, სამხრეთ ნახევარსფეროში გაქანებული ზაფხულია. პლაჟის ჰოკეი ჯერ არ მოუგონიათ და არც პლაჟის კალათბურთი, სამაგიეროდ, ფეხბურთი და ფრენბურთი დიდ გასავალშია. რიოს ქვიშობებში, სპლაჟო ფეხბურთის მეექვსე მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. ბრაზილიელთა კაპიტანი, სახელოვანი ჟუნიორი მავან იტალიელ ფეხბურთელს ებრძვის. ამ შეხვედრის შედეგი ჩვენთვის ცნობილია, ბრაზილიელებმა 10-4 მოიგეს. ფილიპინებზე კი ქალთა სპლაჟო ფრენბურთი გახურებულა. ავსტრალიელი გოგონები ცდას არ აკლებენ, რომ იაპონელები დაჯაბნონ, მაგრამ ბევრი არაფერი გამოუდით.

REUTERS კრასნაია პოლიანიდან

REUTERS რიო დე ჟანეიროდან

REUTERS ბანგლადან

სპორტსმენი

კარგახანია, რუსეთს არ ყოლია სპორტული პრეზიდენტი. სადაც კი რაიმე წუთს გამონახავს, ვარჯიში უნდა გასწიოს. ვლადიმირ პუტინი სოჭში ყოფილა ხანმოკლე შვებულებით და კრასნაია პოლიანაზე უქროლია.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ბურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli